

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2009, # 3

შესავალი სამოქალაქო სამართალში

1. პირადი არაქონებრივი უფლებები

- გამოხატვის თავისუფლება
- პატივისა და ღირსების დაცვა, შემლახველი ცნობების უარყოფა; მორალური ზიანის ანაზღაურება
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

2. საავტორო უფლებათა დაცვა

- მუსიკალური ნაწარმოების სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე კაბელით გადაცემის აკრძალვა
- ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება
- საავტორო უფლებების დარღვევით გამოცემული ნივთის განადგურება
- საავტორო უფლების დარღვევით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება
- საავტორო უფლების დარღვევის აღკვეთის მოთხოვნის უფლება

3. გარიგებანი

- ბათილი გარიგება
- გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე
- მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი მოჭვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

4. ხანდაზმულობა

- მოვალის მიერ ვალის აღიარება
- პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადა
- სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

1. პირადი არაქონებრივი უფლებები

გამოხატვის თავისუფლება

განჩინება

#ას-1174-1319-08

23 ივლისი, 2009 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ს-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გაზეთ „ალიას“ და ა. კ-კის (ჟურნალისტ ა. კ-კის ფსევდონიმია ნ. ს-მე) მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საქმის განხილვისას მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე ნ. ს-მის მიმართ საქმის წარმოება შეწყდა, ხოლო გაზეთი „ალია“ შეიცვალა სათანადო მოპასუხით – შპს „ალია ჰოლდინგით“.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლის 15 მარტს გაზეთ „ალიაში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით – „შანტაჟი სააკაშვილთან გადაღებული ფოტოთი“. მოსარჩელის განმარტებით, ამ სტატიის მიხედვით, ზ. ს-მე აღნიშნული ფოტოსურათით აშანტაჟებს ხალხს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ სტატია შეურაცხყოფელი და დამამცირებელი იყო მისთვის; სტატიის შინაარსის მიხედვით, კონკრეტულად ვის აშანტაჟებდა, გაურკვეველია; სტატიაში მითითებული პირები – გ-ანი და გ-მე, რომლებსაც თითქოს ზ. ს-მე აშანტაჟებდა, სიცრუეა; გასარკვევია, ის სიტყვები, რომელიც სტატიაშია მოყვანილი, მას ეკუთვნის თუ არა; სტატიის შინაარსშიც ზ. ს-მე იმგვარადაა წარმოდგენილი, თითქოს იგი მექრთამეობის წამქეზებელია (სტატიის მე-10 გვერდი, მე-4 სვეტი): „ათას დოლარს შენ მისცემ, ორი ათასს – მე“; სტატიის მე-11 გვერდზე არის ზ. ს-მის ფოტო, რომელსაც მიწერილი აქვს ზ. ს-მე, იგივე წ-ანი და გამოსახულია ქალბატონი „არანორმალური“ სახით; სტატიაში „ზ. და მისი რაზმი“ მითითებულია, რომ „ეგენი შოსნების სახელს ევარებიან, შვილმკვდარობანას თამაშობენ, სინამდვილეში, ზნედაცემული ქალები არიან, რომლებიც ყველას აშანტაჟებენ, ვისთანაც შეხება აქვთ“. გაზეთის მე-12 გვერდზე, მეორე სვეტში, მოსარჩელე მოხსენიებულია, როგორც ქალების ბანდის წევრი: „აქ არც მარტო ზ. და არც მარტო ნ-ია. მე ყველას სახელი არ ვიცი, ეს დიდი ჯგუფია, ბანდაა ქალების“.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სტატიის ყველა სიტყვა, ყველა აზრადი გამიზნულია მის დასამცირებლად, სახელის გასატეხად და ეს გაკეთებულია არა შემთხვევით, არამედ შეგნებულად, რის გამოც მას მიადგა მორალური ზიანი.

მოსარჩელემ განმარტა, რომ გაზეთმა ადრეც – 2004 წლის 25-26 მაისს გამოაქვეყნა სტატია სათაურით – „ფრთხილად, თბილისში გამომძაღველ ქალთა ბანდა მოქმედებს“, ხოლო მის სურათზე მინაწერია – „ნაციონალური მოძრაობის წევრი – პროფესიონალი გამომძაღველი?“ ამ სტატიის გამო მხარეებს შორის სასამართლოში მიმდინარეობდა დავა, შემდეგ მოპასუხემ 2007 წლის 15 მარტს გამოქვეყნებულ სტატიაში, კვლავ დაუშვა შეცდომა, როცა სტატიაში მის მიმართ დაწერა საშინელი სიტყვები და ისედაც გაუბედურებული, შვილმკვდარი დედა გამოიყვანა დამშანტაჟებელი და წამქეზებელი. ასეთი საქციელით გაზეთმა შეურაცხყო არა მხოლოდ მისი, არამედ, გარდაცვლილი შვილის სახელიც. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით მოსარჩელემ მოითხოვა თავის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 400.000 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით ზ. ს-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ს-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ზ. ს-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დასკვნები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის პირველი ინსტანციის განმხილველმა სასამართლომ სწორად გამოიყენა კანონი, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილები და ამავე მუხლის მე-4 პუნქტი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლომ დავის გადაწყვეტისას ასევე სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი და განმარტა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესის დაცვით ვერ დაადასტურა ის გარემოებები, რომელზედაც იგი ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა განმარტება იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს პრესის თავისუფლების შეზღუდვისა და პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, რადგან სტატიის სათაური და სტატიაში მოყვანილი ის ფრაზები, რომელსაც მოსარჩელე მიიჩნევს მისი პატივისა და ღირსების შემლახველად, არის ჟურნალისტური მოსაზრებები, რომლებიც ეფუძნება სტატიაში მითითებულ რესპოდენტებისაგან ჩამორთმეულ ინტერვიუებს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ არ შეიცავს მტკიცებას ზ. ს-ძის მიერ კონკრეტული დასჯადი ქმედების ჩადენის შესახებ, ხოლო მის შესახებ გამოთქმული შეფასებები ეფუძნება თავად მოსარჩელისა და სტატიაში მითითებული პირების მოსაზრებებს. გაზეთმა გააშუქა საზოგადოებისათვის საინტერესო მოვლენა, როდესაც თავად მოსარჩელემ მძიმე დანაშაულში საჯაროდ დაადანაშაულა პარლამენტის წევრი გ. ჯ-უა.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ უსაფუძვლოა მოსარჩელის მიერ პატივისა და ღირსების შემლახველ გარემოებად გაზეთის მე-11 გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე მითითება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინ, როცა მისი გამოსახულების გამოქვეყნებით ილახება პატივი და ღირსება. მოცემულ შემთხვევაში გაზეთის მე-11 გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოზე ზ. ს-ძე არ არის გამოსახული დამახინჯებული, შეურაცხმყოფელი ან ისეთი რაიმე ფორმით, რის გამოც გაზეთის მკითხველს შესაძლებელია ზ. ს-ძის შესახებ უარყოფითი აზრი ჩამოუყალიბდეს.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ზ. ს-ძემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილები და ამავე მუხლის მე-4 პუნქტი, ასევე, "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპული კონვენციის 53-ე მუხლი მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, "პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა".

იმისათვის, რომ სწორად განიმარტოს განსახილველი ნორმა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ უფლებაზე, რომლის დაცვას ითხოვს მოსარჩელე. კერძოდ, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მას შეეღახა პატივი და ღირსება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევაში რეპუტაციის უფლებით დაცული სფეროები შეიძლება მოიცავდეს ღირსების უფლებით დაცულ სფეროებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პიროვნების პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას. პიროვნების ღირსება წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლის შეფასების უნარი გააჩნია თვით ამ პირს და რომელიც მოიცავს საკუთარი მორალური თვისებების, საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებას. პატივი წარმოადგენს იმ ღირებულებათა თვისებას, რომელსაც პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა.

აქედან გამომდინარე, პატივი, ღირსება, რეპუტაცია შეფასებითი კატეგორიებია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ღირსება პიროვნების ისეთი არაქონებრივი სიკეთეა, რომლის შეფასება შესაძლებელია იმ პირის მიერ, რომელიც მოითხოვს თავისი ღირსების დაცვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელსაც ემყარება მოთხოვნა თუ შესაგებელი, შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტიზის დასკვნით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, კანონით არ არის დადგენილი, რომ პატივის, ღირსების, რეპუტაციის შელახვის ფაქტები უნდა დადასტურდეს კონკრეტული მტკიცებულებებით; ამდენად, აღნიშნული ღირებულებების შელახვის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებათა მეშვეობით, მათ შორის, თვით მოსარჩელის ახსნა-განმარტებითაც. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოდ იმაზე, რომ მხარეთა ახსნა-განმარტების ის ნაწილი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე

გარემოების არსებობა-არარსებობას ადასტურებს. ამასთან, მხარეთა ახსნა-განმარტებები უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რა დროსაც გასათვალისწინებელია კონკრეტული სამართალურ-თირთობის სპეციკა.

მიუხედავად ამისა, კასატორი ვერ უთითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც აუცილებელია მისი მოთხოვნის დასაყმყოფილებლად.

იმისათვის, რომ სტატიაში გავრცელებილი ინფორმაცია შეფასდეს უარყოფითად, უნდა არსებობდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ის სტანდარტი, რომელიც აუცილებელია, კონკრეტულ შემთხვევის გათვალისწინებით, პრესის თავისუფლების შეზღუდვისათვის, სტანდარტი, რომელიც მოითხოვება მწვავე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე გამოთქმული აზრის შეზღუდვას. რაც საბოლოოდ უნდა მიუთითებდეს გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ისეთ ჩარევაზე, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად, შემდეგ არ იქნა დადასტურებული ს-ძის მიერ სააპელაციო სასამართლოში და რაზედაც იგი არ უთითებს საკასაციო საჩივარში.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ს-ძემ ვერ დაადასტურა ის გარემოებები, რომელზედაც იგი ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნას.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევენდენტული სამართლის შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე, რომელიც იცავს გამოხატვის თავისუფლებას. განსახილველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...".

ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებებში ჩარევის შესაძლებლობებს, რითაც ასევე განსაზღვრულია ამ უფლებებში ჩარევის ის პირობები, რომლის არსებობისას აღნიშნული ჩარევა შეიძლება შეფასებულ იქნეს დადებითად.

განსახილველი მუხლის ორივე პუნქტი წარმოადგენს იმ ერთობას, რომლებიც არ არსებობს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ქმნის გამოხატვის თავისუფლების ერთიან დაცვის მექანიზმს.

კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, განხილულ უნდა იქნეს გამოხატვის თავისუფლების, სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის შორის ბალანსი და აღნიშნულთან მიმართებაში დასაშვები კრიტიკის ფარგლები. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პრესის თავისუფლების ინსტიტუტი, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში სწორად რომ პრესის მეშვეობით გავრცელდა სადავო გამონათქვამები.

კასატორი აღნიშნავს, რომ სტატიაში ხშირად არის ნახსენები ზ. ს-ძის მისამართით შემდეგი სიტყვები: "გამომძალველი", "სძალავდა", "აშანტაჟებდა." საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ სტატიის შინაარსშიც ზ. ს-ძე წარმოდგენილია როგორც მექრთამეობის წამქეზებელი. ასევე კასატორი აღნიშნავს, რომ სტატიაში ჟურნალისტი ავითარებს შემდეგ მოსაზრებას: "ქალბატონი სხვადასხვა დამუშავებული მაქინაციებით გავლენიან ადამიანებს ფულს სძალავდა".

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ აღნიშნული გამონათქვამები არ ქმნის პრესის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივ წინაპირობას.

როგორც აღნიშნა, კონვენციის მე-10 მუხლით ასევე დაცულია პრესის თავისუფლება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება პრესის ფუნქციაში გაავრცელოს საზოგადოების სხვადასხვა საკითხებზე ინფორმაცია და იდეები. აღნიშნულ ფუნქციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის და მისი შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს ისევე და ისევე დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად.

ამასთან, უნდა არსებობდეს სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ღირებულებებს შორის. კერძოდ, ერთ შემთხვევაში ჩვენ წინაშეა გამოხატვის თავისუფლების უფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში - სხვა პირთა უფლებები და ინტერესები.

უნდა აღნიშნოს, რომ პრესის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია შესაძლებელია შეიცავდეს სხვა პირთა უფლებების და მათი რეპუტაციის შელახვის რისკს. გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, გამოაგნებელი ან შემამფოთებელი, მაგრამ არ არსებობდეს ამ უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) ისეთი აუცილებელი წინაპირობა, რაც დაცულია განსახილველი კონვენციის მე-10 მუხლით, კერძოდ, ამ უფლების შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სიტყვები - "აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში" - კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განხილულ იქნეს "დასაშვები კრიტიკის" კონტექსტში. ამ საკითხის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მიზანს, რასაც ისახავდა სტატიით გავრცელებული

ინფორმაცია და იდეები, თუ რამდენად ითვალისწინებდა ფართო საზოგადოება აუცილებელი, საჭირო-როტო საკითხების გაცნობასა და მიწოდებას და რამდენად არსებობდა საზოგადოებისათვის ამ ინფორმაციის მიღების აუცილებლობა.

სამართლიანი ბალანსის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ გამოთქმული კრიტიკა საზოგადოებრივი ინტერესების საკითხს რამდენად ეხებოდა და აღნიშნულთან მიმართებაში პრესის მიერ თავისი თავისუფლების გამოხატვის უფლების განხორციელებაში საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო თუ არა სადავო გამოწვევების გავრცელება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად პრესის მიერ გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებისას, როდესაც სტატიაში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების ინტერესის საგანს და საზოგადოებრივი დებატების ნაწილს, ეთიუბა სტატიის მიზანზე - საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაზე. რასაც, თავისთავად შეიძლება შეეწიროს კონკრეტული პირის რეპუტაცია.

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ინტერესი გამოწვეულ იქნა თვით მოსარჩელეს მიერ გავრცელებულ ინფორმაციით.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ს-ძე მონაწილეობდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში. ამ შემთხვევაში "დასაშვები კრიტიკის" ფარგლები ფართოვდება, რა დროსაც კრიტიკის თემის მეტი ვალდებულება არსებობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე. კერძოდ, სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ გაზეთის მიერ გამოქვეყნულ იქნა საზოგადოებისათვის საყურადღებო ფაქტი, ხოლო საზოგადოების ყურადღება გამოიწვია თავად მოსარჩელის მიერ საჯაროდ, პარლამენტის წევრის გ. ჯ-უას დადანიშნულ-ებამ მიმე დანიშნულში. სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ ს-ძის შესახებ გამოთქმული შეფასებები ეფუძნება თავად მოსარჩელის და სტატიაში მითითებული პირების მოსაზრებებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის.

კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობაზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- ზ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინება;
- საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ატივისა და ღირსების დაცვა, შემლახველი ცნობების უარყოფა;
მორალური ზიანის ანაზღაურება**

განჩინება

#ას-711-1012-09

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის სახით სოლიდარულად 10 000 აშშ დოლარის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე შ. ც-მის სარჩელი მოპასუხეების შპს „ალია-ჰოლდინგის“ და თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსის გ. გ-ორის მიმართ მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნებისა და სოლიდარულად მორალური ზიანის - 10 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შ. ც-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინებით ძალაში დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დადგენილია, რომ მოსარჩელე შ. ც-მემ გარკვეული მოსაზრებით თავის მოკვლა გადაწყვიტა გერმანიის საელჩოსთან, რის შესახებაც თავად დაუკავშირდა საინფორმაციო საშუალებებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მან ინტერვიუც მისცა გაზეთ „ვერსი-ის“ ჟურნალისტს, სადაც ადასტურებს და თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტს აღნიშნული სტატია გამოქვეყნდა 2007 წლის 10-11 დეკემბრის 46-ე ნომერში სათაურით - „სკანდალი - პრეზიდენტობის კანდიდატი გერმანიის საელჩოს წინ თავს იკლავდა“.

დადგენილია, რომ იგივე ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „ქრონიკას“ 2007 წლის 10-16 დეკემბრის 48-ე ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტი ი. მ-მის სტატია სათაურით - „პრეზიდენტობის კანდიდატმა გერმანიის საელჩოს ღობეზე ბაწრით თავის ჩამოხრჩობა სცადა“. აღნიშნულ სტატიაში ქრონიკის ჟურნალისტი ი. მ-მე წერდა: „როგორც ქრონიკას აცნობეს, რამდენიმე დღის წინ პატრულმა გერმანიის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიიდან ასათიანის ქუჩაზე ფსიქიატრიულ კლინიკაში მამაკაცი გადაიყვანა. თვითმხილველთა თქმით მას უთქვამს, პრეზიდენტობის კანდიდატი შ. ც-მე ვარო“. იმავე სტატიაში გამოქვეყნებული იყო ჟურნალისტის მიერ თავად შ. ც-მისაგან მიწოდებული ინფორმაცია, სადაც შ. ც-მე აცხადებდა: „მივედი გერმანიის საელჩოსთან იმის გამო, რომ არ ჩამაყენეს თანაბარ პირობებში, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, მივმართე პროტესტის უკიდურეს ფორმას და გერმანიის საელჩოსთან განვიზრახე თავის ჩამოხრჩობა, თუმცა პატრულმა ამის საშუალება არ მომცა“. იგივე სტატიაში რესპოდენტი შ. ც-მე ჟურნალისტის შეკითხვაზე: „პატრულმა რომ გადაიყვანათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იქ რა გითხრეს?“ პასუხობს: „არაფერი, ხელი მომაწერინეს რაღაცეებზე და გამომიშვეს“.

საგაზეთო სტატიები გამოქვეყნდა ერთი და იგივე დროს, ორივე სტატიაში აღწერილი იყო შ. ც-მის მიერ გერმანიის საერჩოსთან თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტი, რასაც ადასტურებდა ჟურნალისტებთან ინტერვიუში თავად მოსარჩელე. ამდენად, თავად ფაქტი თვითმკვლელობის მცდელობისა შეესაბამებოდა სინამდვილეს და არ იყო ცილისწამება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საგაზეთო სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია საპატრულო პოლიციის მიერ მისი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით, მცდარი ფაქტია და მისთვის ზიანის მიმყენებელი; სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ საგაზეთო სტატიის მიხედვით, პატრულის თანაშემრომელთა მიერ შ. ც-მის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანის ფაქტი ჟურნალისტის მიერ გადამოწმდა თავად შ. ც-მესთან, რა დროსაც ამ უკანასკნელმა დაადასტურა ინფორმაციის სისწორე. იგივე სტატიაში რესპოდენტი ჟურნალისტის

შეკითხვაზე: „პატრულმა რომ გადავიყვანათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იქ რა გითხრეს“, პასუხობს: „არაფერი, ხელი მომწერინეს რაღაცეებზე და გამომიშვეს“. ამდენად, უდავოდ დადგინდა, რომ მოსარჩელის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას ჟურნალისტი ეყრდნობოდა თვით შ. ც-მის მიერ მიწოდებულ მონაცემებს. შესაბამისად, ეს ინფორმაცია ვერ ჩაითვლებოდა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ განცხადებად და ასეთადაც რომ ყოფილიყო მიჩნეული, მოპასუხეს მაინც ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რადგან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საგაზეთო სტატიაში გამოქვეყნებული ამ ინფორმაციით, ჟურნალისტის ბრალეულობა არ დადასტურდა, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მან მიღებული ინფორმაცია, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ შ. ც-მის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანის თაობაზე, გადაამოწმა უშუალოდ ამ უკანასკნელთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინება განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შ. ც-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის განცხადებით, მოპასუხეების მიერ სტატიაში მოყვანილი და გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და თავისი შინაარსით ცილისწამებლური იყო.

ის ფაქტი, რომ აღნიშნულ სტატიაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს შ. ც-მე გადაყვანილ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. აღნიშნული დადგინდა საქმეში არსებული #596\01-12 ცნობით, რომელმაც დაადასტურა, რომ 2007 წლის 1 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, მოქალაქე შ. ც-მე ზემოაღნიშნულ კლინიკაში არ ყოფილა შეყვანილი. სტატია კი სწორედ ამ პერიოდში იყო დაწერილი და ეხებოდა 2007 წლის 6 დეკემბერს მომხდარ ფაქტს. ყოველივე ამან კი დაადასტურა ის, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელეზე გაავრცელეს ცილისწამებლური განცხადებები, რითაც შეირაცხა მოსარჩელის პატივი და ღირსება, რამაც გამოიწვია მისთვის მორალური ზიანის მიყენება.

კერძოდ, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა კასატორის სტატუსი და სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია იგი საჯარო პირის სტატუსის მატარებელ სუბიექტად და სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა კერძო პირის ცილისწამება.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული და წარმოადგენდა დასაბუთებულ იმდენად არასაკმარისი იყო, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელი გახდა. კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ უცვლელად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. პირველი ინსტანციის სასამართლომ კი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი დაამყარა იმ გარემოებებზე, რომ თავად ფაქტი - თვითმკვლელობის მცდელობა, შეესაბამებოდა სინამდვილეს და არ იყო ცილისწამება. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში კასატორი სადავოდ ხდის არა თვითმკვლელობის მცდელობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების ფაქტს, არამედ იმას, რომ საგაზეთო სტატიაში მითითებული იყო, თითქოს იგი გადაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ეს ინფორმაცია კი დადგინდა, რომ არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამდენად, აღნიშნული წარმოადგენდა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელ ინფორმაციას, რაც დაედო კიდევ სასარჩელო მოთხოვნას.

კასატორის განცხადებით, სტატიის გამოქვეყნების დროს შ. ც-მე არ იყო პრეზიდენტობის კანდიდატი და, შესაბამისად, საჯარო პირიც, ამდენად, საზოგადოების ინტერესი ამ სახის ინფორმაციის მიღებაზე არ არსებობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ. ც-მემ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შ. ც-მის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით კი არ დაკმაყოფილდა შ. ც-მის სარჩელი შპს „ალია-ჰოლდინგის“ და თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსის გ. გ-ორის მიმართ მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნებისა და სოლიდარულად მორალური ზიანის - 10 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში გ. გ-ორი მითითებულია ფიზიკურ პირად, სარეზოლუციო ნაწილში კი მოხსენიებულია როგორც საპატრულო პოლიციის უფროსი გ. გ-

ორი. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შესავალ ნაწილშიც გ. გ-ორი მითითებულია ფიზიკურ პირად.

ამდენად სასამართლოს მიერ არ არის გარკვეული, თუ ვინ არის მხარე - ფიზიკური პირი გ. გ-ორი, თუ საპატრულო პოლიციის უფროსი გ. გ-ორი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ნებისმიერი პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო, შესაბამისად, საქართველოს შს სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. ასეთ შემთხვევაში კასატორის მოთხოვნა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

ამასთან, პალატა განმარტავს, რომ საპატრულო პოლიციის უფროსი არ შეიძლება გამოდიოდეს როგორც მხარე სასამართლოში იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ედავება გ. გ-ორს როგორც თანამდებობის პირს. მხარედ მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რადგან საპატრულო პოლიციის სამმართველო წარმოადგენს ამ უწყების სტრუქტურულ ქვედანაყოფს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარედ საქმეში ჩაებმება ზემოთ მითითებული სამინისტრო, საქმე განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს სოლიდარულად შპს "ალია-ჰოლდინგისა" და თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსისაგან ზიანის ანაზღაურებას, შეუძლებელია საქმე გაიყოს ორ ნაწილად და ორივე მოპასუხის მიმართ საქმე განხილულ უნდა იქნეს ერთი სამართალწარმოების წესით.

ამდენად, პალატამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს მოპასუხის ვინაობა და ისე გადაწყვიტოს დავა. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არ დაადგინა, თუ ვინ არის მოპასუხე და საქმე განიხილა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული დარღვევით, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შ. ც-მე საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინება განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა; მორალური ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ას-268-591-09

3 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი)

რ. ნადირიანი

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 25 სექტემბერს ქობულეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა მ. ხ-ძის წარმომადგენელმა დ. გ-იამ მოპასუხე ქობულეთის რაიონის გამგეობისა და ქობულეთის რაიონის სოფელ ... საკრებულოს გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხეთა ქმედებით მისთვის მიყენებული მორალური ზიანის - მოპასუხისათვის 100 000 ლარის დაკისრება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წლის 18 სექტემბერს ჩაჰზარდათ ქობულეთის რაიონის გამგეობისა და სოფელ ... საკრებულოს გამგეობის 2006 წლის 15 სექტემბრის სარჩელი, რომლის მეორე გვერდზე, მეორე აბზაცში, მოპასუხეებმა გაავრცელეს სიმართლის შეუსაბამო ცნობები, კერძოდ: „სამოქალაქო საქმე #3-44 და სისხლის სამართლის საქმე #1-115-დან ჩანს, რომ მიყენებულა მ. ხ-ძემ და გამყიდველმა დ. ც-ძემ არაფრად ჩააგდეს ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა, ვინაიდან ორივე მხარისთვის ცნობილი იყო, რომ ნასყიდობის საგანი წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, შესაბამისად, მიყიდველი მ. ხ-ძე არ წარმოადგენს მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერ შემძენს, მფლობელს. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს ნივთი. ე.ი. მ. ხ-ძემ მიწის ნაკვეთი უნდა დაუბრუნოს კანონიერ მესაკუთრეს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლით შეწყვიტოს ნივთის ფლობა. ორივე მხარემ, დ. ც-ძემ და მ. ხ-ძემ, არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მათთვის ხელსაყრელი პირობის დადგომას, კერძოდ, დ. ც-ძემ მიიღო შემოსავალი, ხოლო მ. ხ-ძემ აიცილა ბიუჯეტის სასარგებლოდ 76300 ლარის გადახდა“. მოცემული ცნობები არ შეეფერება სიმართლეს და სიცრუეა, მოსარჩელის პატივის, ღირსების და რეპუტაციის შემლახველი ცნობაა ის, რომ "მ. ხ-ძემ აიცილა ბიუჯეტის სასარგებლოდ 76300 ლარის გადახდა", რადგან ბიუჯეტის მიმართ ფულადი სახსრების გადახდის „აცილება“ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს ანუ მოპასუხეებმა მოსარჩელეს დანაშაული დააბრალეს, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსარჩელის პატივზე, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციაზე.

მოპასუხეების მიერ გავრცელებული ინფორმაცია და ცნობა არის ყალბი და არ შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო ზემოაღნიშნული ცილისმწამებლური განცხადებებით შეილახა მ. ხ-ძის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და მან მნიშვნელოვანი მორალური ზიანი განიცადა. ზემოთ აღნიშნული განცხადებით, როგორც ეს სარჩელშია მოყვანილი, მ. ხ-ძის სახელი და რეპუტაცია შეილახა. იგი ერთ-ერთი მსხვილი ზანკის - სს „თიბისი ზანკის“ დამფუძნებელი, პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა; ამავე დროს, როგორც ბიზნესმენი და მოქალაქე საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით. ზემოთ მოყვანილმა ცილისმწამებლურმა განცხადებამ კი ეჭვქვეშ დააყენა მისი კეთილსინდისიერება და პატიოსნება. მით უმეტეს, როცა საკითხი ეხება ისეთ სერიოზულ ბრალდებას, როგორც არის ბიუჯეტის მიმართ თანხების გადახდის დამალვა.

მოსარჩელემ მოითხოვა მ. ხ-ძის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებისთვის მოპასუხეებისათვის 100 000 ლარის დაკისრება, აგრეთვე, გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე მ. ხ-ძის წარმომადგენელმა დ. გ-იამ შეამცირა სარჩელის მოთხოვნა, კერძოდ, მოითხოვა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 5 000 ლარის დაკისრება გავრცელებული ინფორმაციისათვის და მ. ხ-ძისათვის ბოდიშის მოხდა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. ხ-ძის წარმომადგენლის - დ. გ-იას სარჩელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-ძის წარმომადგენელმა დ. გ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ხ-ძის წარმომადგენლის - დ. გ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ხ-ძის წარმომადგენლის - დ. გ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საპელაგო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელების მოსაზრება სარჩელში იმის თაობაზე, რომ "მ. ხ-მემ აიცილა ბიუჯეტის სასარგებლოდ 76300 ლარის გადახდა". ამასთან, გაიზიარა მოპასუხის მითითება "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია იმ განცხადების ცილისწამებად აღიარება, რომელიც დაფიქსირებულია სარჩელში.

საპელაგო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელებმა არ წარმოადგინეს თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც გააბათილებდა სადავო განცხადებას.

საპელაგო სასამართლომ მიუთითა, რომ ასევე არ დასტურდება ქობულეთის რაიონის გამგეობისა და ... რაიონის საკრებულოს მიერ სასარჩელო განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც გამორიცხავს ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის აზნაღაურების ვალდებულებას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. ხ-მის წარმომადგენელმა დ. გ-იამ. მან მიუთითა, რომ საპელაგო სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა სარჩელში მოყვანილი იურიდიული არგუმენტაცია და საერთოდ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, მთავარ სხდომაზე მიტანილ იქნა გაზეთი "კვირის პალიტრა", რომელშიც გამოქვეყნებული იყო სტატია მ. ხ-მის თაობაზე, რაც მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა.

კასატორი მიუთითებს, რომ მოპასუხეების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ("...ორივე მხარემ - დ. ც-მემ და მ. ხ-მემ არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მათთვის ხელსაყრელი პირობის დადგენას. კერძოდ, დ. ც-მემ მიიღო შემოსავალი, ხოლო მ. ხ-მემ აიცილა ბიუჯეტის სასარგებლოდ 76 300 ლარის გადახდა") არის ყალბი და არ შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო ზემოაღნიშნული ცილისწამებულური განცხადებებით შეილახა მ. ხ-მის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, მან მნიშვნელოვანი მორალური ზიანი განიცადა. ზემოთ აღნიშნული განცხადებით, როგორც ეს სარჩელშია მოყვანილი შეილახა მ. ხ-მის სახელი და რეპუტაცია. ყოველივე ეს პიროვნების დისკრედიტაციისკენაა მიმართული. მ. ხ-მე ერთ-ერთი მსხვილი ბანკის - სს "თიბისი ბანკის" დამფუძნებელია, პარტიორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა, ამავე დროს, როგორც ბიზნესმენი და მოქალაქე საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით, ზემოთ მოყვანილმა ცილისწამებულმა განცხადებამ კი ეჭვქვეშ დააყენა მისი კეთილსინდისიერება და პატიოსნება, მით უმეტეს, როცა საკითხი ეხება ისეთ სერიოზულ ბრალდებას, როგორც არის ბიუჯეტის მიმართ თანხების გადახდის დამალვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის საგანს წარმოადგენს ქობულეთის რაიონის გამგეობას და სოფ. ... რაიონის საკრებულოს პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების, კერძოდ, ქობულეთის რაიონის გამგეობისა და სოფელ ... რაიონის საკრებულოს მიერ 2006 წლის 15 სექტემბრის სარჩელის მეორე გვერდზე, გავრცელებული ცნობების (" ... მ. ხ-მემ აიცილა ბიუჯეტის სასარგებლოდ 76 300 ლარის გადახდა") უარყოფა. ამრიგად, ცნობები, რომლის უარყოფას ითხოვს მოსარჩელე, ასახულია 2006 წლის 15 სექტემბრის ქობულეთის რაიონის გამგეობისა და სოფელ ... რაიონის საკრებულოს სასარჩელო განცხადებაში, რომელიც შეტანილია ქობულეთის რაიონულ სასამართლოში.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში გაკეთებული განცხადება არ იწვევს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა ეხება წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე პირის მიერ გაკეთებულ არა ნებისმიერ განცხადებას, არამედ - ისეთ განცხადებას, რომელიც გაკეთებულია თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, რაც უშუალოდ უკავშირდება მისი, როგორც პროცესუალური მხარის უფლებამოსილებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქობულეთის რაიონის გამგეობას და სოფ. ... რაიონის საკრებულოს მიერ სასარჩელო წარმოების წესით (სადაც მოყვანილია სადავო გამონათქვამები) დაცვის უფლება განხორციელებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში (საწინააღმდეგოს არ უთითებს კასატორი).

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სადავო გამონათქვამი: "... ორივე მხარემ - დ. ც-მემ და მ. ხ-მემ არაკეთილსინდისიერად შეუწყოს ხელი მათთვის ხელსაყრელი პირობის დადგენას, კერძოდ, დ. ც-მემ მიიღო შემოსავალი, ხოლო მ. ხ-მემ აიცილა ბიუჯეტის სასარგებლოდ 76 300 ლარის გადახდა" უკავშირდება ამ გამონათქვამების ავტორთა მიერ ამავე პროცესუალურ დოკუმენტში მოყვანილ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 98-ე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტებას, რომლის უფლებაც (ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების ფარგლების გათვალისწინებით) განსაზღვრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამები მიზნად ისახავენ არა ცილისწამებლურ ცნობების გავრცელებას, არამედ - სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებას, რომლითაც ისინი სარჩელში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს აფასებენ.

ზუსტად, რომ საკასაციო საჩივარში კასატორის მიერ მოყვანილ ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან საქმეზე "ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ" დგინდება, რომ სასამართლომ გაიზიარა განმცხადებლის (ლინგერის) მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გამონათქვამები "დაბალხარისხიანი ოპორტუნიზმი", "ამორალური", "უღირსი" შეფასებითი ხასიათისაა, ხოლო შეფასებითი ცნებების ჭეშმარიტების დადგენის მითხოვნა შეუძლებელია. ამიტომ სასამართლომ აღნიშნა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ ქობულეთის რაიონის გამგეობას და სოფ. ... რაიონის საკრებულოს მიერ სადავო სარჩელის მთლიან კონტექსტის გათვალისწინებით მოყვანილი ფრაზა: "... ორივე მხარემ - დ. ც-მემ და მ. ხ-მემ არაკეთილსინდისიერად შეუწყეს ხელი მათთვის ხელსაყრელი პირობის დადგენას, კერძოდ, დ. ც-მემ მიიღო შემოსავალი, ხოლო მ. ხ-მემ აიცილა ბიუჯეტის სასარგებლოდ 76 300 ლარის გადახდა", ისეთი შეფასებაა, რომლითაც მხარე ცდილობდა არაკეთილსინდისიერი მფლობელის ინსტიტუტი დაესაბუთებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე, 168-ე და 98-ე მუხლების მიხედვით, რომლის უფლებამოსილება მას გააჩნია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით.

არ შეიძლება ასევე გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მის მიერ წარდგენილი გაზეთ "კვირის პალიტრის" ნომერში გამოქვეყნებული სტატია მ. ხ-მის თაობაზე სასამართლომ არ შეაფასა.

საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: სააპელაციო სასამართლოს ოქმით დასტურდება, რომ სასამართლომ დაუსვა კითხვა მ. ხ-მის წარმომადგენელს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს უნდა შეეფასებინა და შესთავაზა დრო ამ მტკიცებულების წარსადგენად.

აღნიშნულ კითხვაზე მ. ხ-მის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რადგან მხარემ ფაქტობრივად დაადასტურა ამ მტკიცებულების არსებობა და მისი შინაარსი, ამით დაადასტურა, რომ ინფორმაცია გავრცელდა საჯაროდ, პრესის საშუალებით, მან მოხსნა შუამდგომლობა ამ საგაზეთო პუბლიკაციის წარდგენის შესახებ.

ამდენად, არც სასამართლო ოქმით და არც საკასაციო საჩივარში არ არის მითითება იმაზე, თუ რა ინფორმაცია იყო გავრცელებული და როგორ უკავშირდებოდა ეს ინფორმაცია განსახილველ საკითხს და, აქედან გამომდინარე, არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ პროცესუალური ნორმების დარღვევის ფაქტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

- მ. ხ-მის წარმომადგენლის - დ. გ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პატივისა და ღირსების დაცვა;
მორალური ზიანის ანაზღაურება**

განჩინება

#ას-440-754-09

3 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. დ-მემ და მ. დ-მე-გ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. დ-მე-ა-მის, ნ. დ-მე-ბ-მის, მ. დ-მის, ვ. გ-შვილის, ო. ჯ-მისა და გ. ტ-მის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს მოპასუხეთა მიერ პატივისა და ღირსების შეურაცხყოფის შედეგად მათთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 30 000 ლარის ოდენობით, მოპასუხეთათვის ამ თანხის სოლიდარულად გადახდის დაკისრებით და მოპასუხეებისათვის ა. (ა.) დ-მის მკვლელობასა და გაუჩინარებასთან მოსარჩელეთა კავშირის შესახებ, მათი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა.

მოსარჩეველმა მიუთითეს, რომ "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით ცილისწამება გულისხმობს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელ, სახელის გამტებ განცხადებას და ამგვარი მოსაზრება არ უნდა შეიცავდეს დადასტურებულ ან უარყოფელ ფაქტებს. ამასთანავე, ცილისწამებისათვის პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს ასევე ის, ვინც, მართალია, არ არის აღნიშნული განცხადების ავტორი, მაგრამ აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებმა საჯაროდ დაადასტურეს ცოლ-ქმარი მ. და დ. დ-მეები, ხოლო მოპასუხეთა დანარჩენმა ნაწილმა ტელევიზიაში საჯარო გამოსვლით გამოხატეს პირდაპირი მხარდაჭერა ცილისწამებულ განცხადებაზე (ვ. გ-შვილმა, გ. ტ-მემ, მ. დ-მემ).

მოსარჩეველმა მიუთითეს, რომ მოპასუხეთა განცხადებებმა შეცდომაში შეიყვანა სოფელი, საზოგადოება, საინფორმაციო საშუალებები, რის შედეგად მ. და დ. დ-მეები წარმოჩინდნენ კაცის მკვლელებად, ღირსებისა და პატივის მოკლებული ადამიანები. მოპასუხე მხარე ცდილობდა საზოგადოების თვალში მოსარჩეველები წარმოეჩინა როგორც სასტიკები და კაცის მკვლელები, რომელთა წინააღმდეგი მთელი სოფელია და სოფლიდან "მოკვეთას" იმსახურებენ.

მოსარჩეველმა აღნიშნეს, რომ ამგვარმა ცილისწამებულმა განცხადებებმა "სასურველი შედეგი" გამოიღო, რომლის გამოც ცოლ-ქმარს უკვე მთელი საზოგადოება ეჭვის თვალთ უყურებს. მათთვის მოუშუშებელ ტკივილად დარჩა შელახული და ფეხქვეშ გათელილი ღირსება, სოფელ კოხში ცხოვრება გაუსაძლისად იქცა და საშიში გახდა. ამას დაერთო მ. დ-მის მძიმე სულიერი მდგომარეობა. მოპასუხეთა ცილისწამებულმა განცხადებებმა გამოიწვია მ. დ-მის ჯანმრთელობის შერყევა, კერძოდ, დაესვა დიაგნოზი პრექტიმაქტერიული ნევროზი, ემოციური სტრესი.

მოსარჩეველმა მოითხოვეს მორალური ზიანის სახით მოპასუხეებისათვის 30 000 ლარის დაკისრება და მოპასუხეთა დავალდებულება, უარყოს პატივისა და ღირსების შეურაცხყოფელი ცნობები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით დ. დ-მისა და მ. დ-მე-გ-შვილის სარჩელი ნ. დ-მე-ა-მის, ნ. დ-მე-ბ-მის, მ. დ-მის, ვ. გ-შვილის, ო. ჯ-მისა და გ. ტ-მის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხეებს - ნ. დ-მე-ა-მეს, ნ. დ-მე-ბ-მეს, მ. დ-მესა და ო. ჯ-მეს დაევალიათ, აჭარის ტელევიზიის საშუალებით უარყონ 2006 წლის 16 ივნისსა და 15 ივლისს გავრცელებული მოსარჩელეთა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები ა. დ-მის მკვლელობასა და გაუჩინარებასთან მოსარჩელეთა კავშირის შესახებ; მოპასუხეებს: ნ. დ-მე-ა-მეს, ნ. დ-მე-ბ-მეს, მ. დ-მესა და ო. ჯ-მეს მორალური ზიანის საკონპენსაციოდ სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ 500 ლარის გადახდა; სარჩელის დანარჩენ ნაწილის დაკმაყოფილებაზე დ. დ-მეს და მ. დ-მე-გ-შვილს უარი ეთქვათ უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. დ-მემ და მ. დ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინებით დ. დ-მისა და მ. დ-მე-გ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები იმის შესახებ, რომ ქობულეთის რაიონის სოფელ კოხში, ერთ ოჯახში ცხოვრობდნენ მოსარჩეველები და დ. დ-მის მამა, ა., იგივე ა. დ-მე. 2005 წლის 17 მაისს, დაახლოებით 23 საათზე, ა. დ-მე გაუჩინარდა და შინ აღარ დაბრუნებულა. ამის თაობაზე მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა მოსარჩევეებს გამოძიების ორგანოთა მხრიდან ბრალი არ წაყენებიათ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2006 წლის 16 ივნისსა და 15 ივლისს აჭარის ტელევიზიასა და ტელეკომპანია "იმედისათვის" მიცემულ ინტერვიუში ნ. დ-მე-ა-მემ, ნ. დ-მე-ბ-მემ, მ. დ-მემ და ო. ჯ-მემ მიანიშნეს ა. დ-მის გაუჩინარებასთან მოსარჩელეთა კავშირზე, რითაც შელახეს მათი პატივი და ღირსება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს პოზიცია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრაში და მიუთითა, რომ მოსარჩელებს უნდა წარმოედგინათ იმის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის ცილისწამებლური ცნობების უარყოფის დავალდებულება და 500 ლარის დაკისრება არ წარმოადგენდა ჯეროვან ანაზღაურებას მიყენებული მორალური ზიანისათვის, რაც მოსარჩელებს არ წარმოუდგენიათ. პალატამ მიუთითა, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ასევე საქალაქო სასამართლოს მოსაზრება გ. ტ-მისა და ვ. გ-შვილის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. პალატამ დაადგინა, რომ ვ. გ-შვილისა და გ. ტ-მის განცხადებებიდან არ დგინდება, რომ ისინი აშკარად და პირდაპირ, დაეთანხმნენ გავრცელებულ ცნობებს ა. დ-მის გაუჩინარებასთან მოსარჩელეთა კავშირის შესახებ.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს მ. დ-მე-გ-შვილმა და დ. დ-მემ, რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით დაკისრებული თანხის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მ. დ-მის სახელზე გაცემული ჯანმრთელობის ცნობა არასაკმარისად ჩაითვალა, რაც არასწორია, რადგან მარტოდენ ცნობა არ არის განმსაზღვრელი მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის. ფულადი კომპენსაციით მორალური ზიანის ანაზღაურების განმსაზღვრელია ის გარემოება, შეიძლება თუ არა ხელმოყოფის მიმართ დაკისრებულმა თანხამ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელება. სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი. კასატორების მოსაზრებით, მოწინააღმდეგეთა მიმართ დაკისრებული ჯარიმა - 500 ლარი არაგონივრულად დაბალი სანქციაა, რომელიც ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებას არ უწყობს ხელს.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ვ. გ-შვილისა და გ. ტ-მის ამორიცხვა დანარჩენი მოპასუხეებიდან არასწორია, რადგან მათ მიერ ტელევიზიით გამოთქმული ფრაზები გამოხატავდა პირდაპირ მხარდაჭერას ცილისწამებლურ განცხადებაზე.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა "აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არასწორია, კერძოდ, თ. კ-მეს, რომელიც იყო მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი, არ გააჩნდა საადვოკატო უფლების დამადასტურებელი მოწმობა და ამდენად, ავადმყოფობის გამო, მისი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. დ-მემ და მ. დ-მე-გ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. დ-მე-ა-მის, ნ. დ-მე-ბ-მის, მ. დ-მის, ვ. გ-შვილის, ო. ჯ-მისა და გ. ტ-მის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს მოპასუხეთა მიერ პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების შედეგად მათთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 30 ათასი ლარის ოდენობით, მოპასუხეებისათვის ა. (ა.) დ-მის მკვლელობისა და გაუჩინარებასთან მოსარჩელეთა კავშირის შესახებ მათი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, კერძოდ, ნ. დ-მემ კომენტარებისას გამოიყენა შემდეგი ფრაზები: "ჩემი ძმის ძვლები მომიტანონ და საფლავი მომცენ"; "მკვდარი მომიყვანონ და დამისაფლავონ"; "მოკლული ყავთ"; "მეცოდება ჩემის ძმა ასე სასიკვდილოდ". ნ. დ-მემ კი თქვა: "მაგენმა იფიქრეს დები, ძმები ვინმე არ ყავს არავინ მოძებნის", "მკვლელები არიან"; "მაგენმა იციან ეს"; "სანამ კლექტებში არ ამოყოფენ თავს". მ. დ-მემ განაცხადა, რომ ცოლ-ქმარი ყოველთვის ეჩხუბებოდა და ავიწროებდა დაკარგულს. ო. ჯ-მემ განაცხადა, რომ: "ამის ნიადაგზე არის საფუძვლიანო ეჭვი, რომ მაგათმა მოიშორეს და გააქრო ა. დ-მე". მოპასუხეებს ნ. დ-მე-ა-მეს, ნ. დ-მე-ბ-მეს, მ. დ-მეს, ო. ჯ-მეს დაევალიათ აჭარის ტელევიზიის საშუალებით 2006 წლის 16 ივნისს და 15 ივლისს გავრცელებული ა. (ა.) დ-მის მკვლელობისა და გაუჩინარებასთან მოსარჩელეთა კავშირის შესახებ მათი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა. მოპასუხეებს - ნ. დ-მე-ა-მეს, ნ. დ-მე-ბ-მეს, მ. დ-მეს, ო. ჯ-მეს მორალური ზიანის საკომპენსაციოდ სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ 500 ლარის გადახდა. სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით მოპასუხეებს: ნ. დ-მე-ა-მეს, ნ. დ-მე-ბ-მეს, მ. დ-მეს, ო. ჯ-მეს დაევალიათ აჭარის ტელევიზიის საშუალებით 2006 წლის 16 ივნისს და 15 ივლისს გავრცელებული ა. (ა.) დ-მის მკვლელობისა და გაუჩინარებასთან

მოსარჩელეთა კავშირის შესახებ მათი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ სოლიდარულად მოსარჩელეთა სასარგებლოდ 500 ლარის გადახდა, რაც შესულია კანონიერ ძალაში.

კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება სარჩელის დაუკმაყოფილების ნაწილში, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელებს უარი ეთქვათ ვ. გ-შვილისათვის და გ. ტ-ძისათვის ა. (ა.) დ-ძის მკვლელობისა და გაუჩინარებასთან მოსარჩელეთა კავშირის შესახებ მათი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფასა და ნ. დ-ძე-ა-ძისათვის, ნ. დ-ძე-ბ-ძისათვის, მ. დ-ძისათვის, ვ. გ-შვილისათვის, ო. ჯ-ძისა და გ. ტ-ძისათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის 29500 ლარის დაკისრებაზე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფა ამცირებს ფულადი კომპენსაციის ოდენობას, რადგან ფულადი ანაზღაურება მორალური ზიანის კომპენსაციაა, რაც განისაზღვრება არა ეკვივალენტური პრინციპით, არამედ მიმართულია მიყენებული ტანჯვისა და სულიერი განცდების შემსუბუქებაზე. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, როდესაც ილახება პიროვნების პატივი, ღირსება, რეპუტაციის შელახვის შედეგად მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ღირებულებების შელახვის უარყოფას იმავე საშუალებებით და აქედან გამომდინარე, იმ ეფექტის დაკმაყოფილებას, რომლის იურიდიული ინტერესი გააჩნია დაზარალებულს. ზუსტად ამ ეფექტის შეფასება შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ კრიტერიუმს, რომლითაც ხდება მორალური ზიანის ოდენობის დადგენა. "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების" შესახებ საქართველოს კანონის მე-17-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ანდა არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. ამდენად, პატივის, ღირსებისა, რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფით მიღებული ეფექტი არ უნდა იყოს საკმარისი, რათა მაქსიმალურად შემსუბუქდეს დაზარალებულის სულიერი ტანჯვა თუ განცდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორები საკასაციო საჩივარში არ უთითებენ და არ ამახვილებენ ყურადღებას ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლითაც დგინდება, რომ მოპასუხეებისათვის სასამართლოს მიერ დაკისრებული ცნობების საჯაროდ უარყოფა არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, რაც უნდა შეეფასებინა და არ შეეფასა ან არაჯეროვნად შეეფასა სააპელაციო სასამართლომ.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურებით. "გონივრული" და "სამართლიანი" შეფასებითი ცნებებია და იმისათვის, რომ განი-საზღვროს არაქონებრივი ზიანის ოდენობა, აუცილებელია გავითვალისწინოთ როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორებიც, კერძოდ, მორალური ზიანის ხარისხი, ასევე, დაზარალებულისა და ზარალის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა, რომ მორალური ზარალის ანაზღაურება არ გახდეს უსაფუძვლო გამდიდრების წყარო.

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია, რომ მოპასუხეები ნ. დ-ძე, ნ. დ-ძე-ბ-ძე, მ. დ-ძე არიან მოხუცებულები და მათ რეგულარული შემოსავალი, პენსიის გარდა, არ გააჩნიათ. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩელე მ. დ-ძე-გ-შვილის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გაუარესებას. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. გ-შვილს პრეკლიმაქტერული ნევროზისა და ემოციური სტრესის შესახებ დიაგნოზი დაესვა 2006 წლის 12 ივლისს, ხოლო განსახილველი ცნობები გავრცელდა 2006 წლის 15 ივლისს, ანუ მითითებული დიაგნოზი დასმული იყო სატელევიზიო სიუჟეტის გაშვებამდე სამი დღით ადრე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ საკასაციო საჩივარი მითითებებს არ შეიცავს. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის კასატორები უთითებენ მხოლოდ ზიანის სიმძიმის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე, რასაც მნიშვნელობა გააჩნია მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის, მაგრამ არ არის საკმარისი.

საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა გ. ტ-ძისა და ვ. გ-შვილის მიმართ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გ. ტ-ძისა და ვ. გ-შვილის განცხადებებიდან არ დგინდება ფაქტი იმის შესახებ, რომ ისინი აშკარად და პირდაპირ უჭერდნენ მხარს ცილისწამებას, კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს გ. ტ-ძისა და ვ. გ-შვილის შემდეგი

გამონათქვამები: ვ. გ-შვილის სიტყვები: "რატომ უნდა იცხოვროს ჩვენთან, წავიდეს აქედან"; გ. ტ-მის სიტყვები: "ამხელა კაცი სად წავიდა თავისთავად ცხადია არავინ ეძებს".

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების" შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, "ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი ან რედაქტორი ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას."

კონკრეტულ შემთხვევაში პასუხი უნდა გეცეს კითხვას, გ. ტ-მისა და ვ. გ-შვილის ზემოაღნიშნული გამონათქვამები რამდენად აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს ნ. დ-მე-ა-მის, ნ. დ-მე-ბ-მეს, მ. თ-მის, ო. ჯ-მეს მიერ გაკეთებულ განცხადებებს? "აშკარად და პირდაპირი" მხარდაჭერა ცილისწამებლური განცხადების მიმართ, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მხარდაჭერას, ანუ გაზიარებას უშუალოდ იმ ფაქტებისა, რომლებიც ცილისწამების შეფასების საგანს წარმოადგენდნენ, რაც პირდაპირ უნდა მიუთითებდეს მის უშუალო დამოკიდებულებაზე ამ ცილისწამებლური ფაქტების ნამდვილობის შესახებ და არა აღნიშნული გამონათქვამების ავტორის სუბიექტურ მოსაზრებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე, რომელიც იცავს გამოხატვის თავისუფლებას. განსახილველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...".

ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ამ უფლებებში ჩარევის შესაძლებლობებს, რითაც ასევე განსაზღვრულია ამ უფლებებში ჩარევის ის პირობები, რომელთა არსებობისას აღნიშნული ჩარევა შეიძლება შეფასებულ იქნეს დადებითად.

განსახილველი მუხლის ორივე პუნქტი წარმოადგენს იმ ერთობას, რომლებიც არ არსებობს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ჰქმნიან გამოხატვის თავისუფლების ერთიან, დაცვის მექანიზმს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნ. დ-მე-ა-მეს, ნ. დ-მე-ბ-მის, მ. დ-მის, ო. ჯ-მის მიერ გაკეთებულ განცხადებების მიმართ აშკარად და პირდაპირ მხარდაჭერის განსაზღვრისათვის ასევე უნდა არსებობდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ის სტანდარტი, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად, რაც არ იქნა დადასტურებული კასატორების მიერ სააპელაციო სასამართლოში და რაზედაც ისინი არ უთითებენ საკასაციო საჩივარში.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატის განმარტებით, კასატორებს მიერ არ დასტურდება, რომ სადავო გამონათქვამებიდან (ვ. გ-შვილის სიტყვები: "რატომ უნდა იცხოვროს ჩვენთან, წავიდეს აქედან" და გ. ტ-მის სიტყვები: "ამხელა კაცი სად წავიდა თავისთავად ცხადია არავინ ეძებს") ვლინდება იმ ცილისწამებლური განცხადების (ე.ი. ცილისწამებლური ფაქტების) მიმართ აშკარა და პირდაპირი მხარდაჭერაა გამოხატული, (კერძოდ, ნ. დ-მემ მომხდარის კომენტარებისას გამოიყენა შემდეგი ფრაზები: "ჩემი ძმის ძვლები მომიტანონ და საფლავი მომცენ"; "მკვდარი მომიყვანონ და დამისაფლავონ"; "მოკლული ყავთ"; "მეცოდება ჩემის ძმა ასე სასიკვდილოდ". ნ. დ-მემ კომენტარებისას გამოიყენა შემდეგი ფრაზები: "მაგენმა იფიქრეს დები, ძმები ვინმე არ ყავს არავინ მომეზნის", "მკვლელები არიან"; "მაგენმა იციან ეს"; "სანამ კლექტებში არ ამოყოფენ თავს". მ. დ-მემ განაცხადა, რომ ცოლ-ქმარი ყოველთვის ეჩხუბებოდა და ავიწროებდა დაკარგულს. ო. ჯ-მემ განაცხადა, რომ: "ამის ნიადაგზე არის საფუძვლიანო ეჭვი, რომ მაგათმა მოიშორა და გააქრო ა. დ-მე"), რაც უნდა შეეფასებინა და არ შეაფასა ან არასათანადოთ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

ასევე ითხოვენ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის განჩინების გაუქმებას, რომლითაც გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინების გაუქმების საფუძვლად კასატორები უთითებენ იმ გარემოებაზე, რომ თ. კ-მეს, რომელიც იყო მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი, არ გააჩნდა საადვოკატო უფლების დამადასტურებელი მოწმობა. ამდენად, მისი გამოუცხადებლობა, ავადმყოფობის გამო, არ წარმოადგენდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ 2008 წლის 4 დეკემბერს სხდომაზე აპელანტების მიერ დაზუსტებული მოთხოვნისა და ფაქტობრივი გარემოებების შესახებ საჩივრის ავტორებისათვის (ნ. დ-მის, ნ. ბ-მის, მ. დ-მის, ო. ჯ-მის, გ. ტ-მისათვის) ცნობილი არ იყო. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტისა და 241-ე მუხლით, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მხარეს არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, ხოლო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად დაედო არა საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, არამედ საქართველო-

ველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, რომლის საწინააღმდეგოდ კასატორები არ უთითებენ.

ამრიგად, კასატორები ვერ უთითებენ ისეთი მტკიცებულებებზე, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. დ-მე-გ-შვილისა და დ. დ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტისა და 12 მარტის განჩინებები; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

განჩინება

#ას-892-1199-07

14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 16 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ო. კ-მემ და მოითხოვა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება. განმცხადებლის განმარტებით, იგი მუშაობდა საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის არამადნეულ და სამშენებლო მასალების კომბინატის დირექტორის თანამდებობაზე და იგი ქ.ქუთაისის მერის 1993 წლის 1 ნოემბრის #674 განკარგულების საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურიდან, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს პოლიტიკურ რეპრესიად იმ საფუძველით, რომ იგი იმ პერიოდისათვის მხარს უჭერდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ო. კ-მის განცხადება პოლიტიკურ მსხვერპლად აღიარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ო. კ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 იანვრის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ო. კ-მის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ო. კ-მის განცხადება პოლიტიკურ მსხვერპლად აღიარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ო. კ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ო. კ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ო. კ-მემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით განცხადების დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა - კანონიერების შემოწმების

შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ო. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და გამოყენებული სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, დადგენილია, რომ ო. კ-მე მუშაობდა საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის არამადნეული მასალების კომბინატის დირექტორის თანამდებობაზე და იგი ქუთაისის მერის 1993 წლის 1 ნოემბრის #674 განკარგულებით "საგანგებო წესების თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის მესამე პუნქტისა და "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების თაობაზე" საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულების მე-7 მუხლის "ა" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საგანგებო წესების მოქმედების პერიოდში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების თავის არიდების გამო, გათავისუფლებულ იქნა "საქსაშენმასალების" ქუთაისის საქარმადნეულის კომბინატის დირექტორის თანამდებობიდან, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს პოლიტიკურ რეპრესიად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორი ვერ უთითებს პროცესუალურ დარღვევებზე, რამაც გამოიწვია სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი უთითებს პოლიტიკურ რეპრესიად ცნობის შესახებ შემდეგ გარემოებებზე:

ქუთაისის მერის 1993 წლის 1 ნოემბრის #674 განკარგულებით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პოლიტიკური შეხედულებების გამო;

ქალაქის მერის უშუალო განკარგულების საფუძველზე 1993 წლის 15 დეკემბერს იყო დაპატიმრებული და 1 წლისა და 7 თვის შემდეგ განთავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

1992-93 წლებში თვითონ და მისი ოჯახი განიცდიდდნენ დევნას.

კასატორის მიერ მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ "პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი მიიჩნევს პოლიტიკურ რეპრესიად ისეთ იძულების ფორმებს, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნა, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა. ამასთან ერთად აღნიშნული მოქმედებები განხორციელებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით, რაც უშუალო კავშირში უნდა იყოს დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით და სხვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ქუთაისის მერის 1993 წლის 1 ნოემბრის #674 განკარგულებით განთავისუფლდა დაკავებულ თანამდებობიდან პოლიტიკური შეხედულებების გამო. აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პოლიტიკური რეპრესიის სხვერპლად აღიარებისათვის აუცილებელია, რომ კანონიერ ძალაში სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ იქნეს მითითებული განკარგულება უკანონოდ, რაც წარმოადგენს ცალკე განხილვის (შრომითი სამართალურთიერთობები) საგანს. მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს იქნეს თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნის ფაქტი. ამასთან ერთად უნდა არსებობდეს ფაქტები, რომლებიც მიუთითებს უკანონო დათხოვნის პოლიტიკურ მოტივზე. კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ქუთაისის მერის 1993 წლის 1 ნოემბრის #674 განკარგულების არაკანონიერად ცნობის შესახებ, რაც სამართლებრივად უსაფუძვლოს ხდის დათხოვნის პოლიტიკურ მოტივებზე მითითებას.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ქალაქის მერის უშუალო განკარგულების საფუძველზე 1993 წლის 15 დეკემბერს იყო დაპატიმრებული 1 წლისა და 7 თვის განმავლობაში.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ განაჩენის არსებობა, აუცილებელია, რომ ერთობლიობაში არსებობდეს კანონით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი კომპონენტი, კერძოდ, უშუალო კავშირში უნდა იყოს დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით და სხვა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმაში პოლიტიკურ რეპრესიის ჩამოთვლილი ფორმების გარდა კანონის მე-4 მუხლი ასევე ითვალისწინებს პოლიტიკური რეპრესიის ფორმებს, მაგრამ

აღნიშნული ნორმა აკონკრეტებს პირებს, რომლებიც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა. კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი ვერ უთითებს მტკიცებულებებზე, რომლითაც დასტურდება ფაქტი იმის შესახებ, რომ ის მსჯავრდებული იყო განსახილველი ნორმით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რისთვისაც უნდა ასევე არსებობდეს პოლიტიკური მოტივაცია.

კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორის მიერ მოყვანილ მეორე არგუმენტთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გარემოება, რომელიც მიუთითებს მის მიმართ გამოტანილი განაჩენის უკანონობაზე, რომელიც როგორც მას მიაჩნია, გამოტანილი იყო მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, უნდა დადგინდეს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, კერძოდ, "პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც რეაბილიტებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურებში სამსახურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას.

ამრიგად, კასატორის მიერ არ დასტურდება არც მისი რეაბილიტაციის ფაქტი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების სამართლებრივ წინაპირობას. კასატორის მიერ ასევე არ დასტურდება მისი და მისი ოჯახის მიმართ პოლიტიკური დევნის ფაქტებიც, რაც უნდა გამოიკვლია და არ გამოიკვლია ან არასათანადო გამოიკვლია სააპელაციო სასამართლომ.

აღნიშნული მოქმედებები უნდა დასტურდებოდეს, სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით, რაც უშუალო კავშირში უნდა იყოს დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით და სხვა, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

- ო. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. საავტორო უფლებათა დაცვა

საავტორო უფლების დარღვევის აღკვეთის მოთხოვნის უფლება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-568-798-08

25 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "ტელეიმედმა" სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ტელეკომპანია მზის" მიმართ საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანის - 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2004 წლის 5 ნოემბერს შპს "ტელეკომპანია მზემ" ტელეეთერით საჯაროდ გადასცა მხატვრული ფილმი "თუნუქის დოლი", რასაც ადასტურებს გაზეთ "თV პროგრამაში" გამოქვეყნებული სამაუწყებლო ბადე. აღნიშნული ფილმის საქართველოს ტერიტორიაზე საჯარო გადაცემის განსაკუთრებული უფლება, კომპანია „OU RP შთUDIOშ“ და შპს "ტელეიმედს" შორის 2003 წლის 25 ივნისის 2003 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სალიცენზიო ხელშეკრულების თანახმად, ეკუთვნოდა შპს "ტელეიმედს". ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილება დასტურდება უცხოურ კომპანიებს შორის 2002 წლის 25 მარტს დადებული სატელევიზიო გადაცემების გავრცელების ხელშეკრულებით, ხოლო უფლება ფილმზე - "თუნუქის დოლი", რომელიც გადაცემული აქვს კომპანია „OU RP შთUDIOშ-ის“, დამატებით დასტურდება "ცენტრალ ფარტნერშიპის" 2004 წლის 17 დეკემბრის წერილით. მოსარჩელის მოსაზრებით, შპს "ტელეკომპანია მზემ" დაარღვია შპს "ტელეიმედის" განსაკუთრებული უფლება საქართველოს ტერიტორიაზე მხატვრული ფილმის - "თუნუქის დოლის" საჯარო გადაცემაზე, არ გაითვალისწინა რა "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის მე-18, 37-ე, 46-ე და 58-ე მუხლები. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით, გაზეთ "თV პროგრამაში" გამოქვეყნებული "ტელეკომპანია მზის" სამაუწყებლო ბადით დადასტურებულად იქნა ცნობილი "ტელეკომპანია მზის" ეთერში მხატვრული ფილმის - "თუნუქის დოლის" საჯარო ჩვენება, რის გამოც მოპასუხეს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144¹ მუხლის თანახმად, დაედო ადმინისტრაციული სახდელი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: ტელეკომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად გამოცხადებული პროგრამის საჯარო ჩვენება იცვლება. მოცემულ შემთხვევაში ტელეკომპანიის თანამშრომლებმა დაუშვეს შეცდომა სამაუწყებლო ბადის შედგენის დროს. მხატვრული ფილმის "თუნუქის დოლის" საჯარო ჩვენების უფლება შპს "ტელეკომპანია მზემ" გააჩნდა 2005 წლის 1 იანვრიდან. ამ მიზეზით აღნიშნული ფილმის საჯარო ჩვენება ტელეკომპანიის ეთერით არ განხორციელებულა, თუმცა გაზეთში უკვე გამოცხადებული პროგრამის შეცვლა შეუძლებელი გახდა. მოპასუხის მოსაზრებით, მხოლოდ განცხადება არ ადასტურებს ქმედების განხორციელებას, რაც გამოიწვევდა პასუხისმგებლობის დადგენას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს "ტელეკომპანია მზემ" დაეკისრა 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შპს "ტელეიმედის" სასარგებლოდ, რაც ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2005 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით შპს "ტელეკომპანია მზის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს "ტელეკომპანია მზის" სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს "ტელეკომპანია მზემ" დაეკისრა შპს "ტელეიმედისათვის" 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: შპს „ტელეიმედსა“ და კომპანია

„OU RP შთUDIOშ“ შორის 2003 წლის 25 ივნისის ხელშეკრულებით, აღნიშნულმა კომპანიამ შპს „ტელეიმედს“ ქონებრივი უფლებები გადასცა ხელშეკრულებაში მითითებულ 41 ფილმზე, მათ შორისაა „თუნუქის დოლი“. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სადავო ფილმზე განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელები არიან „AAGOM FILMშ (პარის)“ და „FLAND შთოდ FILM Eთ, BIOშOP-FILM (Mუნიცკ)“ და ამ კომპანიებთან სამართლებრივი კავშირის დაუდასტურებლად სასამართლომ კომპანია „OU RP შთUDIOშ“ შპს „ტელეიმედისათვის“ საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებული საავტორო უფლების გადამცემ უფლებამოსილ პირად არასწორად ჩათვალა. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ზემოხსენებული სალიცენზიო ხელშეკრულების მიხედვით მფლობელს, კომპანია „OU RP შთUDIOშ“, განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები აქვს 41 აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენებაზე, რომლებიც შემდგომში იწოდება „ფილმებად“ და მითითებულია ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილში - მის დანართში. აღნიშნულ ფილმებს შორისაა „თუნუქის დოლი“. სასამართლოს მითითებით, კომპანია „OU RP შთUDIOშ“ ხსენებულ უფლებაში არავინ შევიღებია და მის მიერ მითითებულ აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე განსაკუთრებული ქონებრივი უფლებების ფლობა სადავოდ არავის გაუხდია. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ 2003 წლის 12 მაისის სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე, ლიცენზიატმა „დოიშე FILMშ-მა“ ლიცენზიანტ „KENთლAL PალთNEღმHIP-ს“ გადასცა ლიცენზიით განსაზღვრული ფილმების ჩვენების განსაკუთრებული უფლებები საშინაო ვიდეოჩვენებაზე, ფასიან და თავისუფალ ტელევიზიაზე ლიცენზიით დადგენილ დროსა და ტერიტორიაზე. ლიცენზიის მოქმედების ტერიტორიად სხვა ქვეყნებთან ერთად მითითებულია საქართველო. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ფილმზე „KENთლAL PალთNEღმHIP-ის“ განსაკუთრებული საავტორო უფლება და „OU RP შთUDIOშ-სათვის“ მის მიყიდვის ფაქტი დასტურდება თავად კომპანია „KENთლAL PალთNEღმHIP-ის“ გაყიდვების უფროსი მენეჯერის - ა. დ-ანის მიერ შპს „ტელეიმედისათვის“ 2004 წლის 17 დეკემბერს გაგზავნილი წერილით, რომლის თანახმად, ამ უკანასკნელმა უფლებები მიჰყიდა „OU RP შთUDIOშ“ ფილმებზე - „აფრიკელი“ და „თუნუქის დოლი“. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შპს „ტელეიმედმა“ საქართველოს ტერიტორიაზე 2003 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე მხატვრული ფილმის „თუნუქის დოლი“ საჯარო გადაცემის განსაკუთრებული უფლება მოიპოვა ამ უფლების მატარებელი კომპანიის „OU RP შთUDIOშ-საგან“ და მის გარდა სხვა პირს (ავტორისა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელის ჩათვლით), მათ შორის, შპს „ტელეკომპანია მზეს“ არ ჰქონდა უფლებამოსილება, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გამოეყენებინა სადავო ნაწარმოები და ეჩვენებინა იგი საჯაროდ. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო ფილმის საჯარო ჩვენების უტყუარ მტკიცებულებად არასწორად მიიჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონიტორინგის სამსახურის 2004 წლის 28 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათი, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა გაზეთ „თV პროგრამაში“ გამოქვეყნებულ „ტელეკომპანია მზის“ ბადეს, რადგან სასამართლომ სწორად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტს (მოპასუხეს) ეკისრებოდა მის მიერ სარჩელის უარსაყოფად წარდგენილ შესაგებელში მითითებული გარემოებების მტკიცების ტვირთი და მან ვერ განმარტა, ფილმ „თუნუქის დოლის“ ნაცვლად სხვა რა გადაცემა გავიდა მის ეთერში 2004 წლის 5 ნოემბერს, 23.45 საათზე, ან როდის მიიღო კომპანიამ გადაწყვეტილება ფილმის საჯარო ჩვენებაზე უარის თქმისა და ამის გამო დაგეგმილი სამაუწყებლო ბადის შეცვლაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ტელეკომპანია მზემ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ფაქტობრივად უფულებელყო უზენაესი სასამართლოს მითითებები, ვინაიდან საქალაქო სასამართლომ საერთოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით მითითებული გამოსაკვლევი გარემოებები, კერძოდ, შპს „ტელეიმედის“ უფლებამოსილების საკითხი და მისი უფლებების დარღვევის ფაქტი. მოცემული დავის გადაწყვეტისას სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა გამოეკვლია მოსარჩელის უფლებამოსილების საკითხი, კერძოდ, გააჩნდა თუ არა შპს „ტელეიმედს“ უფლება, ედავა იმ საავტორო უფლების დარღვევაზე, რომელზეც განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები ავტორობის პრეზუმფციიდან, მხარეთა აღიარებიდან და სასამართლოს შეფასებიდან გამომდინარე, ეკუთვნის „AAGOM FILMშ (პარის)“ და „FLAND შთოდ FILM Eთ, BIOშOP-FILM-ს (Mუნიცკ)“. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ამ კომპანიებთან სამართლებრივი კავშირი, რადგან მის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების დამდგენ ხელშეკრულებებს არანაირი კავშირი აქვთ ზემოხსენებულ კომპანიებთან. სასამართლომ მოსარჩელის უფლებამოსილება დაადგინა მოსარჩელესა და „OU RP შთUDIOშ“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ისე რომ არ გამოიკვლია ამ უკანასკნელის სამართლებრივი კავშირი სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული განსაკუთრებული ქონებრივი უფლებების მქონე ზემოაღნიშნულ კომპანიებთან. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები სადავო ფილმზე ეკუთვნის „AAGOM FILMშ (პარის)“ და „FLAND შთოდ FILM Eთ, BIOშOP-FILM-ს (Mუნიცკ)“, მაგრამ იმავდროულად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები გადაცემული აქვს „OU RP შთUDIOშ-საგან“. აღნიშნული გარემოება სასამართლომ უტყუარად ჩათვალა

მხოლოდ იმის გამო, რომ მხარეთა შორის გაფორმებულ ამ ხელშეკრულებას არავინ შეცილება და ამ საფუძვლით განსაკუთრებული ქონებრივი უფლებების მქონე კომპანიებთან სამართლებრივი კავშირის არსებობის საკითხი სასამართლომ არ შეაფასა. ამდენად, სააპელაციო პალატის მსჯელობა ურთიერთგამომრიცხავია. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებანა, თუ რა სამართლებრივი კავშირი გააჩნდა მოსარჩელეს "AAღGOშ FILMშ (პარის)" და "FღANძ შEთძ FILM Eთ, BIOშჩOP-FILM (Mუნიცკ)-სთან", როგორ მოხდა შპს „ტელეიმედისათვის“ განსაკუთრებული ქონებრივი უფლებების გადაცემა ამ კომპანიების მიერ და მხოლოდ მათ შორის უწყვეტი სამართლებრივი კავშირის დადგენის შემთხვევაში ემსჯელა მოსარჩელის უფლების დარღვევაზე. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია უფლება, რომლის არსებობა მოსარჩელემ ვერ დაადასტურა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელე ვალდებულია, დაადასტუროს მისი საავტორო უფლების არსებობა სამართლებრივი კავშირით აღიარებულ განსაკუთრებული ქონებრივი უფლებების მქონე პირებთან. „ტელეკომპანია მზემ“ კი, თავის მხრივ, დაადასტურა რომ სადავო ფილმზე განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები ეკუთვნის "AAღGOშ FILMშ (პარის)" და "FღANძ შEთძ FILM Eთ, BIOშჩOP-FILM-ს (Mუნიცკ)", აღნიშნული დაადასტურა თავად მოსარჩელემ და სასამართლომ, შესაბამისად, მხოლოდ მათ შეუძლიათ იდავონ ამ უფლების დარღვევის შესახებ. არასწორია სასამართლოს მითითება, რომ მოპასუხეს საცილოდ უნდა გაეხადა მოსარჩელესა და „OU ჩP შთUDIOშ“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, ვინაიდან აღნიშნული გარიგება დადებულია არაუფლებამოსილ პირთა შორის და, სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უცილოდ ბათილია. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხემ საჯაროდ გადასცა ფილმი „თუნუქის დოლი“, რაც დადასტურდა გაზეთ „თV პროგრამაში“ გამოქვეყნებული სამაუწყებლო ბადითა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონიტორინგის სამსახურის 2004 წლის 28 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათით, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა გაზეთ „თV პროგრამაში“ გამოქვეყნებულ სამაუწყებლო ბადეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა საწინააღმდეგო, რაც მან ვერ შეძლო, თუმცა გაურკვეველია, თუ რატომ არ მიანიჭა სასამართლომ მოპასუხის ახსნა-განმარტებას მტკიცებულების ძალა, მაშინ, როცა სადავო ფილმის საჯარო ჩვენების უტყუარ მტკიცებულებად ჩათვალა მხოლოდ მოპასუხის განზრახვა – გაზეთ „თV პროგრამაში“ გამოქვეყნებული სამაუწყებლო ბადე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ტელეკომპანია მზის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით შპს „ტელეიმედის“ სარჩელი, საავტორო უფლების დარღვევის გამო, კომპენსაციის გადახდევინების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და, შესაბამისად, არასწორი დასკვნა მიიღო სადავო გარემოებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის გარემოება, რომ შპს „ტელეიმედისა“ და კომპანია „OU ჩP შთUDIOშ“ შორის 2003 წლის 25 ივნისს დადებული ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნულმა კომპანიამ, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები 41 აუდიოვიზუალური ნაწარმოებების გამოყენებაზე, მათ შორის, ფილმ „თუნუქის დოლი“, ამ უკანასკნელზე ქონებრივი უფლებები გადასცა შპს „ტელეიმედის“. სასამართლოს ეს დასკვნა ეყრდნობა საქმეში წარმოდგენილ 2003 წლის 12 მაისის სალიცენზიო ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე ლიცენზიატმა „ღOიშჩY FILMშ-მა“ ლიცენზიანტ „GENთღAL PღთNEღშHIP-ს“ გადასცა ლიცენზიით განსაზღვრული ფილმების ჩვენების განსაკუთრებული უფლებები საშინაო ვიდეოჩვენებაზე, ფასიან და თავისუფალ ტელევიზიაზე ლიცენზიით დადგენილ დროსა და ტერიტორიაზე, მათ შორის საქართველოში. აღნიშნულ ფილმზე „ჩENთღAL PღთNEღშHIP-ის“ განსაკუთრებული საავტორო უფლება და „იუ სიპი სტუდიოსათვის“ მის მიყიდვის ფაქტი დასტურდება თავად კომპანია „ჩENთღAL PღთNEღშHIP-ის“ გაყიდვების უფროსი მენეჯერის - ა. დ-ანის მიერ შპს „ტელეიმედისათვის“ 2004 წლის 17 დეკემბერს გაგზავნილი წერილით, რომლის თანახმად ამ უკანასკნელმა უფლებები მიჰყიდა „იუ სიპი სტუდიოს“ ფილმებზე – „აფრიკელი“ და „თუნუქის დოლი“.

უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ სადავო ფილმზე განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელები არიან „AAღGOშ FILMშ (პარის)" და „FღANძ შEთძ FILMEთ, BIOშჩOP-FILM (Mუნიცკ)-ი“.

„სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების

სხვა მფლობელი მხოლოდ ლიცენზიატს აძლევს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები ხელშეკრულებით განსაზღვრული სახითა და ფარგლებში და მასვე ანიჭებს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის, ავტორის) მიერ.

აღნიშნული ნორმით ლიცენზიის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს, შესაბამისად, მხოლოდ ამ პირებისაგან გაცემული უფლება არის იურიდიულად ვარგისი და ლიცენზიატსაც კანონით გათვალისწინებული უფლებები - განსაკუთრებული უფლების გამოყენება და მათ შორის ამ უფლების დარღვევის აღკვეთის საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ უფლებამოსილი პირისაგან გაცემული ლიცენზიით მიეკუთვნება.

საავტორო უფლების მფლობელს ნაწარმოების გამოყენების უფლება შეიძლება შეძენილი ჰქონდეს როგორც პირადად ავტორისაგან, ისე მისი უფლებამონაცვლისა და საავტორო უფლების სხვა მფლობელისაგან. ამდენად, განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს ავტორისაგან დამოუკიდებლად უფლებამონაცვლეთა თანმიმდევრულ რიგში. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების შეძენა შეძენს წარმოშობს ვალდებულებას, რომ შეთანხმება განახორციელოს იმ პირთან, ვინც კანონიერად ფლობს უფლებას.

ნაწარმოების გამოყენების უფლების შეძენის მფლობელის უფლებამოსილების შემოწმების სავალდებულობა გამომდინარეობს საავტორო უფლების დაცვის როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან, კერძოდ, ბერნის კონვენციის მე-7, მე-14 და მე-14^{ბრ} მუხლებით, ასევე ამავე კონვენციის მე-6^{ბის} მუხლით დაცულია რა ავტორთა უფლებები, აღნიშნულია, რომ უფლებათა მფლობელი შეიძლება იყოს ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე, ასევე პირი, რომელმაც კინომატოგრაფიული ნაწარმოების შექმნა დააფინანსა.

ამდენად, ლიცენზიატი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის ნაწარმოების ავტორი ან რომელსაც განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი აქვს საავტორო უფლება, შესაბამისად, საავტორო უფლების შეძენის მსურველმა უფლების შეძენისას უნდა გაითვალისწინოს, რომ საავტორო უფლების დაცვა გულისხმობს უფლების შეძენას მხოლოდ ლიცენზიატისაგან, რომლის უფლებამოსილებაც სათანადო მტკიცებულებით - განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით უნდა დასტურდებოდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსარებას, რომ კომპანია „OU RP შთUDIOშ“ ნაწარმოებზე - ფილმ „თუნუქის დოლზე“ უფლება-მოსილების დამადასტურებელ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს კომპანია „ჩENთAL PAდთNEშHIP-ის“ გაყიდვების უფროსი მენეჯერის - ა. დ-ანის წერილი.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2005 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა რა შპს „ტელეკომპანია მზის“ საკასაციო საჩივარი, გაუქმდა მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ხელახლა განსახილველად იმ საფუძველით, რომ გამორკვეულიყო ტელეკომპანია „იმედის“, როგორც ლიცენზიატის, უფლებამოსილების საკითხი სადავო ნაწარმოების უფლებასთან დაკავშირებით. მიუხედავად აღნიშნულისა, შპს „ტელეიმედმა“ ვერ შეძლო დაედასტურებინა ის გარემოება, რომ ნაწარმოების გამოყენების უფლება მას შეძენილი ჰქონდა უფლებამოსილი პირისაგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით კი მხარეთა შორის გადანაწილებულია რა მტკიცების ტვირთი, მოსარჩელე ვალდებულია, თვითონვე დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც ის ამყარებს თავის მოთხოვნებს.

საავტორო უფლების დარღვევის აღკვეთის მოთხოვნის უფლება „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის შესაბამისად, მხოლოდ ავტორს ან ლიცენზიატს გააჩნია. შპს „ტელეიმედის“ მიერ ვერ იქნა დადასტურებული ფილმ „თუნუქის დოლზე“ განსაკუთრებული უფლების შეძენა, რაც წარმოადგენს საავტორო უფლების დარღვევის გამო კომპენსაციის გადახდევინებაზე მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების უარის თქმის საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შპს „ტელეკომპანია მზის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

შპს „ტელეიმედის“ სარჩელი საავტორო უფლების დარღვევის გამო კომპენსაციის გადახდევინების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

ას-901-1109-08

30 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საავტორო უფლების დაცვა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს ი. ლ-შვილის წარმომადგენლებმა ლ. ა-შვილმა და ბ. ა-ძემ მოპასუხე საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის - "ერისიონის" მიმართ და მოითხოვეს მოპასუხისათვის სიმღერის - "სამაიას" საჯარო შესრულების დამახინჯებული ტექსტითა და შეცვლილი სათაურით ლექს "შატილის ასულოს" საჯაროდ შესრულების აკრძალვა ავტორად ი. ლ-შვილის მითითების გარეშე.

სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

ლექსი "შატილის ასულო" დაწერილია ი. ლ-შვილის მიერ 1960 წელს, რომლის ავტორობას ადასტურებს 1995 წელს გამოქვეყნებული ი. ლ-შვილის ლექსების პირველი კრებული "ჩემი სულის ღაღადი". 1960 წელს ი. ლ-შვილმა დაწერა ლექსი "ხადიშათ", რომელიც 1970-იანი წლების ბოლოს გადააკეთა და დაარქვა "შატილის ასულო". ლექსი "ხადიშათ" ეძღვნებოდა "ჩეჩენთა ასულს". ლექსი თუში მეგობრებისა და ნათესავების რჩევით ი. ლ-შვილმა გადააკეთა. 1973 წლის 31 ივლისს გაზეთ "ბახტრიონში" გამოქვეყნდა ი. ლ-შვილის ლექსები "ხადიშათ" და "აშექალ". 1986 წლის 26 მაისს მან საქართველოს მწერალთა კავშირს წარუდგინა თავისი ლექსების კრებული, რომელშიც ერთ-ერთი ლექსი იყო "შატილის ასულო" და ითხოვა დაებეჭდათ, თუმცა პასუხი არ მიუღია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ ი. ლ-შვილი ითვლება ლექს "შატილის ასულოს" ავტორად და მასზე ვრცელდება "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონით გათვალისწინებული საავტორო უფლებები.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა "ერისიონმა" 2001 წელს მოაწყო გასტროლები საფრანგეთში, სადაც ხალხურ შემოქმედებასთან ერთად შეასრულა სიმღერა "შატილის ასულო", რომელსაც "ერისიონის" რეპერტუარში "სამაია" ჰქვია და ავტორად ი. ლ-შვილის ნაცვლად მითითებულია ხალხური.

მოსარჩელის წარმომადგენელთა განმარტებით, მოპასუხემ საჯაროდ, ი. ლ-შვილთან შეთანხმების გარეშე, ისე, რომ ავტორი არ მიუთითებია, დამახინჯებული ტექსტით შეასრულა ლექსი "შატილის ასულო".

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სიმღერა "შატილის ასულო" არის ხალხური და მას ასრულებდა მრავალი ანსამბლი და შემსრულებელი. 1981 წლის ჩანაწერის თანახმად, ამ სახელწოდებით სიმღერას ასრულებდა გორის ვაჟთა გუნდი. საქართველოს ტელევიზიის დოკუმენტური არქივებითა და ცალკეული ჩვენებებით დასტურდება, რომ სხვადასხვა შემსრულებლები მღეროდნენ "შატილის ასულოს" სხვადასხვა ვერსიას და არა მხოლოდ 1995 წლამდე, არამედ 1960 წლამდეც, ანუ იმ თარიღამდე, როცა ლ-შვილის მითითებით, მან სადავო ლექსი დაწერა. ი. ლ-შვილი არის სახალხო მთქმელი და არა პოეტი, რაც მისივე ლექსების კრებულის შესავალშიც არის მითითებული, შესაბამისად, მან, როგორც სახალხო მთქმელმა, გამოიყენა ხალხური ტექსტი და გამოაქვეყნა საკუთარი სახელით ჯერ 1973 წელს, ხოლო შემდეგ 1995 წელს.

მოპასუხემ განმარტა, რომ ანსამბლ "ერისიონის" მიერ შესრულებული ტექსტი ხალხურია და მასზე საავტორო უფლებები ვერ გავრცელდება. ხალხურ შემოქმედებას არ ჰყავს კონკრეტული ავტორი, იგი ხალხის კუთვნილებაა, დროთა განმავლობაში იძენს სხვა სახეს და ვრცელდება სხვადასხვა ვერსიები.

მოპასუხის განმარტებით, სადავო სიმღერას ჯერ კიდევ 1982 წელს, ანუ სანამ მოსარჩელი საქართველოს მწერალთა კავშირს წარუდგენდა ლექსების ხელნაწერ კრებულს, აღნიშნულ ტექსტზე მღეროდნენ ე. ა-ული და გორის ვაჟთა გუნდი. 1995 წლამდე "ხადიშათ ჩეჩენთა ასულო" იყო სადავო ლექსის ლ-შვილისეული ერთადერთი საჯაროდ ხელმისაწვდომი ვერსია. იმ დროისათვის, როცა ლ-შვილმა გადააკეთა ლექსი და შეცვალა მისი სახელწოდება, სიმღერა უკვე ფართოდ აღიარებული იყო და სრულდებოდა როგორც ხალხური სიმღერა. 1973 წელს გამოქვეყნებული ლექსი "ხადიშათ ჩეჩენთა ასულო" არსებითად განსხვავდება გორის ვაჟთა ანსამბლის, ნ. კ-შვილისა და ანსამბლ "ერისიონის"

მიერ შესრულებული ვერსიებისაგან, მეტიც მ. ა-ულმა 1958 წელს ასაკოვანი თანასოფლელისაგან ისწავლა სიმღერა "შატილის ასულო".

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 მაისის საოქმო განჩინებით, ი. ლ-შვილის გარდაცვალების გამო, მის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაბმულ იქნა მისი შვილი ზ. ლ-შვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ი. ლ-შვილის უფლებამონაცვლის ზ. ლ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს ზ. ლ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა ნ. ჭ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებით ძალაში დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა ექსპერტის დასკვნები, მიიჩნია რა სადავო ტექსტი ხალხურად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საოქმო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 მარტის განჩინებით დაინიშნა განმეორებითი ლიტერატურული და ლინგვისტიკური ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრას. თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის პროფესორის - თ. ქ-ძის 2005 წლის 20 მაისის საექსპერტო დასკვნის თანახმად, სადავო ტექსტის ხალხურობა დადასტურებულია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ექსპერტიზის დასკვნისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია სადავო ტექსტი ხალხურად.

აპელანტის აზრით, სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა თ. ქ-ძის სანოტარო წესით დამოწმებული ახსნა-განმარტება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ცნობილი თუშური სიმღერა "შატილის ასულო" 1961 წელს შესასრულებლად გადასცა ი. ლ-შვილმა, რაც სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა. პალატამ მიიჩნია, რომ ხსენებული ახსნა-განმარტებით არ დასტურდება სადავო ტექსტის მიმართ ი. ლ-შვილის ავტორობა, ამ უკანასკნელმა, როგორც ახსნა-განმარტებაშია მითითებული, თ. ქ-ძეს შესასრულებლად გადასცა ცნობილი თუშური სიმღერა "შატილის ასულო" და არა საკუთარი ლექსი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ლ-შვილის წარმომადგენელმა ნ. ჭ-შვილმა.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, 1973 წლის 31 ივლისს გაზეთ „ბახტრიონში“ გამოქვეყნებულ იქნა ი. ლ-შვილის ლექსები „ხადიშათ“ და „აშექალ“, რომლებიც შექმნილია 1960 წელს, სწორედ ლექსი „ხადიშათის“ გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს ლექსი „შატილის ასულო“. 1986 წელს ლ-შვილის მიერ ლექსების ხელნაწერი კრებული წარდგენილ იქნა საქართველოს მწერალთა კავშირში, რომელშიც შესული იყო სადავო ლექსის უკვე გადაკეთებული ვარიანტი და „ჩეჩენთა ასულოს“ ნაცვლად მითითებული იყო „შატილის ასულო“. გარდა ამისა, ახმეტის რეგიონულ გაზეთში „ბახტრიონი“ 1973 წელს დაიბეჭდა და გამოქვეყნდა ლ-შვილის ორი ლექსი „ხადიშათ“ („შატილის ასულო“) და „იშექალ“, 1995 წელს დაიბეჭდა ი. ლ-შვილის ლექსების კრებული „ჩემი სულის ღადადი“, სადაც ასევე შესულია ლექსი „შატილის ასულო“, მანამდე კი 1989 წელს ჩაიწერა მომღერალ ნ. კ-შვილის აუდიო კასეტა, რომელზეც ლექსის „შატილის ასულოს“ ავტორად მითითებულია ი. ლ-შვილი.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოებმა გაიზიარეს მოპასუხის პოზიცია სადავო ტექსტის ხალხურობის შესახებ საქმეში არსებული „მტკიცებულებების“ შესაბამისად, თუმცა რა კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მივიდნენ სასამართლოები აღნიშნულ დასკვნამდე, ყოველად გაურკვეველია, ვინაიდან არც ერთ სასამართლოს ამ მტკიცებულებების შესახებ მის გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია, მოწინააღმდეგე მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი თუნდაც ერთი წერილობითი თუ სხვა სახის მტკიცებულება, რაც სადავო ტექსტის ხალხურად აღქმის შესაძლებლობას მოგვეცემა და დადასტურდებოდა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დებულება, რომლის მიხედვით პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება.

კასატორის წარმომადგენლის აზრით, ი. ლ-შვილის ავტორობაზე ასევე მიუთითებს ნ. კ-შვილის სიმღერების კრებულზე მინაწერი სიმღერის - „შატილის ასულოს“ ავტორად ი. ლ-შვილის თაობაზე, რის საწინააღმდეგოდაც სასამართლო დაუსაბუთებლად აცხადებს, რომ აღნიშნულის გამო, ი. ლ-შვილი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ავტორად, ვინაიდან ნ. კ-შვილის მიერ დამატებით სრულდება ერთი სტროფი, თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კრებულზე სიმღერის გვერდით ავტორად მითითებულია ლ-შვილი და „ხალხური“, რაც იმას ნიშნავს, რომ შესრულებულია როგორც ლ-შვილის ლექსი, ასევე მესამე სტროფი, რომელიც შესაძლებელია იყოს ხალხური, რადგან შემსრულებელს აქვს უფლება, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს როგორც კონკრეტული ავტორის

ლექსი, ასევე ხალხური, თუმცა ამ დროს არ უნდა დაირღვეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული საავტორო უფლებები.

კასატორის წარმომადგენელი არ იზიარებს სასამართლოს მოსაზრებას, რომ „როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული“ ი. ლ-შვილი იყო სახალხო მთქმელი, ვინაიდან გაურკვეველია, ვინ და რის მიხედვით აღიარა ი. ლ-შვილი სახალხო მთქმელად.

კასატორის წარმომადგენლის აზრით, სასამართლო სადავო ტექსტის ხალხურობას ადასტურებს საქმეზე ჩატარებული ექსპერტების დასკვნებით, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს თავად ამ ექსპერტთა მოსაზრებას, რომლებიც ერთხმად და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლექს „შატილის ასულოში“ გვხვდება შედგენილი, რთული და ჯვარედინი რითმები, ასევე ერთმარცვლიანი სტრიქონები, რაც უცხოა ხალხური პოეზიისათვის. ექსპერტი მამისაშვილი აღნიშნავს, რომ ლექსი „შატილის ასულო“ ხალხური პოეტიკით შესრულებული ნაწარმოები არ არის, რასაც ასევე ეთანხმება ექსპერტი ე. დ-შვილი და რაც ადასტურებს ი. ლ-შვილის მიერ „შატილის ასულოს“ შექმნის ფაქტს, რადგან სწორედ მისი შემოქმედებისთვისაა დამახასიათებელი ასეთი სტილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. თუ აღნიშნული ნორმის საფუძველზე შევაფასებთ სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, შეუძლებელი გახდება უარყოფა იმ ფაქტისა, რომ ი. ლ-შვილი სადავო ლექსის ავტორია.

სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ 1973 წლის 31 ივლისს გაზეთ „ბახტრიონში“ გამოქვეყნდა ი. ლ-შვილის ლექსი „ხადიშათ“, 1995 წელს გამოცემულია ამავე ავტორის ლექსების კრებული, რომელშიც შესულია ლექსი სათაურით „შატილის ასულო“. ასევე საქმის მასალებში წარმოდგენილია ლექს „შატილის ასულოს“ ხელნაწერი ტექსტი. ყველა აღნიშნული ნაწარმოების ავტორად მითითებულია ი. ლ-შვილი. აღნიშნული ნაწარმოებთა შედარებით იკვეთება, რომ ლექსში „შატილის ასულო“ გადასულია „ხადიშათის“ მთელი ტექსტი უმნიშვნელო ცვლილებებით და ორივე გამოქვეყნებული ლექსი პრაქტიკულად იდენტურია ხელნაწერი ლექსის ტექსტისა. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონის“ რეპერტუარში მუსიკალური კომპოზიცია „სამაიას“ შემადგენლობაში არსებული სიმღერის ორ სტროფზეც. აქაც გადატანილია ზემოთ მითითებულ ლექსთა პირველი და მესამე სტროფები უმნიშვნელო ცვლილებებით, ხოლო ამ ნაწარმოებთა შინაარსი, ლექსის წყობა, რითმი და სტილი იდენტურია. აღნიშნული ადვილად აღსაქმელია ნებისმიერი მკითხველისთვისაც და ამ გარემოების დადასტურებისთვის არ არის საჭირო რაიმე მტკიცებულების წარმოდგენა, როგორც ამას უთითებს სასამართლო. აღნიშნული გარემოებანი ერთობლიობაში ქმნის ი. ლ-შვილის ავტორობის უტყუარობის პრეზუმფციას, აღნიშნულის საწინააღმდეგო კი, პალატის აზრით, საქმის მასალებით დადასტურებული არ არის.

ი. ლ-შვილის ავტორობის უარსაყოფად სააპელაციო სასამართლო უთითებს იმ გარემოებას, რომ სიმღერა „შატილის ასულო“ სადავო ტექსტით სრულდებოდა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამის დასადასტურებლად გადაწყვეტილებაში მითითებულია იმ ფაქტზე, რომ 1967 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში კ. რ-შვილმა ფოლკლორული ექსპედიციის დროს ჩაიწერა „თუმური სატრფიალო“ თ. ქ-ძის შესრულებით. როგორც სასამართლო უთითებს, აღნიშნული სიმღერა სრულდებოდა „შატილის ასულოს“ მსგავსი ტექსტით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება არ გამო-რიცხავს ი. ლ-შვილის ავტორობის ფაქტს. ლექსის სახელწოდება, მართალია, განსხვავებულია გამოქვეყნებულ ლექსთა სახელწოდებისაგან, მაგრამ ლექსის სახელწოდება მოცემული დავის დროსაც შეცვლილია თვით მოპასუხის მიერაც და იგი იწოდება „სამაიად“, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ლექსები სხვადასხვაა.

რაც შეეხება გორის ვაჟთა ანსამბლის მიერ ამ სიმღერის შესრულების ფაქტს, ამ გარემოების დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებიდან შეუძლებელია ამ ლექსის ავტორის დადგენა, რადგან ასეთ მონაცემს ეს მტკიცებულება არ შეიცავს. ამ მტკიცებულებაში საერთოდ არ არის აღნიშნული, თუ ვინ არის ლექსის ავტორი.

თუ გავყვებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, ეს ლექსი ხალხურია და ასეთი სახით გადავიდა „ერისიონის“ ხელში, მაშინ გაუგებარია, რატომ მიუთითა ნ. კ-შვილმა ლექსის ავტორად ი. ლ-შვილი, მით უფრო, რომ ნ. კ-შვილი ასრულებდა ლექს „შატილის ასულოზე“ შექმნილ სიმღერას 1991 წელს გორის ვაჟთა გუნდის შესრულების შემდგომ.

სასამართლო ი. ლ-შვილის ავტორობას გამორიცხავს იმითაც, რომ სიმღერა „შატილის ასულოს“ საჯაროდ ასრულებდნენ გაცილებით ადრე, ვიდრე ასეთი სათაურით ლექსი დაიბეჭდებოდა კრებულში 1995 წელს. აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ ეს ლექსი „შატილის ასულოს“ სახელწოდებით

სრულდებოდა 1995 წლამდე. ამის დასტურია თუნდაც მითითებულ პერიოდამდე ნ. კ-შვილის მიერ ამ სიმღერის შესრულების ფაქტიც.

რაც შეეხება ექსპერტთა დასკვნებს, არც ერთი დასკვნით არ გამოირიცხება ი. ლ-შვილის ავტორობის ფაქტი. ექსპერტები ლექსს ხალხურად მიიჩნევენ, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს ნაწარმოები აგებულია კლასიკური ხალხური ლექსისათვის არადამახასიათებელი სქემით. ამასთან, არც ერთი მათგანი კატეგორიულად არ უთითებს, რომ ლ-შვილი შეუძლებელია იყოს ლექსის ავტორი.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილი ლექსის სამივე ვარიანტი ერთი და იგივე ნაწარმოებია მცირეოდენი ცვლილებებით. ეს ლექსები არსებობს გამოქვეყნებული სახით. არსებობს ლექსის ხელნაწერი ტექსტიც. ეს გარემოებანი კი ქმნის ი. ლ-შვილის ავტორობის უტყუარობის პრეზუმფციის საფუძველს. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რაც დაადასტურებს, რომ ლექსს ჰყავს სხვა ავტორი. მასზე პრეტენზიას არ აცხადებს არც ერთი პოეტი. ლექსი სხვისი ავტორობით გამოქვეყნებული არსად არის. ასეთი სახის ლექსი არ მოიძებნება ხალხური ლექსების კრებულში, ამასთან პალატა მიიჩნევს, რომ ლექსის ხალხურობაზე მითითება თავისთავად არ გამოირიცხავს ინდივიდის ავტორობის ფაქტს. ნებისმიერი ხალხური ლექსი იქმნება ინდივიდის მიერ, რომლის ვინაობაც იკარგება, ლექსის შინაარსი კი იცვლება. მოცემულ შემთხვევაში კი, არსებობს როგორც გამოქვეყნებული ლექსი, ასევე ხელნაწერი ტექსტიც, სადაც ავტორად მითითებულია ი. ლ-შვილი, ამიტომ შეუძლებელია დადასტურდეს საწინააღმდეგო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ შესრულებული სიმღერის - „სამაიას“ ორი სტროფის ავტორი არის ი. ლ-შვილი.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ „საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებათა საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობის, ჟანრის, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ლექსი სახელწოდებით „შატილის ასულო“ წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს და მის ავტორს, თანახმად მითითებული კანონის მე-17 მუხლისა, აქვს უფლება, აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით. ავტორი ასევე უფლებამოსილია, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან. ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად კი ავტორს აქვს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება - მათ შორის ნაწარმოების საჯაროდ შესრულების აკრძალვისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელის მოთხოვნები გამომდინარეობს აღნიშნული ნორმებიდან და იგი უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ მოსარჩელის მოთხოვნა, სიმღერის - „სამაიას“ საჯაროდ შესრულების აკრძალვის თაობაზე მხოლოდ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან აღნიშნულ სიმღერაში იმღერება „შატილის ასულოს“ მხოლოდ ორი სტროფი, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, აკრძალოს სიმღერა „სამაიას“ შესრულებისას მხოლოდ სადავო ლექსის გამოყენება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-10, მე-17, მე-18 მუხლები, რის გამოც სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა არასწორი გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ზ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

ი. ლ-შვილის უფლებამონაცვლის - ზ. ლ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონს“ აკრძალოს ი. ლ-შვილის ლექსის „შატილის ასულოს“ გამოყენება სიმღერა „სამაიას“ საჯარო შესრულებისას, აგრეთვე, აკრძალოს ლექსს „შატილის ასულოს“ საჯაროდ შესრულება ავტორად ი. ლ-შვილის მითითების გარეშე;

გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მუსიკალური ნაწარმოების სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე კაბელით გადაცემის აკრძალვა
განჩინება**

#ას-1121-1271-08

30 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: საავტორო უფლებების დაცვა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „ტვ-ერას“ მიმართ და მოპასუხისათვის მუსიკალური ნაწარმოების სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე კაბელით გადაცემისათვის 439710 ლარის დაკისრება და გადაცემის აკრძალვა მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 17 თებერვლის #585 გადაწყვეტილებით საქართველოს ავტორთა საზოგადოება „სას“ რეგისტრირებულ იქნა ხელახლა და მას მიენიჭა ქონებრივი უფლებების სპეციალური სტატუსი – ქონებრივი უფლებების სპეციალურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია #1. საქართველოს ავტორთა ორგანიზაცია არის ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოების საერთაშორისო კონფედერაციის „ჯისიასის“ მუდმივი წევრი. ზემოთ დასახელებული კანონის თანახმად, მოპასუხე წარმოადგენს მოსარგებლეს და იგი ვალდებულია, ავტორთა საზოგადოებას გადაუხადოს ჰონორარი. ნაწარმოების კაბელით გადაცემის შემთხვევაში საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი დგინდება მხოლოდ იმ ორგანიზაციისა და მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით. საქართველოს ავტორთა საზოგადოების მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად, მოპასუხის მიერ გადასახდელი საავტორო ჰონორარი უნდა შეადგენდეს თვეში 5%-ს, ვინაიდან მოპასუხის შემოსავალი, 2007 წლის 1 იანვრიდან 31 ივნისის ჩათვლით, მოპასუხის მიერ წარდგენილი #01-03 წერილის თანახმად, თვეში შეადგენს 31408,27 ლარს, ხოლო წელიწადში – 219857,9 ლარს. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისთვის სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემის აკრძალვა და 43 710 ლარის დაკისრება.

მოპასუხემ არ სცნო სარჩელი და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, მისი განმარტებით, მოსარჩელე არღვევს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნებს, რომლის თანახმად, კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ავტორთა საზოგადოების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – შპს „ტვ-ერას“ აკრძალა მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემა (კაბელით ხელახალი გადაცემა) მოსარჩელესთან სალიცენზიო შეთანხმების გარეშე; არ დაკმაყოფილდა სარჩელი მოპასუხისათვის ფულადი კომპენსაციის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლოების გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ტვ-ერამ“, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, შპს „ტვ-ერასათვის“ მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემის აკრძალვაზე მოსარჩელესთან სალიცენზიო შეთანხმების დადების აკრძალვა და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „ტვ-ერას“ სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქართველოს ავტორთა საზოგადოება დარეგისტრირდა ხელახლა და მასზე შესაბამისი კავშირის რეგისტრაციის მოწმობა გაიცა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ შპს „ტვ-ერას“ შემოსავალი 2007 წლის 1 იანვრიდან 31 ივნისის ჩათვლით შეადგენდა 219857,9 ლარს, ყოველთვიურად კი 31408,27 ლარს.

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ მოპასუხე შპს „ტვ-ერა“ არის ავტორიზებული პირი, რომელიც რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 4 თებერვლის #01/04-1584 დადგენილებით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ შპს ახორციელებს საკაბელო-სატრანზიტო ტელემაუწყებლობას და იგი ახდენს აბონენტისათვის სიგნალის მეშვეობით მაუწყებლის ორგანიზაციის უცვლელი სახით გადაცემას კანონიერ საფუძველზე, ე.ი მის მიერ ხორციელდება მაუწყებლის ორგანიზაციის, როგორც უფლების მფლობელის, სიგნალის გავრცელება

აბონენტამდე, ხოლო თავად მაუწყებლობის ორგანიზაციები ტელერადიო გადაცემების შექმნის დროს, ვალდებული არიან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ავტორებთან ან მათ უფლება-მონაცვლეებთან მოაგვარონ ამ უფლებების გამოყენების საკითხი, მიიღონ ნებართვა და განსაზღვრონ მათი ჰონორარის ანაზღაურების წესი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ავტორთა საზოგადოება რეგისტრირებული ორგანიზაციაა. საქართველოს ავტორთა საზოგადოება შეტანილია რეესტრში, როგორც ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის მიზანია საავტორო უფლებათა რეალიზაცია (განხორციელება) და დაცვა, ავტორების ან მათი მემკვიდრეებისა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა კანონით დადგენილი წესით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შპს "ტვ-ერას" საქმიანობა არის სატრანზიტო ტელემაუწყებლობა, რაც მოიცავს ქსელით უზრუნველყოფასა და მომსახურების მიწოდებას. ამ საქმიანობის დანიშნულებიდან გამომდინარე, ხორციელდება მხოლოდ ტრანზიტით იმ გადაცემებისა, რომლებიც ამ გადაცემათა შემქმნელი ორგანიზაციის მიერ უკვე დაცული და ანაზღაურებული უნდა იყოს საავტორო უფლების მქონე პირებთან. შპს "ტვ-ერა" იყენებს არა საავტორო უფლების ობიექტს, არამედ „საავტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომიჯნავე უფლების ობიექტს - მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემას და მას ტრანზიტით აწვდის აბონენტებს, მოსარჩელე კი რეგისტრაციის მოწმობით ახორციელებს მხოლოდ საავტორო უფლებათა რეალიზაციასა და დაცვას და არა მომიჯნავე უფლებათა რეალიზაციასა და დაცვას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოპასუხე შპს "ტვ-ერას" დადებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღებული აქვს ნებართვები სხვადასხვა სამაუწყებლო ორგანიზაციებისაგან ამა თუ იმ გადაცემაზე კაბელის მეშვეობით. საკაბელო ტელევიზიის "ტვ ერას" მიერ განხორციელებული სატელევიზიო ჩვენებები წარმოადგენს შესაბამისი სამაუწყებლო ორგანიზაციების გადაცემებს. ავტორს აქვს უფლება სალიცენზიო ხელშეკრულებით ამ ხელშეკრულების მეორე მხარეს გადასცეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის, ამ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნაწარმოების საჯარო გადაცემა, პირველი ანდა ხელახალი გადაცემის ჩათვლით, აგრეთვე, ნაწარმოების გადაცემა სადენით ანდა უმათვლო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროსა და ადგილიდან (საჯარო გადაცემის უფლება).

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ "ტვ-ერას" სხვადასხვა სამაუწყებლო ორგანიზაციებისაგან აქვს ნებართვა აღებული მათი გადაცემების რეტრანსმისიის თაობაზე. მომიჯნავე უფლების სუბიექტს - მაუწყებლობის ორგანიზაციას უფლება აქვს, ნება დართოს სხვა პირს, მოახდინოს გადაცემის კაბელით მოსახლეობამდე რეტრანსმისია, თუ მომიჯნავე უფლება ნაწარმოებია საავტორო უფლებებისაგან, სამაუწყებლო ორგანიზაციას საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით მინიჭებული კაბელით გადაცემის უფლება შეუძლია გადასცეს სხვა პირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მას მიღებული აქვს ავტორისაგან.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-18 მუხლის მე-7 და ამავე კანონის 64-ე მუხლის საფუძველზე სალიცენზიო შეთანხმების გაფორმების შესახებ და განმარტა, რომ მოპასუხე "ტვ-ერას" უნდა დაევალოს, გააფორმოს სალიცენზიო შეთანხმება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასთან - საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს "ტვ-ერამ". კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ გარემოებათა გამო: კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რაც არ უნდა გამოეყენებინა.

კასატორმა მიუთითა, რომ შპს "ტვ-ერას", როგორც საკაბელო ტელევიზიის, გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები უფლებამოსილ პირებთან, რომლებიც ტელევიზიას აძლევს უფლებას, განხორციელოს მათი არხების გადაცემა დროის რეალურ რეჟიმში, რაიმეს შეუცვლელად და დამატების გარეშე. კასატორის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში, ტელევიზია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მაუწყებელ ორგანიზაციად, რადგან ტელევიზიის ინიციატივით არანაირი კონკრეტული გადაცემა ან მუსიკალური ნაწარმოებები არ გადაიცემა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

კონკრეტულ შემთხვევაში სადავო საკითხს წარმოადგენს შპს "ტვ-ერასათვის" სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემის აკრძალვა.

მოსარჩელე ამ მოთხოვნას საფუძვლად უთითებდა შემდეგ გარემოებებს, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 17 თებერვლის #585 გადაწყვეტილებით საქართველოს ავტორთა საზოგადოება "სას" რეგისტრირებულ იქნა ხელახლა და მას მიენიჭა სპეციალური სტატუსი - ქონებრივი უფლებების სპეციალურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია #1. საქართველოს ავტორთა ორგანიზაცია არის ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოების საერთაშორისო კონფედერაცია "ჯისაკის" მუდმივი წევრი. მას 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 1000 მეტ ქართულ ავტორთან, დადებული აქვს 90-ზე მეტი ხელშეკრულება საზღვარგარეთის ანალოგიურ საავტორო სამართლებრივ ორგანიზაციასთან ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ, რის საფუძველზეც იგი საქართველოში წარმოადგენს მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის ერთ მილიონ ხუთასი ათასზე მეტი ავტორის, მემკვიდრისა და სხვა უფლების მფლობელებს. მოპასუხე მოსარგებლეა და მასზე ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს მოსარჩელის უფლებამოსილებას "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა დაცვით.

ასევე, სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს და არ ადგენს იმ იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტებს, რომლის არსებობაც მიუთითებს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ არის განსაზღვრული თუ კონკრეტულად რა უფლებების დასაკმაყოფილებლად აეკრძალა მოპასუხეს გარკვეული მოქმედებების განხორციელება და რაში გამოიხატა ეს აკრძალვა. დაუშვებელია ერთ მხარეს განუსაზღვრელად მივანიჭოთ ყველაფერი და მეორეს კი - ავუკრძალოთ ყველაფერი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს, თუ კონკრეტულად რომელი მუსიკალური ნაწარმოების აკრძალვას ითხოვს მოსარჩელე. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მიზანია, აეკრძალოს მოპასუხეს მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემა სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე, ე.ი სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელე თანახმაა, რომ მოპასუხე ახორციელებდეს მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემას. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას უფლება აქვს, ჩართოს ნაწარმოები და დაცვის სხვა ობიექტები მოსარგებლეებზე გაცემულ ლიცენზიებში. ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ზოგადად ნაწარმოები და დაცვის სხვა ობიექტები, არამედ - კონკრეტული საავტორო ან მომიჯნავე უფლებები, რომლებიც სამართავად გადაცემული აქვს კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლებების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის. ზუსტად ამ ნორმით გათვალისწინებული უფლების განხორციელების ერთ-ერთი დაცვის სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს ამავე კანონის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეაგროვოს ლიცენზიით გათვალისწინებული ჰონორარი ანდა ჰონორარი, რომელიც განსაზღვრულია ამ მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, ე.ი. ამ კანონის თანახმად ლიცენზიის გარეშე ჰონორარის შეგროვების შემთხვევაში.

აღნიშნული უფლებები წარმოადგენს არა აბსტრაქტულ, არამედ კონკრეტული ნაწარმოებისა და დაცვის სხვა ობიექტების მფლობელთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რომლის საფუძველზე მათ ეძლევათ უფლება, მათი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის მიიღონ ჰონორარი, შესაბამისად, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია გასცემს ლიცენზიას ამ კონკრეტული უფლებების გამოყენების შესახებ და ზუსტად ამ უფლებების მართვის უფლებამოსილება გააჩნია მას კანონით (65-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი). შესაბამისად, ამ უფლებების მფლობელები მას შეუძლია წარმოადგინოს სასამართლოში (65-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ, განსახილველი კანონის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უფლებამოსილია, აგრეთვე, წარმოადგინოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ყველა მისთვის უცნობი მფლობელი ან მფლობელი, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება და ჩართოს მათი ნაწარმოები და დაცვის სხვა ობიექტები მოსარგებლეებზე გაცემულ ლიცენზიებში. ამდენად, განსახილველი ნორმაც ითვალისწინებს მისთვის უცნობი ან დაუდგენელი საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ნაწარმოებისა და დაცვის სხვა ობიექტების მოსარგებლეებზე გაცემულ ლიცენზიებში ჩართვას, რაც შეუძლებელია უშუალოდ იმ ნაწარმოებისა და დაცვის სხვა ობიექტების დადგენის გარეშე, რომლებიც ექვემდებარება ლიცენზირებას.

"საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ყველა ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლებების ობიექტი, რომელიც საჯაროდ სრულდება, გადაიცემა ეთერით, კაბელით ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, აგრეთვე, ჩართულია გადაცემაში, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაში, შედის შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის რეპერტუარში. ამ

შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარგებლეს. განსახილველი ნორმა ადგენს პრეზუმფციას, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლებების ობიექტი, რომელიც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდება, შედის შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის რეპერტუარში, ე.ი. ივარაუდება, რომ აღნიშნული ორგანიზაცია უფლებამოსილია, წარმოადგინოს აღნიშნული ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების მფლობელები. აღნიშნული პრეზუმფცია მოქმედებს იქამდე, სანამ მოსარგებლე არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს, ე.ი. მიუთითებს იმ ფაქტებზე, რომლითაც დასტურდება, რომ კონკრეტული ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლებების ობიექტი არ შედის მის რეპერტუარში, მაგრამ განსახილველი ნორმის დანაწესი არ მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელე ორგანიზაცია თავისუფლდება იმ მუსიკალური ნაწარმოებების მითითებისაგან, რომლის აკრძალვასაც იგი ითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ნორმის შინაარსი არეგულირებს ყველა კონკრეტული ნაწარმოებისა და მომიჯნავე უფლებების ობიექტთან დაკავშირებულ და არა აბსტრაქტულ ურთიერთობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, მოსარჩელის უფლებამოსილების საფუძველი და ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში კონკრეტულად რომელი მუსიკალური ნაწარმოების აკრძალვას ითხოვს იგი. მათი დადგენის შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ კონკრეტულად რომელი მათგანი შედის მოსარჩელე ორგანიზაციის რეპერტუარში.

სარეზულუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "ტვ-ერა-ს" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საავტორო უფლების დარღვევით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ას-470-782-09 13 ნოემბერი, 2009წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: საავტორო უფლების დარღვევით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 20 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა რ. შ-დემ (წარმომადგენლები: ა. ბ-ძე, ი. ყ-შვილი) მოპასუხეების - სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის", საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, ი. ხ-ძის, ნ. ვ-შვილისა და მ. ჯ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საავტორო უფლების დარღვევით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება 1740 ევროს ეკვივალენტ ლარის (აქედან: მიუღებელი საავტორო ჰონორარი 975 ევროს ეკვივალენტი ლარი, ადვოკატის ხარჯი 500 ევროს ეკვივალენტი ლარი და დღგ - 265 ევროს ეკვივალენტი ლარი) და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 1500 ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით.

სარჩელის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

მოსარჩელე რ. შ-დე არის გერმანიის მოქალაქე, პროფესიით ფოტოგრაფი და კინემატოგრაფისტი. მას აქვს საფუძვლიანი განათლება და პროფესიული გამოცდილება ფოტოგრაფიაში, კინემატოგრაფიაში,

საგამომცემლო საქმეში, მედიასთან თანამშრომლობაში, არის ფილოსოფიის დოქტორი კინემატოგრაფიაში. რ. შ-დეს ღვაწლი აღიარებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

2005 წელს მოპასუხეებმა გამოსცეს ჟურნალი სახელწოდებით "საქართველოს სიძველენი", რომელშიც უნებართვოდ განათავსეს მოსარჩელის ფოტოსურათი მცხეთის ჯვრის გამოსახულებით. დასახელებული ფოტოსურათი გამოყენებულია ჟურნალის ბოლო გვერდად, იგი არის გერმანულ ენაზე გამოცემულ წიგნში "GEOღGIEN. ჭეჭრბაუტენ უნდ Kირცვენ" ("საქართველო. ციხესიმაგრეები და ეკლესიები") განთავსებული ფოტოსურათის იდენტური.

მოსარჩელის მითითებით, მას არ მიუცია მოპასუხისათვის თავისი ფოტოებით სარგებლობის უფლება. მიუხედავად ამისა, ჟურნალის პირველ გვერდზე გამოსახულია სიმბოლო ©, გამომცემლის დასახელება და გამოცემის წელი, რაც, "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, წარმოადგენს განსაკუთრებული საავტორო უფლების მქონე პირის დამცავ მექანიზმს. აღნიშნული სიმბოლო თანდართული მონაცემებით გულისხმობს, რომ პირი კანონიერად სარგებლობს განსაკუთრებული საავტორო უფლებებით.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხემ მითთვისა სადავო ფოტოსურათის ავტორობა და დაარღვია მისი ავტორობის უფლება, რადგან ჟურნალში არ მიუთითა ფოტოსურათის ავტორის ვინაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს აქვს არაქონებრივი და ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ რ. შ-დე გერმანიის მოქალაქეა. გერმანია არის ბერნის კონვენციისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტების ხელმომწერი ქვეყანა. შესაბამისად, მისი მოქალაქეები საქართველოში აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმებისა და "საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ" საქართველოს კანონის დაცვის ქვეშ იმყოფებიან. მოსარჩელემ, კერძოდ, მიუთითა "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების რეპროდუცირება, გავრცელება, გადამუშავება, ხოლო მე-3 პუნქტის შესაბამისად, ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს, მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (ჰონორარის უფლება). 58-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვნებს, ითვლება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევად. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვთ, დამრღვევისაგან მოითხოვონ: ა. უფლების აღიარება; ბ. უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს; გ. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით; დ. ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო მათი უფლებების დარღვევის შედეგად; ე. ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო; ვ. მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე, ის შემოსავალი, რაც შეეძლო მიეღო ავტორს ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლზომიერი გამოყენების შედეგად ("საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები).

მოსარჩელემ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

მოსარჩელის მოსაზრებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, მოპასუხეების მიერ გამოცემული ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" ბოლო გვერდი, რ. შ-დეს ფოტოილუსტრაცია წიგნიდან "GEOღGIEN. ჭეჭრბაუტენ უნდ Kირცვენ" ("საქართველო. ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები"), რ. შ-დეს განცხადება, რომლითაც იგი ადასტურებს, რომ თავისი განსაკუთრებული საავტორო უფლებები ოპონენტებისათვის არ გადაუცია, საკმარის საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი - ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი ფოტოსურათი უკანონოდ გამოიყენეს.

ქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მოსარჩელემ მიუთითა ევროპაში დადგენილი ფოტოსურათით სარგებლობის უფლების შექმნის მიზნით გადასახდელი საჰონორარო ნიხრების კრებულზე (BILDHONORადE 2007, დანართი #8) და განმარტა, რომ საავტორო უფლების დარღვევისას ავტორს შეუძლია შემდგომ ფორმულაზე დაყრდნობით მოითხოვოს სამართლიანი ანაზღაურება მისთვის მიყენებული როგორც ქონებრივი, ისე მორალური ზიანისათვის: საბაზისო თანხა ფოტოსურათის ბოლო გვერდად გამოყენებისათვის, დამატებული საბაზისო თანხის 25% ჟურნალის ერთზე მეტ ენაზე გამოქვეყნებისათვის, დამატებული საბაზისო თანხის 100% ავტორის სახელის მიუთითებლობისათვის,

დამატებული 100% იმ სპეციალური სიძნელეებისათვის, რაც ახლდა ამ ფოტოსურათის გადაღებას. მთლიანობაში ეს თანხა შეადგენს 975 ევროს ეკვივალენტ ლარს გადახდის მომენტისათვის (300+75+300+300).

მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ადვოკატისათვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება და აღნიშნა, რომ მასა და მის წარმომადგენელ ფირმას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად ანაზღაურება წარმოებდა საათობრივი ანაზღაურების წესით, კლიენტისათვის დახარჯული დროის შესაბამისად, საათში 100 ევროს ოდენობით. სარჩელის ადვოკატის დროისათვის ეს თანხა შეადგენდა 500 ევროს, თუმცა პროცესის დასრულებამდე, მომსახურების დროის ზრდასთან ერთად, ბუნებრივია, იგი გაიზარდებოდა. იმავდროულად აღნიშნულ თანხას უნდა დამატებოდა 18% დღგ - 265 ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით.

არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობასთან მიმართებით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან საავტორო უფლების დარღვევის შედეგად ძლიერი სულიერი ტკივილი განიცადა. მისთვის წარმოდგენელი იყო, რომ ქვეყანაში, რომელიც ასე გულწრფელად უყვარდა და რომლის კულტურის სამსახურშიც ათწლეულების განმავლობაში ამდენი უანგარო შრომა გასწია, ასე უხედიდნენ "მადლობას" ღვაწლისათვის. მისთვის წარმოდგენელი იყო, რომ "პირდაპირი და უშუალო პროდუქტი მისი მაღალი ფოტოგრაფიული ხელოვნებისა, შედეგი იმ მაღალი პროფესიონალიზმისა, რომელიც მან თავისი 70-წლიანი ცხოვრების მანძილზე შეიძინა, იმ დროითი, ენერგეტიკული და ფინანსური დანახარჯებისა, რომლებიც მას თითქმის ნახევარი საუკუნის სოფელ-სოფელ ხეტიალის, ვინ მოსთვის რამდენი ოფლის და გაცვეთილი ფეხსაცმლის ფასად დაუჯდა, ახლა ერთი ხელის მოსმით, მისთვის დაუკითხავად, ასე უპატივცემულოდ, ასე დამამცირებლად ვიღაცის გამდიდრებას ხმარდებოდა. არავის არასდროს საქართველოში არ გადაუხდია თუნდაც ერთი თეთრი მისი გერმანიიდან საქართველოში და უკან მგზავრობისთვის, ავტომანქანისა და მძღოლის მომსახურებისთვის, ბინისა და კვებისთვის, ან თბილი ტანსაცმლისთვის, რომელიც მას ზამთარ-ზაფხულ, ყველაზე შორეულ წერტილებში სამოგზაუროდ დასჭირვებია. არავის არა აქვს უფლება, ადამიანს წაართვას ის, რაც მას თავისი ხელით, თავისი ოფლით და ნიჭით შეუქმნია, ამიტომაც ასეთ მორალურ ზიანს ადეკვატური შეფასება არ შეიძლება ჰქონდეს, თუმცა აუცილებელია, რომ იგი კონკრეტული თანხით შეფასდეს". ზემოაღნიშნული საპრონორარო ნიხრების კრებულზე დაყრდნობით მოსარჩელემ არაქონებრივი ზიანი 1 500 ევროს ოდენობით შეაფასა.

საქალაქო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოპასუხეები: სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი", ი. ხ-ძე, ნ. ვ-შვილი, მ. ჯ-ია.

2007 წლის 24 დეკემბერს მოსარჩელემ იმავე სასამართლოში დაზუსტებული სასარჩელო განცხადება წარადგინა, სადაც მოითხოვა მოპასუხეთა მიერ სადავო ფოტოსურათის ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" ორ სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნებისათვის ზიანის ანაზღაურება 6 431 ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით, საიდანაც ქონებრივი ზიანის სახით ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდა 3 431 ევროს ეკვივალენტ ლარს (აქედან: მიუღებელი საავტორო ჰონორარი 1 950 ევროს ეკვივალენტი ლარი; ადვოკატის ხარჯი 500 ევროს ეკვივალენტი ლარი), ხოლო არაქონებრივი ზიანი - 3 000 ევროს ეკვივალენტ ლარს, 981 ევროს ეკვივალენტი ლარი კი წარმოადგენდა დღგ-ს - 5 450 ევროს ეკვივალენტი ლარის 18%-ს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით, რ. შ-დეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

რ. შ-დე გერმანიის მოქალაქეა და მისი საცხოვრებელი ადგილიც გერმანიაშია. მოსარჩელის ერთ-ერთ პროფესიას ფოტოგრაფობა წარმოადგენს;

მოპასუხე სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი" წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფლებამონაცვლეს;

რ. შ-დესა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს შორის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არსებობდა საქმიანი, ამავე დროს - მეგობრული დამოკიდებულება;

მოპასუხე ფიზიკური პირები - ი. ხ-ძე, ნ. ვ-შვილი, მ. ჯ-ია მუშაობდნენ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ისინი ამჟამადც წარმოადგენენ ამ ინსტიტუტის უფლებამონაცვლე კვლევის ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებს;

2002 წლიდან მოპასუხეები - სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი" (2005 წლის 12 დეკემბრამდე - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი) და "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი" გამოსცემენ პერიოდულ გამოცემას, ჟურნალს "საქართველოს სიძველენი". ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლები არიან მოპასუხე ფიზიკური პირები;

ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" 2004 წლის #6 და 2005 წლის #7-8 გამოცემის გარეკანზე, კერძოდ, გარეკანის მე-4 გვერდზე (უკანა ყდაზე) განთავსებულია მცხეთის ჯვრის ტაძრის ფოტოსურათი, რომელიც ჟურნალში არ არის ანოტირებული; არ არის დასახელებული ფოტოზე გამოსახული ძეგლის სახელწოდება, მისი თარიღი, ადგილმდებარეობა; ჟურნალში (ორივე ნომერში) დასახელებულია მის გარეკანზე, კერძოდ, გარეკანის პირველ გვერდზე განთავსებულ ფოტოსურათზე გამოსახული ძეგლის (მცხეთის ჯვრის ტაძრის სამხრეთ ფასადის რელიეფი) სახელწოდება და ადგილმდებარეობა;

ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" გამომცემელთა მიერ ჟურნალის ზემომითითებული ნომრების გარეკანზე (უკანა ყდაზე) განთავსებული მცხეთის ჯვრის ფოტოსურათი აღებულია 1987 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. ლაიფციგში გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნიდან: GEOღGIEN, ჰეკრბაუტენ უნდ კირცჰენ, VEB E.A. შეემანნ ვერლაგ, ლეიპციგ 1986 (საქართველო. ციხესიმაგრეები და ეკლესიები);

საავტორო უფლების დაცვის ნიშნის ერთ-ერთი ელემენტი, სიმბოლო - ლათინური ასო ჩ წრეწირში - © ანუ "კოპირაითი" გამოყენებულია როგორც გერმანულენოვან წიგნში (GEOღGIEN, ჰეკრბაუტენ უნდ კირცჰენ), ისე - ჟურნალ "საქართველოს სიძველეში". გერმანულენოვან წიგნში სიმბოლო © დასმულია წიგნის გამომცემლის - "ე. ა. ზემანის გამომცემლობის" წინ; ჟურნალ "საქართველოს სიძველეში" სიმბოლო © გამოყენებულია ორჯერ, ჟურნალის ორივე გამომცემლის სახელების - "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა" და "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის" დასახელების წინ;

ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" გამომცემლებს გერმანულენოვანი წიგნიდან მცხეთის ჯვრის ფოტოსურათის გამოყენებისას - ჟურნალის ორი ნომრის გარეკანზე (უკანა ყდაზე) ფოტოსურათის განთავსებისას, არავისგან აუღიათ ნებართვა და არ მიუთითებიათ ფოტოგრაფის ვინაობა.

მოცემულ შემთხვევაში სადავო იყო მოპასუხეთა მიერ რ. შ-დეს საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტი. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხეებმა დაარღვიეს მისი საავტორო უფლებები, ვინაიდან მისი ნებართვის გარეშე კომერციული მიზნით გამოიყენეს საავტორო უფლების ობიექტი - მის მიერ გადაღებული ფოტოსურათი.

საქალაქო სასამართლომ "ე. ა. ზემანის გამომცემლობის" მიერ გამოცემულ, ზემოთ დასახელებულ წიგნში 187-ე ნომრად განთავსებული სადავო ფოტოს დათვალიერების საფუძველზე მიიჩნია, რომ ანალოგიური ფოტოს გადაღება, მცხეთის ჯვრის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის ხედის, კავკასიონის ქედით ფირზე ანალოგიურად აღბეჭდვა, იმავე მხრიდან და მანძილიდან, სიმნელეს არ წარმოადგენდა. უფრო მეტიც, აღნიშნული ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი (პროფესიონალი თუ მოყვარული) ფოტოგრაფისთვის. გერმანულენოვან გამოცემაში არსებული ფოტოდან ცხადი იყო, რომ ის გადაღებულ იქნა თბილისის მოსაზღვრე მცხეთაში მდებარე დაბლობი (და არა მიუვალი ან მწელად მისასვლელი) ადგილიდან, სადაც მოხვედრა და ფოტოს გადაღება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სირთულეების გარეშე იყო შესაძლებელი როგორც ამჟამად, ისე - 22-25 წლის წინათ. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მისი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე ასევე გარკვეული გავლენა იქონია მოპასუხის მიერ წარმოდგენილმა ფოტოებმა, რომლებიც სარჩელის შეტანის შემდეგ მათ გადაიღეს მცხეთაში, ადგილობრივი საავტომობილო გზიდან 2-3 მეტრის დაშორებით.

საქალაქო სასამართლომ დადგინილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად საქართველოში მოქმედი საავტორო სამართლის ნორმების საფუძველზე დაასკვნა, რომ მოსარჩელის, როგორც ავტორის, უფლებების დასაცავად აუცილებელი იყო: ა. რ. შ-დე ყოფილიყო საავტორო სამართალურთიერთობის (საავტორო უფლების) სუბიექტი - ავტორი; ბ. არსებულიყო რ. შ-დეს საავტორო უფლება; გ. გერმანულენოვან წიგნში განთავსებული ფოტოსურათი (#187) ყოფილიყო "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონით გათვალისწინებული საავტორო უფლების ობიექტი - მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები; დ. ადგილი ჰქონოდა მოპასუხეთა მიერ "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონით გათვალისწინებული მოსარჩელის საავტორო უფლებების დარღვევას. დასახელებული საკითხების ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ უწინარესად გასარკვევად მიიჩნია საკითხი იმის შესახებ, რ. შ-დეს ფოტოსურათი (#187) იყო თუ არა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის მე-4 მუხლის "ა" ქვეპუნქტზე, მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ ტერმინში "ავტორი" იგულისხმება ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები; ნაწარმოები არის ავტორის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი და შემქმნელობითი საქმიანობის შედეგი (და არა სხვა ტიპის შემოქმედების შედეგი); საავტორო უფლების ობიექტებია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა; მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს (სხვა ნაწარმოებებთან ერთად) მიეკუთვნება ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოები. "ბერნის კონვენციის" მე-2(1) მუხლი დასაცავ ნაწარმოებებს - ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებს მიაკუთვნებს ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებსაც.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ფოტონაწარმოები ფოტოგრაფიული შემოქმედების შედეგია, რომელიც, ამავე დროს, განსხვავდება ფოტოგრაფიული შემოქმედების სხვა შედეგებისგან. ფოტოგრაფიული შემოქმედების შედეგი გამოისახება ფოტოსურათის სახით, ვინაიდან ფოტოშემოქმედება ხორციელდება ტექნიკური მოწყობილობით – ფოტოაპარატით, ფოტოსურათი ყოველთვის არ არის შემქმნელით ინტელექტუალური შემოქმედების შედეგი: ერთია, როდესაც ფოტოაპარატის მეშვეობით აისახება ბუნებაში დანახული სურათი იმ სახით, რა სახითაც ის არსებობს და სხვაა, როდესაც ფოტოსურათი წარმოადგენს ისეთ ხელოვნების ნაწარმოებს, რომელშიც კომპოზიცია და შერჩეული ობიექტის გადასაღებად მოხელთების გზა ორიგინალურია, ე.ი. როდესაც ნებისმიერი ფოტოგრაფი (მათ შორის მოყვარული) ეწევა შემოქმედებას: ის თვითონ ქმნის გონებაში წარმოსახულ სურათს, იდეას უქვემდებარებს სიუჟეტს, რასაც ბუნებრივი ან მხატვრული ელემენტებისაგან შემდგარი კომპოზიციური ერთობით, შუქ-ჩრდილის და ფერების გამოყენებით აღწევს, რის შემდეგაც ფოტოაპარატის მეშვეობით ობიექტურად გამოხატავს საკუთარი ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, ფოტოგრაფი ფოტოხელოსანია და არა ფოტოხელოვანი, როდესაც მისი მიზანია დააფიქსიროს, აღბეჭდოს ლიტერატურული ნაწარმოები (მაგალითად, ძველი ხელნაწერი), მხატვრული ნაწარმოები (მაგალითად, ფერწერული ტილო, არქიტექტურული ძეგლი და ა.შ.). ამ დროს ფოტოგრაფს სურს ძეგლის მკაფიოდ, მაღალხარისხოვნად წარმოჩენა, ე.ი. არსებულის ასლის – ფოტოდოკუმენტის დამზადება. ასეთი ფოტოსურათი (ფოტოდოკუმენტი) მოკლებულია საავტორო-შემოქმედებით ორიგინალობას, რადგან რეალურად არსებული ნაწარმოების ფოტოფიქსაციაა.

განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. შ-დეს მიერ გადაღებული ფოტოსურათი წარმოადგენდა ფოტოდოკუმენტს, რეალურად არსებული მხატვრული ნაწარმოების, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის – მცხეთის ჯვრის ტაძრის ფოტოფიქსაციას, რომელიც მოკლებული იყო საავტორო-შემოქმედებით ორიგინალობას. აღნიშნული ფოტოსურათი არ შეიძლება ადიარებულიყო საავტორო უფლებებით დასაცავ ფოტონაწარმოებად: ამ ფოტოსურათის გადაღებისას ადგილი არ ჰქონია მოსარჩელის ინტელექტუალურ-შემოქმედებით წვას. მოსარჩელის მიზნიდან გამომდინარე, მის წინაშე არც იდგა ამის საჭიროება, მეტიც, როგორც წესი, არსებული ობიექტის მხოლოდ ანაბეჭდის – ასლის მიღების მიზანი გამორიცხავდა ფოტოსურათის საავტორო-შემოქმედებით ორიგინალობას.

მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ ფოტოგადაღების მიზანი იყო ქ. ლაიფციგში გამოსაცემი, ქართული ავტორების წიგნში დასახელებულ ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლთაგან ერთ-ერთის – მცხეთის ჯვრის ტაძრის დოკუმენტური სიზუსტით გადაღება გამომცემლობის წინაშე აღებული ვალდებულების შესაბამისად. რ. შ-დემ მიზნის შესაბამისად მოახდინა ამ ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის ასლის გადაღება, მისი ფოტოფიქსაცია, არსებული ობიექტის ფოტონაბეჭდის დამზადება.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, სამეცნიერო პუბლიკაციების საილუსტრაციო ფოტოების მიზანია მეცნიერისათვის საინტერესო მასალის ასახვა, რის გამოც ამ ფოტოებს, თავისთავად, მნიშვნელობა არ გააჩნია. მოსარჩელე ვერ მიუთითებდა, რა იყო მისი ფოტოსურათის "სიახლე", რაში გამოიხატებოდა ამ ფოტოგადაღების მიმართ მისი ინტელექტუალური შემოქმედებითი მიდგომა, მისი საქმიანობის შედეგის – ფოტოსურათის ინდივიდუალობა, ორიგინალობა.

სადავო საკითხზე მსჯელობისას საქალაქო სასამართლომ ყურადღება მიაქცია რ. მ-შვილისა და ვ. ც-ძის წიგნის და მასში არსებული ფოტოსურათების შესახებ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ დ. ხ-ის მოსაზრებას, რომ რ. შ-დეს ფოტოსურათები არ შეიცავს არაფერს ისეთ განსაკუთრებულ ნიშნებს, რომლებითაც შეიძლება მათი მიჩნევა ფოტოხელოვნების ორიგინალურ ნაწარმოებად.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ პოზიციის გასამყარებლად მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე ბ. მ-ოვას წინააღმდეგ (ა. ვ. ო-ოვა. #19247/03; 29.01.2008). საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეში სადავო იყო არა ბ-ის საავტორო უფლება ფოტოზე (რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფონად), არამედ – ფოტოს გამოყენებისათვის კომპენსაციის მიღების შემდგომი პერიოდისათვის მისი ფოტოს უკანონო გამოყენებისათვის ფინანსური დანაკარგის ანაზღაურება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს აქტში უშუალოდ ფოტოსურათზე (რომელზეც აღბეჭდილია მოლდოვას ცნობილი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი) არ არის მსჯელობა, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ცხადი ხდება მისი ინდივიდუალობა და ორიგინალობა. ბ-ის მიზანი არ იყო ძეგლის ასლის ფოტოდოკუმენტის დამზადება, რაც გამორიცხავს ინტელექტუალურ-შემოქმედებით მიდგომას. ამ სურათის "სიახლემ", გასხვავებულობამ განაპირობა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფონად სწორედ მისი გამოყენება.

ზემოაღნიშნული არგუმენტების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ რ. შ-დეს სადავო ფოტო (#187) არ მიიჩნია დაცვად ნაწარმოებად. შესაბამისად, რ. შ-დე არ იქნა მიჩნეული საერთაშორისო თუ ეროვნულ საავტორო სამართალში გათვალისწინებულ ავტორად – საავტორო უფლების (საავტორო სამართალურთიერთობის) სუბიექტად. მიჩნეულ იქნა, რომ ასევე არ არსებობდა რ. შ-დეს საავტორო უფლება. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში რ. შ-დეს მიერ არ შექმნილა მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების დაცვადი ნაწარმოები, აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ

წარმოშობილა მისი საავტორო უფლებაც. საავტორო უფლების არარსებობის პირობებში, ბუნებრივია, არც მისი ხელყოფა (დარღვევა) იყო შესაძლებელი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. შ-დემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. შ-დეს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება მოპასუხეების - სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრისა" და "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის" მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: რ. შ-დეს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის" და "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის" დაეკისრათ რ. შ-დეს სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურება 600 ევროს ეკვივალენტი ლარისა და მორალური ზიანის ანაზღაურება 500 ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით; სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის" და "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის" რ. შ-დეს სასარგებლოდ დაეკისრათ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება 44 ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

რ. შ-დე გერმანიის მოქალაქეა და მისი საცხოვრებელი ადგილი გერმანიაშია. მოსარჩელის ერთ-ერთ პროფესიას ფოტოგრაფობა წარმოადგენს;

2002 წლიდან მოპასუხეები - სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი" (2005 წლის 12 დეკემბრამდე - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი) და "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი" გამოსცემენ პერიოდულ გამოცემას - ჟურნალს "საქართველოს სიძველენი";

ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" 2004 წლის #6 და 2005 წლის #7-8 გამოცემის გარეკანზე (უკანა ყდაზე) განთავსებულია მცხეთის ჯვრის ტაძრის ფოტოსურათი;

ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" გამომცემელთა მიერ ჟურნალის მითითებული ნომრების გარეკანზე (უკანა ყდაზე) განთავსებული მცხეთის ჯვრის ტაძრის ფოტოსურათი აღებულ იქნა 1987 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ქ. ლაიფციგში გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნიდან: GEO-GIEN.ჭეჭრბაუტენ უნდ კირცჰენ, VEB E.A. შეემანნ Vერლაგ, ლეიპციგ 1986 (საქართველო. ციხესიმაგრეები და ეკლესიები);

ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" გამომცემლებს გერმანულენოვანი წიგნიდან მცხეთის ჯვრის ფოტოსურათის გამოყენებისას არავისგან აუღიათ ნებართვა და არ მიუთითებიათ ფოტოგრაფის ვინაობა. მოსარჩელე რ. შ-დე აცხადებს, რომ ამ ქმედებით მოპასუხეებმა დაარღვიეს მისი საავტორო უფლება და ითხოვს მისი საავტორო უფლების დარღვევით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას;

ქ. ლაიფციგში გამოცემულ წიგნში ფოტოები ეკუთვნის მოსარჩელე რ. შ-დეს. წიგნის თავფურცელზე (კონტრასტიტულო გვერდზე) აღნიშვნა - "ფოტოები რ. შ-დესი" (სხვა თარგმანით - გამოსახულებანი, ასახულობანი რ. შ-დესი), სასამართლოს მიუთითებს წიგნში არსებული ფოტოების რ. შ-დეს მიერ გადაღებაზე. განსხვავებული თარგმანის - "გამოსახულებანი რ. შ-დესი" - გაზიარების შემთხვევაშიც, ტერმინი "გამოსახულებები" მოიცავს ფოტოებსაც;

მოპასუხე სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი" წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფლებამონაცვლეს;

წიგნში არსებული ფოტოები რ. შ-დეს მიერ გადაღებულ იქნა სპეციალურად რ. შ-შვილისა და ვ. ც-ძის გერმანულენოვანი წიგნისთვის, მასში დასახელებული და დახასიათებული, სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ქართული ისტორიული (არქიტექტორული) ძეგლების - ეკლესია-მონასტრების, ციხესიმაგრეების, მკითხველისათვის თვალსაჩინოების მიზნით, წიგნში არსებული მეცნიერულ-შემეცნებითი მასალის ილუსტრირებისათვის.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადავო ფოტოსურათის რ. შ-დეს მიერ გადაღებას დამატებით ადასტურებდა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის" წარმომადგენლის განმარტება, რომ, როდესაც რ. შ-დე საქართველოში ჩამოვიდა, თავად გადასცეს მას ჟურნალი, სადაც მისი ფოტოა, რადგან ეგონათ, გაუხარდებოდა, მან კი სარჩელით მიმართა სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის გადასაწყვეტად უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა რ. შ-დეს მიერ გადაღებული სადავო ფოტოსურათი დაცვად ნაწარმოებს. მხარეები თანახმა არიან, დავა გადაწყდეს ქართული სამართლის საფუძველზე. ამასთან, ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მონაწილეა როგორც საქართველო, ისე - გერმანია. ქვეყნები, სადაც გამოიყენება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ავტორთა უფლებების დაცვის მიზნით ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე (მუხ.1). შესაბამისად, ფოტოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც, ბერნის კონვენციის 2(1) მუხლის თანახმად, დაცვადი ნაწარმოებია, 2(6) მუხლით სარგებლობს დაცვის უფლებით კავშირის ყველა ქვეყანაში. 3(1(ა)) მუხლით, დაცვის უფლება გამოიყენება ავტორთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეებს, როგორც გამოქვეყნებული, ისე - გამოუქვეყნებელი ნაწარმოების მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ურთიერთობა - მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის საავტორო უფლებების დარღვევა, რაც გამოიხატა რ. შ-დეს ნებართვის გარეშე მის მიერ გადაღებული ფოტოს გამოყენებაში, წარმოიშვა 2004-2005 წლებში, როდესაც ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" 2004 წლის #6 და 2005 წლის #7-8 გამოცემის გარეკანზე დაიბეჭდა მცხეთის ჯვრის ტაძრის ფოტოსურათი, რის გამოც სასამართლოს დავის გადასაწყვეტად უნდა გამოიყენებინა დასახელებულ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ რ. შ-დეს მიერ გადაღებული ფოტოსურათი ფოტოდოკუმენტია, რეალურად არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის ფოტოფიქსაციაა, რომელიც მოკლებულია საავტორო შემოქმედებით ორიგინალობას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, რომლის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. შ-დეს გადაღებული ფოტო წარმოადგენს დაცვად ნაწარმოებს, რადგან არ აქვს მნიშვნელობა მის დანიშნულებას (სამეცნიერო ნაშრომის ილუსტრირებისათვის მოხდა მისი გადაღება თუ სხვა მიზნით), ავკარგიანობას, ჟანრს, მოცულობას. სადავო ფოტო რ. შ-დეს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია და გამოხატულია ობიექტური ფორმით: ფოტოსურათი საგანგებოადაა შექმნილი მასზე ასახული ობიექტის - მცხეთის ჯვრის ტაძრის ასახვისათვის, შერჩეულია ფოტოს გადასაღები ადგილი, ხედი. თუნდაც ერთი და იგივე ობიექტის ფოტოგადაღებისას სხვადასხვა პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ხედვის შედეგად იქმნება დამოუკიდებელი და დაცვადი ნაწარმოებები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ფოტოსურათის დაცვად ნაწარმოებად მიჩნევაზე გავლენას ვერ იქონიებდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ იმ ადგილას მოხვედრა, საიდანაც სადავო ფოტოსურათია გადაღებული, სირთულეების გარეშეა შესაძლებელი დღეს და შესაძლებელი იყო წლების წინათაც.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 59-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, საავტორო უფლებების მფლობელებს უფლება აქვთ, დამრღვევისგან მოითხოვონ: ა. უფლების აღიარება; ბ. უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს; გ. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით; დ. ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო მათი უფლებების დარღვევის შედეგად; ე. ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო; ვ. მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის საფუძველზე, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

"საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის არსი, უფლების მფლობელისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე, ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო უფლების მფლობელს ნაწარმოების, მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლზომიერად გამოყენების შედეგად.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეების - სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრისა" და "კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრისათვის" მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად დასაკისრებელი თანხის ოდენობა 600 ევროს, ხოლო მორალური ზიანის თანხა - 500 ევროს ეკვივალენტი ლარით განსაზღვრა, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

ფოტო გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ წლების წინ, კერძოდ, 1987 წელს. მოსარჩელის მსჯელობა ევროპაში დამკვიდრებული ზიანის ანაზღაურების ნიხრების თაობაზე საფუძვლად ვერ დაედებოდა სარჩელში მოთხოვნილი ოდენობით ზიანის დაკისრებას, რადგან საქართველოში ასეთი ნიხრები

დაწესებული არ იყო. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საქართველოში, მისი სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, სარჩელში მითითებული თანხა არაგონივრულად მიიჩნია.

გარდა ამისა, დადგენილი იყო, რომ პერიოდული გამოცემა - ჟურნალი "საქართველოს სიახლენი" არაკომერციულ სამეცნიერო გამოცემას წარმოადგენდა, მისი ტირაჟი შეადგენდა მხოლოდ 3 000 ცალს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, ჟურნალის არაკომერციულობა თავისთავად არ გამოირჩევა მასში ფოტონაწარმოების გამოყენებისას ავტორისათვის შესაბამისი გასამრჯელოს ანაზღაურებას, მაგრამ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი იყო მისი მხედველობაში მიღება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მთლიანობაში მოპასუხეებს რ. შ-დეს სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდათ 1 110 ევროს ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

რაც შეეხებოდა სასარჩელო მოთხოვნას ასანაზღაურებელი თანხის 18%-ის ოდენობით დღგ-ის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ამის საფუძველი. საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლით დღგ წარმოადგენდა არაპირდაპირ გადასახადს, რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას.

საქმეზე დგინდებოდა, რომ მოპასუხე ფიზიკური პირები - ი. ხ-ძე, ნ. ვ-შვილი და მ. ჯ-ია მუშაობდნენ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ამასთან, დასახელებული პირები წარმოადგენენ ამ ინსტიტუტის უფლებამონაცვლე სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის" მეცნიერ-თანამშრომლებს. ჟურნალის გამომცემელი იყო გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალის გამომცემელ ნომრებთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხების მოწესრიგებისას მესამე პირებთან ურთიერთობაში სათანადო მხარეს წარმოადგენდნენ მხოლოდ აღნიშნული ორგანიზაციები (ან მათი უფლებამონაცვლეები) და არა მათი, ამა თუ იმ უფლებამოსილებით აღჭურვილი რომელიმე თანამშრომელი (მოცემულ შემთხვევაში მოპასუხედ ჩართული რომელიმე ფიზიკური პირი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა რ. შ-დეს სარჩელი მოპასუხეების - ნ. ვ-შვილის, ი. ხ-ძისა და მ. ჯ-იას მიმართ, უცვლელად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრმა" და არასამეწარმეო იურიდიულმა პირმა "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრმა", რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმება რ. შ-დეს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლო იძლევა არასწორ სამართლებრივ შეფასებას, როდესაც პროფესორებს - ვ. ც-ძესა და რ. მ-შვილს მოიხსენიებს მხოლოდ წიგნის ტექსტის ავტორებად, ხოლო წიგნში მოყვანილი ტექსტის ფოტოილუსტრაციების ავტორად წარმოგვიდგენს რ. შ-დეს. კასატორის მოსაზრებით, სამართლებრივად ეს არასწორია, რამდენადაც "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად ისტორიული ძეგლების შესახებ და შესაბამისად, ისტორიული ფაქტების და მოვლენების შესახებ წიგნში ასახულ თხრობაზე ცალკე, განყენებულად საავტორო უფლება არ ვრცელდება. სინამდვილეში სწორედ პროფესორები ვ. ც-ძე და რ. მ-შვილი გახლავთ მთლიანობაში გერმანულენოვანი წიგნის ავტორები და თუ წიგნის გამოყენება მოხდა ან მოხდება ვინმეს მიერ, რ. შ-დეს ამაზე პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს. რაც შეეხება წიგნის კონტრ-ტიტულზე არსებულ წარწერას - "ასახულობანი რ. შ-დესი", ეს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის თანახმად არ ნიშნავს საავტორო უფლებით დაცვადი ნაწარმოების ქმნადობას და, ამდენად, რ. შ-დეს ავტორად აღიარებას.

კასატორთა განმარტებით, ზეემანის გამომცემლობის სამსახურებრივი დაკვეთით რ. შ-დეს მიერ გადაღებული მცხეთის ჯვრის ტაძრის სადავო ფოტოგამოსახულება თავისი ფაქტობრივი და სამართლებრივი სუბსტანციით არის ისტორიულ-დოკუმენტური ფოტოილუსტრაცია და ხელოვნანის (მათ შორის ფოტოხელოვანის) მხატვრული გონით, შემოქმედებით და კონცეფციით შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთან არაფერი აქვს საერთო. რ. შ-დემ მოახდინა მხოლოდ საუკუნეების მანძილზე არსებული მონასტრის ფოტოფიქსაცია, თანაც პროფესორ ვ. ც-ძის მითითებით, რომელსაც ეკუთვნოდა მთელი წიგნის კონცეფცია და ჩანაფიქრი.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სამართლებრივად საავტორო უფლებით დაცვადი ნაწარმოების უმთავრესი თვისება მისი ორიგინალობაა, ანუ იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი მხატვრული შემოქმედების, კონცეფციისა და ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგი. საავტორო უფლებით დაცვადი

ნაწარმოები ფასდება მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესხმის ხარისხითა და ღირებულებით და არა მაღალხარისხიანი ფოტოაპარატით გადაღებული გამოსახულებით. მაღალხარისხიან დოკუმენტურ ფოტოს, რასაკვირველია, აქვს ღირებულება, როგორც ნაწარმს, პროდუქციას, მაგრამ არა როგორც საავტორო უფლებით დაცვად მხატვრულ ნაწარმოებს. იგი ფასდება საბაზრო ღირებულებით და არა საავტორო ჰონორარით.

კასატორთა მითითებით, საქართველოს გამომცემლობები, რაც საყოველთაოდ ცნობილია, ამგვარ ფოტოებს იძენენ დაახლოებით 10 ევროდან 50 ევრომდე ღირებულებით თითოს. გამომცემლობის მიერ რ. შ-დესათვის დოკუმენტური ფოტოსურათების (ფოტოილუსტრაციების) გადაღების დავალება იმით იყო განპირობებული, რომ გერმანულენოვან წიგნში მოცემული სამეცნიერო ინფორმაცია საქართველოს ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეების შესახებ გერმანულენოვანი მკითხველისათვის არ ყოფილიყო გაუგებარი, მკითხველს წარმოდგენა შექმნოდა, თუ რა ობიექტების (ტაძრებისა და ციხეების) შესახებ იყო წიგნში საუბარი. შესაბამისად, ზემანის გამომცემლობას რ. შ-დესათვის არ დაუვალვია ფოტოგრაფიული საშუალებით საავტორო უფლებით დაცვადი, ორიგინალური ნიშნით გამორჩეული მხატვრული გამოსახულების (ნაწარმოების) შექმნა. აქედან გამომდინარე, მისი მსჯელობა ავტორობისა და საავტორო ჰონორარის ანაზღაურების თაობაზე გაუგებარია.

კასატორებისათვის ასევე გაურკვეველია, თუ რატომ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ სადავო ფოტო ორიგინალური ნიშნით გამორჩეულ დაცვად ნაწარმოებად, მაშინ როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნით ანალოგიური ფოტოსურათის გადაღება იმავე ხედიდან და იმავე მანძილიდან თვით მოყვარული ფოტოგრაფისთვისაც არანაირ სიმძნელს არ წარმოადგენს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ჟურნალი "საქართველოს სიძველენი" არაკომერციული გამოცემაა, რომელიც რიგდება უსასყიდლოდ. ჟურნალი არსებობს შემოწირულობების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მსჯელობა იმის შესახებ, რომ რ. შ-დეს ამ გამოცემით რაიმე ზიანი მიადგა, საფუძველს მოკლებულია.

კასატორები არასწორად მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო ფოტოს მხატვრულ ნაწარმოებად შეფასებას. "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი შეეხება ნაწარმოებებს, რომლებიც შექმნილია ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად. კასატორი დაწესებულებები და მათი თანამშრომლები ათეული წლები იკვლევენ საქართველოს ხელოვნების ისტორიის საკითხებს. მათ კოლეგიალურად გადასცეს რ. შ-დეს ჟურნალის ის ეგზემპლარი, სადაც სადავო ფოტო იყო დაბეჭდილი. ეს მათ არ დაუმაღავთ, რადგან მიაჩნდათ, რომ მათი უხუცესი კოლეგების, პროფესორების - რ. შ-ვილისა და ვ. ც-მის წიგნი მათივე ინსტიტუტის (ამჟამად ცენტრის) პროდუქციას წარმოადგენს. კასატორთა აზრით, რ. შ-დეს არ შეუქმნია კანონით დაცვადი ორიგინალური გამოსახულება, აღნიშნული ფოტო გადაღებულია საავტომობილო გზიდან ყოველგვარი შემოქმედების გარეშე, ფოტოგრაფის ჩვეულებრივი შრომის შედეგად. მეცნიერულად შრომა განმარტებულია, როგორც ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობა, მიზანშეწონილობას სჭირდება გარკვეული დონის ინტელექტი, მაგრამ ყოველგვარი შრომის შედეგად არ იქმნება საავტორო უფლებებით დაცვადი, მით უფრო, მხატვრული ნაწარმოები. ფოტოატელიეში მომუშავე ფოტოგრაფი, რომელიც პირადობის დამადასტურებელ ფოტოსურათს იღებს, არჩევს ფონს, განათებას და თვით პიროვნების ჩაცმულობასაც, მაგრამ მისი ფოტოსურათი არის მხოლოდ დოკუმენტური ფოტო. მასზე არ ვრცელდება საავტორო უფლება, განსხვავებით ფოტოხელოვანის მიერ გარკვეული იდეის საფუძველზე შექმნილი ფოტოპორტრეტისგან, რომელიც, მართალია, იმავე საშუალებითაა შექმნილი, მაგრამ მხატვრული ნაწარმოებია.

კასატორები დასკვნის სახით მიუთითებენ, რომ რ. შ-დეს მიერ გადაღებული სადავო ფოტო ყოველგვარი მხატვრული იდეისა და ხერხების გამოყენების გარეშე გადაღებული ფოტოსურათია. შესაბამისად, მის ავკარგიანობას, ჟანრს, მოცულობას, გამოხატვის ფორმასა და საშუალებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და იგი საავტორო უფლებით დაცვად ნაწარმოებად ვერ მიიჩნევა. სადავო ფოტოსურათის განთავსება არაკომერციული სამეცნიერო ჟურნალის - "საქართველოს სიძველენის" უკანა ყდაზე არ არღვევს არავის უფლებებს და ასახავს საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში მიღებული ფოტოილუსტრაციების განთავსების პრაქტიკას ჟურნალის ყდაზე განმარტებითი წარწერის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევა, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ შემდეგ გარემოებებს:

რ. შ-დე გერმანიის მოქალაქეა და მისი საცხოვრებელი ადგილი გერმანიაშია. მოსარჩელის ერთ-ერთ პროფესიას ფოტოგრაფობა წარმოადგენს.

მოპასუხეები - სსიპ "გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშ-

ვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფლებამონაცვლე) და არასამეწარმო იურიდიული პირი "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი" გამოსცემენ პერიოდულ გამოცემას, ჟურნალს - "საქართველოს სიძველენი";

ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" 2004 წლის #6 და 2005 წლის #7-8 გამოცემის გარეკანზე (უკანა ყდაზე) განთავსებულია მცხეთის ჯვრის ტაძრის ფოტოსურათი;

აღნიშნული ფოტოსურათი აღებულია 1987 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ქ. ლაიფციგში გერმანულ ენაზე გამოცემული, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლების, პროფესორების - რ. მ-შვილისა და ვ. ც-ძის წიგნიდან: GEOLOGIEN.ჭეჭრბაუტენ უნდ კირცჰენ (საქართველო. ციხესიმაგრეები და ეკლესიები);

აღნიშნულ წიგნში განთავსებული მცხეთის ჯვრის ტაძრის ფოტოსურათი გადაღებულია მოსარჩელე რ. შ-დეს მიერ, რასაც ადასტურებს წიგნის თავფურცელზე აღნიშვნა: "გამოსახულებანი რ. შ-დესი";

ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" გამომცემლებს გერმანულენოვანი წიგნიდან მცხეთის ჯვრის ტაძრის ფოტოსურათის გამოყენებისას არავისგან აუღიათ ნებართვა და არ მიუთითებიათ ფოტოგრაფის ვინაობა.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე დაცვას ითხოვს, როგორც წიგნში - GEOLOGIEN.ჭეჭრბაუტენ უნდ კირცჰენ (საქართველო. ციხესიმაგრეები და ეკლესიები) განთავსებული ნაწარმოების - მცხეთის ჯვრის ფოტოს ავტორი. იგი მიიჩნევს, რომ მის მიერ გადაღებული ფოტოსურათის უნებართვოდ გამოყენებით მოპასუხებმა დაარღვიეს მისი საავტორო უფლება და ითხოვს ამ უფლების დარღვევით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორების მიერ არ არის წამოყენებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სადავო ფოტოსურათის რ. შ-დეს მიერ გადაღების გაქარწყლების შესახებ. ქ. ლაიფციგში გამოცემულ წიგნში აღნიშვნა: "გამოსახულებანი რ. შ-დესი", ადასტურებს, რომ სადავო ფოტო სწორედ რ. შ-დეს მიერაა გადაღებული, რისი საწინააღმდეგო მტკიცებულებაც კასატორების მიერ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რაზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი კანონმდებლობის შესახებ. რამდენადაც სადავო ურთიერთობა - რ. შ-დეს ნებართვის გარეშე მის მიერ გადაღებული ფოტოს გამოყენება, რასაც რ. შ-დე თავისი საავტორო უფლებების დარღვევას უკავშირებს, წარმოიშვა 2004-2005 წლებში, როდესაც ჟურნალ "საქართველოს სიძველენის" 2004 წლის #6 და 2005 წლის #7-8 გამოცემის გარეკანზე დაიბეჭდა მცხეთის ჯვრის ტაძრის ფოტოსურათი, სააპელაციო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად მართებულად გამოიყენა დასახელებულ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, სადაც დაცვად ნაწარმოებად სადავო ფოტოსურათის მიჩნევისათვის ავტორის მიერ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის გაწევის აუცილებლობაა მხედველობაში მიღებული. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სრულყოფილად არ არის დასაბუთებული ამავე ნაწილში, სადაც სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ფოტოსურათი განეკუთვნება "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონით განსაზღვრულ, ავტორის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილ დაცვად ნაწარმოებს.

"საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი საავტორო უფლების ობიექტად მიიჩნევს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს. ასეთ ნაწარმოებს, თავის მხრივ, აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტით განეკუთვნება ფოტოგრაფიული ნაწარმოებიც. ამასთან, კანონი ყველა ფოტოსურათს არ განიხილავს საავტორო უფლების ობიექტად და არ უქვემდებარებს სამართლებრივ დაცვას. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოები, რომელზეც ვრცელდება საავტორო უფლება, უნდა იყოს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი - ნაწარმოები. აღნიშნულზე მიუთითებს კანონის მე-3 მუხლის "ა" ქვეპუნქტიც, რომლის თანახმად, კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ნაწარმოებებზე და არა ნებისმიერ ქმნილებაზე. იგივეს მიუთითებს კანონის მე-4 მუხლის "ა" ქვეპუნქტში მოცემული ავტორის ცნებაც, რომლის თანახმად, ავტორად მიიჩნევა პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები. ამდენად, ქართული კანონმდებლობა შეიცავს მოწესრიგებას, რომლის თანახმად, საავტორო სამართლით დაცვადია არა ნებისმიერი ფოტოგრაფია, არამედ - მხოლოდ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილი ფოტონაწარმოები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სადავო ფოტოსურათის ფოტონაწარმოებად მიჩნევა დაასაბუთა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: არა აქვს მნიშვნელობა ფოტოსურათის დანიშნულებას (სამეცნიერო ნაშრომის ილუსტრირებისათვის მოხდა მისი გადაღება თუ სხვა მიზნით), ავკარგიანობას, ჟანრს, მოცულობას; იგი გამოხატულია ობიექტური ფორმით: ფოტოსურათი საგანგებოდაა შექმნილი

მასზე ასახული ობიექტის - მცხეთის ჯვრის ტაძრის ასახვისთვის, შერჩეულია ფოტოს გადასაღები ადგილი, ხედი; თუნდაც ერთი და იგივე ობიექტის ფოტოგადაღებისას სხვადასხვა პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ხედვის შედეგად იქმნება დამოუკიდებელი და დაცვადი ნაწარმოებები, შესაბამისად, ის, რომ იმ ადგილას მოხვედრა, საიდანაც სადავო ფოტოსურათია გადაღებული, სირთულეების გარეშე შესაძლებელი, ვერ იქონიებს გავლენას მითითებული ფოტოსურათის დაცვადი ნაწარმოებად მიჩნევაზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება არ არის საკმარისი დასკვნისათვის, რომ რ. შ-დეს მიერ შექმნილია საავტორო სამართლით დაცვადი ფოტონაწარმოები. სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა და დაასაბუთა, რაში გამოიხატება ამ შემთხვევაში მოცემული კონკრეტული ფოტოსურათის, როგორც ნაწარმოების, შემოქმედებითი ორიგინალობა, რაც ნაწარმოებზე საავტორო უფლების დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, რაზეც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, ფაქტობრივად, შესაძლებელია აკმაყოფილებდეს ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის ამსახველი ნებისმიერი ფოტოსურათი, რომელიც არაა შემოქმედებითი ფოტონაწარმოები: ფოტოსურათის შექმნა საგანგებოდ, ამა თუ იმ კონკრეტული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის ასახვისთვის, ხედის შერჩევით, ამა თუ იმ მიზნით.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, წარმოადგენს თუ არა სადავო ფოტოსურათი ფოტოგრაფიულ ნაწარმოებს. სადავო არაა, რომ რ. შ-დეს მიერ გადაღებული ფოტოსურათი წარმოადგენს მაღალი ხარისხის და მხატვრული შთაბეჭდილების მატარებელ ფოტოს, მაგრამ ამ შემთხვევაში არის თუ არა სახეზე საავტორო-სამართლებრივი ორიგინალობის შემცველი ნაწარმოები კადრირების, კომპოზიციის, სიუჟეტის, შუქ-ჩრდილთა, ფერთა შეხამების, ინტელექტუალური ჩანაფიქრის, გადმოცემის ფორმის, გამოსახვის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტების და ფოტოგრაფიული შემოქმედების სხვა სპეციფიკური თავისებურებების თვალსაზრისით, რაც საჭიროებს ფოტოხელოვნების სპეციფიკური საკითხების ცოდნას, აღნიშნული საკითხის გასარკვევად და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მოცემული კონკრეტული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს სჭირდება ფოტოხელოვნებათმცოდნეთა მოსაზრებების მოსმენა ამ საკითხზე. ამისათვის სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს შესაბამისი მეცნიერ-სპეციალისტები ან საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს ექსპერტიზა მეცნიერ-სპეციალისტთა მონაწილეობით.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მსჯელობას, რომ, რამდენადაც სადავო ფოტოსურათის გადაღება განპირობებული იყო მიზნობრივად, გერმანულენოვანი წიგნის გამოსაცემად, აღნიშნული გარემოება ასევე წარმოადგენს მისი ფოტონაწარმოებად მიჩნევის გამომრიცხავს. ამა თუ იმ მიზნობრიობით ფოტოსურათის გადაღება არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება გადაღებულ იქნეს ნამდვილი ფოტოგრაფიული შემოქმედების ნიმუში.

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია რ. შ-დეს მიერ განცდილი ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში.

“სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის არსი, უფლების მფლობელისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე, ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო უფლების მფლობელს ნაწარმოების, მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლზომიერად გამოყენების შედეგად.

მოსარჩელე დაზუსტებულ სარჩელში მატერიალური ზიანის სახით ითხოვდა 1950 ევროს ეკვივალენტ ლარს მიუღებელი საავტორო ჰონორარისთვის, ხოლო არაქონებრივი ზიანის სახით - 3000 ევროს ეკვივალენტ ლარს, რაც სააპელაციო სასამართლომ შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნია და მათ ნაცვლად მატერიალური ზიანი განსაზღვრა 600 ევროს, ხოლო არაქონებრივი ზიანი - 500 ევროს ეკვივალენტი ლარით. მატერიალურ ზიანთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ, მართალია, დაადგინა, რომ ჟურნალი “საქართველოს სიძველენი” არაკომერციული გამოცემაა, რისი გათვალისწინებითაც შეამცირა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა, მაგრამ, რადგანაც მოსარჩელე მის მიერ განცდილ ქონებრივ ზიანს უკავშირებდა საავტორო ჰონორარის მიუღებლობას, სასამართლომ ამასთან დაკავშირებით არ გამოარკვია, თუ რა ოდენობით ჰონორარია დადგენილი ჟურნალ “საქართველოს სიძველენში” ავტორთათვის, კერძოდ, რამდენს შეადგენს ჟურნალის გარეკანზე ფოტოსურათის გამოქვეყნებისათვის შესაბამისი ჰონორარი და შეადგენს თუ არა იგი 600 ევროს (ორჯერ გამოქვეყნების გათვალისწინებით).

რაც შეეხება არაქონებრივ ზიანს, მოსარჩელე აღნიშნულს უკავშირებდა მის მიერ განცდილ სულიერ ტკივილს, რაც ინსტიტუტის მიერ, რომელთანაც მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებდა, უნებართვოდ ფოტოს გამოქვეყნებამ გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა მოსარჩელის მიერ განცდილი სულიერი ტკივილისა და მოპასუხეთა ბრალის ხარისხი არსებულ დარღვევაში. სასამართლომ არ გაითვალისწინა სადავო ურთიერთობის ის თავისებურება, რომ ფოტოსურათი გამოქვეყნდა ყოფილი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემაში. სააპელაციო სასამართლომ ამ მიმართებით არ გამოიკვლია მოპასუხეთა მიერ მითითებული

გარემოებები, რომ სწორედ ამ ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ არის შექმნილი ქ. ლაიფციგში გამოცემული წიგნი, ინსტიტუტის მასალების გამოყენების საფუძველზე და რომ მთელი ამ დროის მანძილზე აღნიშნული წიგნი, ფაქტობრივად, ინსტიტუტის პროდუქციად აღიქმებოდა, ამიტომაც განთავსდა წიგნიდან აღებული ფოტოსურათი ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემაში, ასევე, რომ ინსტიტუტსა და რ. შ-დეს შორის ათეული წლებია არსებობდა მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება, რაც სცილდებოდა წმინდა საქმიანი ურთიერთობის ფარგლებს და რომ ამ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს ზნეობრივ ნორმებსაც, რაც არის საქართველოში.

საქმის ხელახალი განხილვისას, თუკი სააპელაციო სასამართლო დაადგენს რ. შ-დეს საავტორო უფლებების დარღვევას, სასამართლომ უნდა გამოიკვილოს ზემოაღნიშნული გარემოებები და მისცეს მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის გონივრული და სამართლიანი ოდენობის განსასაზღვრად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა რ. შ-დეს სარჩელი მოპასუხეების - ნ. ვ-შვილის, ი. ხ-ძისა და მ. ჯ-იას მიმართ, რამდენადაც აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საავტორო უფლებების დარღვევით გამოცემული ნივთის განადგურება

განჩინება

#ას-468-780-09

1 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საავტორო უფლების დარღვევის გამო ნივთის განადგურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. თ-ელის მიმართ "სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონისა" და "ინგლისურ-ქართული სამუსიკო ლექსიკონის" მთელი ტირაჟის განადგურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: საქართველოში გამოდიოდა 160 000-სიტყვიანი დიდი „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ 18 ტომად, რომლის მთავარი რედაქტორი, გამომცემელი და საავტორო უფლების მფლობელი იყო თავად მოსარჩელე თ. მ-მე. ლექსიკონი გამოდიოდა ტომების სახით და დღეისათვის გამოსულია 12 ტომი (ასოები A-N). აღნიშნულ ლექსიკონზე ვრცელდებოდა მოსარჩელის, როგორც მთავარი რედაქტორისა და გამომცემლის განსაკუთრებული უფლება. 2005 წელს ქ. თ-ელმა გამოსცა 2300-სიტყვიანი „სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, ხოლო 2006 წელს - „ინგლისურ-ქართული სამუსიკო ლექსიკონი“. ამ გამოცემებში მოპასუხეს გამოყენებული ჰქონდა სიტყვა-სტატიები დიდი „ინგლისურ-ქართულ ლექსიკონიდან“, კერძოდ, „სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონში“ ასოებზე A-I 1062 სიტყვა-სტატიიდან 561, ანუ 52,8% „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ იდენტური იყო, ხოლო „ინგლისურ-ქართულ სამუსიკო ლექსიკონში“ ასოებზე A-M 1506 სიტყვა-სტატიიდან 688, ანუ 45,7% „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ იდენტური იყო. ამდენად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე „სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონისა“ და „ინგლისურ-ქართული სამუსიკო ლექსიკონის“ მთელი ტირაჟის განადგურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: საქმეზე დართული სადავო ლექსიკონების ასლებიდან ირკვევა, რომ მათ შედგენაში მონაწილეობდა მოპასუხე ქ.თ-ელი. მოსარჩელის განმარტებით, სადავო ლექსიკონის შესაქმნელად მასალების გამოყენების უფლება და სადავო ნაწარმოების ავტორობიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებები თ. მ-მეს გადაეცა სსიპ „ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა“ და შპს „მარგალიტი ლიმიტედს“ შორის ხელშეკრულების საფუძველზე. ზემოხსენებული უფლებებით აღჭურვილი იყო მხოლოდ ნაწარმოების ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი, ამდენად, ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი იყო უნივერსიტეტი, რაც გამორიცხავს თ.მ-მის ავტორობას. ქ. თ-ელს მოსარჩელის საავტორო უფლება არ დაურღვევია, ვინაიდან, თ.მ-მის მსგავსად, იმავე თანმიმდევრობით შედგენილი ლექსიკონი არ გამოუქვეყნებია, ხოლო ამა თუ იმ სიტყვისთვის უცხო ენაზე შესატყვისის მოძებნა საავტორო უფლების ობიექტს არ წარმოადგენს. მოსარჩელის მსჯელობის გათვალისწინების შემთხვევაში, სხვა არც ერთ პირს არა აქვს იმავე ენების ლექსიკონის შექმნის უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - დადგინდა ქ.თ-ელის ავტორობით შექმნილი "სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონისა" და "ინგლისურ-ქართული სამუსიკო ლექსიკონის" მთელი ტირაჟის განადგურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქ.თ-ელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: თ. მ-მე წარმოადგენს „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ 1-12 ტომზე პირადი არაქონებრივი უფლებების მფლობელს, როგორც ავტორი. 2005 წლის 15 დეკემბერს სსიპ „ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ შპს „მარგალიტი ლიმიტედს“ ექსკლუზიურად, უვადოდ გადასცა დიდი „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ შექმნისათვის საჭირო მასალების გამოყენების განსაკუთრებული უფლება, ხოლო 2005 წლის 19 დეკემბრის ხელშეკრულებით შპს „მარგალიტი ლიმიტედმა“ ეს უფლება უვადოდ გადასცა ფიზიკურ პირ თ. მ-მეს. უდავოა, რომ უნივერსიტეტის მიერ გადაცემული მასალის გადამუშავებითა და რედაქტირებით თ. მ-მემ შექმნა და გამოსცა „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, ამასთან, ქ. თ-ელი მუშაობდა რა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე, მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის მიერ გამოცემისათვის დაგეგმილი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის სიტყვა-სტატების მომზადებაში. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მითითება, რომ ის თვითონ იღებდა მონაწილეობას „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ შექმნაში, ვინაიდან აღნიშნული საქმის მასალებით არ დადასტურდა. პალატამ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება, რომ ლექსიკონისათვის სიტყვა-სტატების მომზადება წარმოადგენდა ქ. თ-ელის სამსახურებრივ მოვალეობას და, შესაბამისად, ქ. თ-ელის მიერ მომზადებული სიტყვა-სტატები წარმოადგენდა უნივერსიტეტის საკუთრებას და მხოლოდ მას გააჩნდა აღნიშნულის გამოყენების განსაკუთრებული უფლებები. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა თ.მ-მეს, რომ 2005 წლის 15 და 19 დეკემბრის ხელშეკრულებების საფუძველზე ამ უკანასკნელმა მიიღო უნივერსიტეტის მიერ მისთვის გადაცემული სალექსიკონო მასალის, მათ შორის, ქ. თ-ელის სიტყვა-სტატების გადამუშავება-რედაქტირების უფლება. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ ლექსიკონი საავტორო უფლების დამოუკიდებელი ობიექტია, როგორც ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაწარმოები, კერძოდ, „სავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „სხვა ნაწარმოები“, ანუ ნაწარმოები, რომლის კონკრეტული სახე პირდაპირ არ არის განსაზღვრული ამ მუხლის სხვა პუნქტებში, მაგრამ შექმნილია ინტელექტუალური შრომის შედეგად. პალატამ მიიჩნია, რომ ქ. თ-ელმა თავისი სადავო გამოცემებით დაარღვია თ. მ-მის როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი საავტორო უფლებები, რაც იმაში გამოიხატა, რომ აღნიშნულ ლექსიკონებში გადმოიტანა თ.მ-მის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ სალექსიკონო სტატები. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც, თუ ქ.თ-ელი თავის ლექსიკონებში თ. მ-მეზე, როგორც მის მიერ „ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან“ გადმოტანილი სალექსიკონო სტატების ავტორზე მიუთითებდა, იგი მაინც დაარღვევდა თ.მ-მის საავტორო უფლებებს, რადგან დადგენილია, რომ ამ უკანასკნელს აღნიშნულზე მისთვის თანხმობა არ მიუცია. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ლექსიკონი წარმოადგენს შედგენილ ნაწარმოებს და მასში საავტორო დაცვის ობიექტი მხოლოდ მასალის შერჩევა და განლაგებაა, თ. მ-მის ლექსიკონი კი მხოლოდ ინგლისური სიტყვებისა და მათი ქართული შესატყვისების ასახვაა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო ლექსიკონებს ბევრი რამ აქვთ საერთო (მაგალითად: სიტყვათა ანბანური განლაგება, სიტყვის სემანტიკური დახასიათება-განმარტება), მაგრამ მათში შესული ყოველი სიტყვა მასთან დაკავშირებული მთელი მასალით ქმნის სალექსიკონო სტატიას, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს და რომელთა გამოც თვითონ ლექსიკონი საავტორო უფლების ობიექტის თვისებას იმენს. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქმის მასალებით ქ. თ-ელის მიერ საკუთარი ლექსიკონების შექმნისას მასალების „ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან“ გადმოწერა არ დასტურდება

და დაუსაბუთებლად მიიჩნია ქ. თ-ელის მითითება, რომ მას თ.მ-ძის საავტორო უფლებები არ დაურღვევია. საქმეში წარმოდგენილი მეცნიერთა დასკვნის მიხედვით, პალატამ დაადგინა შემდეგი: ქ. თ-ელმა თავისი ლექსიკონების შექმნისას გამოიყენა თ. მ-ძის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, რაზეც ქ. თ-ელის თანხმობა არ გააჩნდა. ქ. თ-ელის ლექსიკონები არ შეიცავს მითითებას თ. მ-ძის ლექსიკონის გამოყენების შესახებ, ამასთან, აპელანტი საერთოდ უარყოფს თ.მ-ძის ლექსიკონის გამოყენების ფაქტს. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მეცნიერთა დასკვნის თანახმად, რომელსაც მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ვერ აბათილებს, ქ. თ-ელის მიერ „სამუსიკო ლექსიკონში“ გამოყენებულია „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ 45,7%, 688 სიტყვა-სტატია, ხოლო სახვითი ხელოვნების ლექსიკონში - 52,8%, 561 სიტყვა-სტატია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კანონით განსაზღვრული არ არის რა სხვისი ნაწარმოების გამოყენების პროცენტული ჩარჩოები, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სხვისი ნაწარმოების მხოლოდ სრული მოცულობით გამოყენება იწვევს საავტორო უფლების დარღვევას და შესაბამის პასუხისმგებლობას, არამედ სხვისი ნაწარმოების საკუთარი სახელით გამოქვეყნება წარმოადგენს საავტორო უფლების ისეთ დარღვევას, როგორცაა პლაგიატი. სასამართლო ამგვარი დასკვნის გაკეთებისას დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ ქ. თ-ელს თავისი ლექსიკონების როგორც ქართულ ტექსტში, ისე ინგლისურ სიტყვებსა და ტრანსკრიფციებში დაშვებული აქვს იგივე შეცდომები, რაც თ. მ-ძეს თავის ლექსიკონებში, აღნიშნული კი მეცნიერთა დასკვნის #4 დანართით დასტურდება. სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიაჩნია, რომ ქ. თ-ელმა თავისი ლექსიკონების შექმნისას გამოიყენა თ. მ-ძის ლექსიკონი, რა დროსაც არ მიუთითა მისი ავტორის შესახებ და ამ ლექსიკონიდან გადმოტანილი სიტყვა-სტატიები გამოაქვეყნა, როგორც საკუთარი, რითაც ისინი კანონსაწინააღმდეგოდ მითვისა და დაარღვია თ. მ-ძის საავტორო უფლებები. აღნიშნული კი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის შესაბამისად სათანადო პასუხისმგებლობას იწვევს. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ქ. თ-ელის ლექსიკონები არ წარმოადგენს კონტრაფაქციულ ასლებს, სასამართლოს მიერ მათი განადგურების დადგენა დაუსაბუთებელია. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-60 მუხლით, რომელთა საფუძველზეც ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილია აპელანტის მიმართ პასუხისმგებლობის ისეთი ღონისძიების გამოყენება, როგორცაა იმ ობიექტის განადგურება, რომელიც საავტორო უფლების დარღვევას იწვევს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. თ-ელის წარმომადგენელმა მ. ს-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, კერძოდ, პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის მითითება, რომ ქ. თ-ელი მონაწილეობდა „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ შედგენაში, ამასთან, დაადგინა, რომ ქ. თ-ელი, უნივერსიტეტში მუშაობისას მონაწილეობდა „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ სიტყვა-სტატიების მომზადებაში. ნიშანდობლივია, რომ, „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ წარმოდგენილი ეგზემპლარის მიხედვით, ლექსიკონის გამოცემა დაიწყო 1995 წლიდან, მეტიც, თ. მ-ძის მიერ წარმოდგენილი ეგზემპლარების თანახმად, „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ ის წიგნები, რომლებზეც კოპირებას მოსარჩელე დავობს, გამოცემულია 1995-2003 წლებში. ამდენად, აღნიშნული ლექსიკონები გამოცემულია ჯერ კიდევ იქამდე, სანამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თ. მ-ძეს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული უფლებები დაუთმო. სადავო ლექსიკონის შედგენაში ქ. თ-ელის მონაწილეობის მიღების ფაქტი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც სხვა მიზეზებთან ერთად, აღნიშნულმა გარემოებამაც განაპირობა ლექსიკონებში არსებული დამთხვევები. მითითებულ გარემოებებზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია. ამდენად, ქ. თ-ელს არ შეიძლება აეკრძალოს მის მიერ შედგენილი სიტყვა-სტატიების გამოყენება, რომლებიც საავტორო უფლების საგანს ან ობიექტს არ წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა სახის ნაწარმოების ავტორობაზე დავა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ლექსიკონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ ნაწარმოებთა რიცხვს არ განეკუთვნება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, რომელიმე ნაწარმოების კატეგორიისადმი ლექსიკონის მიკუთვნება ცალსახად სარჩელის უსაფუძვლოდ მიჩნევას განაპირობებდა. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლექსიკონი შედგენილი ნაწარმოებია და იმავდროულად შეიძლება მონაცემთა ბაზისათვის დამახასიათებელ ნიშნებსაც შეიცავდეს. თ. მ-ძის მიერ შედგენილ ლექსიკონში ასახულია ინგლისური სიტყვები და მათი ქართული მნიშვნელობები მაქსიმალურად ამომწურავად, ხოლო ქ. თ-ელის ლექსიკონში იგივე შესრულებულია თემატურად და თავმოყრილია სიტყვები მხოლოდ სახვით ხელოვნებასთან ან მუსიკასთან დაკავშირებით. „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ შედგენილი ნაწარმოებია, რადგან იგი ინდივიდუალურად ხელმისაწვდომი და გამოყენებადია. სასამართლომ დაადგინა, რომ ლექსიკონი, როგორც კონკრეტული ნაწარმოები კანონში მოხსენიებული არ არის, თუმცა იგი მაინც ითვლება ნაწარმოებად და საავტორო უფლების საგანად. აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ ლექსიკონი შედგენილ ნაწარმოებად იქნეს მიჩნეული. სადავო ლექსიკონებში სიტყვათა თარგმანის დამთხვევა არ წარმოადგენს რომელიმე ლექსიკონის ავტორის საავტორო უფლების ხელყოფას, ვინაიდან

აღნიშნული პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის პროდუქტი არ არის და ისეთ საქმიანობას არ განეკუთვნება, რომლის შედეგადაც ნაწარმოები იქმნება. ნიშანდობლივია, რომ ცალკეული უცხოენოვანი სიტყვის თარგმანი ფაქტს, მონაცემს, ინფორმაციას წარმოადგენს და მასზე უნდა გავრცელდეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მესამე პუნქტისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოქმედება. ასეთ შემთხვევაში რაიმე ახალი არ იქმნება და შეუძლებელია ერთი და იგივე სიტყვას სხვადასხვა ლექსიკონში განსხვავებული მნიშვნელობა მიენიჭოს, ან აიკრძალოს ამ სიტყვის ლექსიკონში შეტანა იმის გამო, რომ იგი ადრე გამოქვეყნებულ ლექსიკონში იმავე მნიშვნელობით იყო განმარტებული. საქმეში წარმოდგენილი ს. ჯ-ძის დასკვნით განმარტებულია, რომ სიტყვების, ტერმინების ნაწარმოებად მიჩნევა შეუძლებელია. ამრიგად, „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ შედგენილი ნაწარმოები და მონაცემთა ბაზაა, რომელიც მასალების და არა ნაწარმოებების კრებულს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, გასაჩვირებულ განჩინებაში ძირითადად აქცენტი კეთდება ცალკეული სალექსიკონო სტატიების გამოყენებაზე, რითაც არასწორადაა მიჩნეული, რომ ეს სიტყვა-სტატიები დამოუკიდებელი ნაწარმოებებია. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ქ. თ-ელი საერთოდ უარყოფს მისი ლექსიკონების შექმნისას „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ გამოყენების ფაქტს. რეალურად კასატორი უარყოფს არა იმას, რომ საერთოდ გამოყენებულია, არამედ იმას, რომ ლექსიკონები ქ. თ-ელის მიერ შედგენილია მხოლოდ „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით და რომ ქ. თ-ელს საერთოდ არავითარი ინტელექტუალური შრომა არ გაუწევია. ამდენად, მისი პოზიცია იმაში გამოიხატება, რომ „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ შექმნისას გამოყენებულია სხვე ლექსიკონებიც. „ინგლისურ-ქართულ ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ მისმა შემდგენელმა იხელმძღვანელეს დაახლოებით 150 ბიბლიოგრაფიული წყაროთი. ეს ნიშნავს შესაქმნელი ლექსიკონისათვის აუცილებელი ინფორმაციისა და განსათავსებელი მონაცემების ამოკრებას სხვა ლექსიკონებიდან. ეს ცხადია, მართლზომიერი აქტია. თუკი „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ შემდგენელმა შესაძლებელია ისარგებლოს 150 ბიბლიოგრაფიული წყაროთი, ასევე დასაშვებად უნდა ჩაითვალოს ქ. თ-ელის მიერ სხვა ლექსიკონებით, მათ შორის, „ინგლისურ-ქართული ლექსიკონით“ სარგებლობა. სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ქ. თ-ელის მიერ ბიბლიოგრაფიის სახით „ინგლისურ-ქართულ ლექსიკონის“ მითითების შემთხვევაში მისი ქმედება არ იქნებოდა მართლ-საწინააღმდეგო. ეს კი ცალსახად ნიშნავს იმას, რომ სადავო ლექსიკონის გამოყენება მართლზომიერია. მოსარჩელის აზრით, მართლსაწინააღმდეგო მხოლოდ ის არის, რომ ბიბლიოგრაფიაში არ მიეთითა – „ინგლისურ-ქართულ ლექსიკონი“. ამდენად, აღიარებულია, რომ ქ. თ-ელის ნაწარმოები დამოუკიდებელი, ახალი ნაწარმოებია, რომლის გამოცემისას მოსარჩელის პოზიციის მიხედვით, შესაძლებელია დარღვეული იყოს მხოლოდ საგამომცემლო სტანდარტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ თ-ელის შედგენილ ლექსიკონში სადავო ნაწარმოების გამოყენების თაობაზე მითითებული რომც ყოფილიყო, აღნიშნული მაინც არამართლზომიერად ჩაითვლებოდა, ვინაიდან ლექსიკონის გამოყენებისას აუცილებელია გამოყენებული ლექსიკონის ავტორის თანხმობა, რაც ქ. თ-ელს არ გაჩნდა. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ არც ერთი ლექსიკონის შექმნისას სხვა ლექსიკონის გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე არ შეიძლება, რისი გაზიარების შემთხვევაშიც არც „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ შედგენა მოხდებოდა, ვინაიდან საეჭვოა, თ. მ-მეს ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიღებული ჰქონდა 150-ვე ლექსიკონის შემდგენლებისაგან თანხმობა მათი ლექსიკონების გამოყენებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია არა ის, გამოიყენეს თუ არა ლექსიკონი, არამედ, თუ რა ფორმით განხორციელდა მითითებული. სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსარჩელის დასკვნა, რომელიც აშკარად ყალბ ინფორმაცია შეიცავს. სასამართლო ადგენს, რომ ამ დასკვნის მიხედვით, დასტურდება ქ. თ-ელის მიერ სიტყვათა 45.7 და 52.8 პროცენტის გამოყენება (შესაბამისად სამუსიკო და სახვითი ხელოვნების ლექსიკონებში), მაგრამ სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი ასეთი სახით დავის გადაწყვეტისათვის, მით უმეტეს, რომ კასატორი ამ ფაქტს სადავოდ ხდიდა. არასწორია სასამართლოს მიერ იმაზე მითითება, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით შესაძლებელია ქ. თ-ელის ავტორობით შექმნილი ლექსიკონების განადგურება. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კონტრაფაქციული ასლები. კანონის ხსენებულ მუხლში საუბარია რა კანონით გათვალისწინებულ სხვა ზომებზე, დაუშვებელია კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ზომების ანალოგიით გამოყენება, როგორც ეს სასამართლომ მოახდინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თ-ელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად

ნაწარმოების დანიშნულებისა, აკვარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

კანონმდებლობა არ იძლევა ნაწარმოების ზუსტ ცნებას, რადგან ნაწარმოები წარმოადგენს რთული, მრავალმხრივი შინაარსის ობიექტს და ამა თუ იმ განსაზღვრებამ შეიძლება წინ წამოწიოს მხოლოდ მისი რამდენიმე ნიშანი.

როგორც აღინიშნა, ნაწარმოები უნდა ეკუთვნოდეს ადამიანის საქმიანობის განსაზღვრულ სფეროს – მეცნიერებას, ლიტერატურას ან ხელოვნებას, თუმცა საავტორო სამართლის მიზნებისათვის ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების გამოცალკევება შეუძლებელია. ლიტერატურული ნაწარმოები იმავდროულად შეიძლება მიჩნეული იქნეს მეცნიერულ ნაწარმოებად (მაგ. ფილოსოფიის სფეროში არსებული ნაწარმოები შეიძლება მიეკუთვნოს როგორც მეცნიერებას, ასევე ლიტერატურას, ოპერა და თეატრალური პიესა შეიძლება მივაკუთვნოთ ხელოვნებას ან ლიტერატურას და ა.შ.). ამიტომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში ჩამოთვლილი მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოების სახეები განხილული უნდა იქნეს არა ცალკე, მათი გამოიჯნვის მცდელობის პირობებში, არამედ ერთობლივად, როგორც გარკვეული ორიენტირები. საავტორო სამართალი არ ისწრაფვის, მოიგვას ყველა შესაძლო ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების არსებობასთან. საავტორო სამართლის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა აღნიშნული კანონმდებლობით დაცული ობიექტების მიახლოებით და არა ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს. ჩამონათვალის მიახლოებითი ხასიათის ხაზგასასმელად, საკანონმდებლო ნორმები, ჩვეულებრივ, იწყება ამდაგვარი ფრაზებით – “კერძოდ”, “როგორცაა” და ა.შ. და მთავრდება ასეთი ტიპის ფორმულირებით: “აგრეთვე ყველა ლიტერატურული, სამეცნიერო და მხატვრული ნაწარმოები, მათი გამოცემის ან შესრულების ფორმის მიუხედავად.” ზოგჯერ ასეთი საჩვენებელი ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ასეა საქართველოს კანონმდებლობაშიც (მე-6 მუხლის 1 პუნქტის “ნ” ქვეპუნქტი).

აღნიშნულის გამო თვით ნაწარმოებია ერთადერთი უნივერსალური მაჩვენებელი, რომელიც, შეფასებული უნდა იქნეს ნებისმიერ სადავო შემთხვევაში. ამასთან ასეთი შეფასების ტვირთი მოსამართლის მიხედულებაზე ხდება დამოკიდებული.

საავტორო დავის განხილვისას სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, წარმოადგენს თუ არა დაცვის ობიექტი ნაწარმოებს, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს. ასეთი ობიექტი დაცვას ექვემდებარება მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა მისი კონკრეტულად რომელიმე სფეროსათვის მიკუთვნება.

ლექსიკონი მასალების შერჩევასა და განლაგების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს შედგენილ ნაწარმოებად, მაგრამ მხოლოდ მასალების შერჩევა და განლაგება არ წარმოადგენს ლექსიკონის ავტორის საქმიანობას. ლექსიკონი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, იმავდროულად შეიძლება მიეკუთვნოს მეცნიერების, ლიტერატურის, გადამუშავებული ნაწარმოების კატეგორიასაც. დავის შემთხვევაში მოსამართლემ უნდა დაადგინოს, განსხვავდება თუ არა ნაწარმოები მოცემული ავტორისათვის დამახასიათებელი სტილით. იმისათვის, რომ იყოს დაცვის ობიექტი, შემოქმედებას უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხასიათი და გამოსახავდეს ავტორის ინდივიდუალობას. ნაწარმოების ორიგინალობა არ არის აბსოლუტური ხასიათის, საავტორო სამართალი შესაძლებლად მიიჩნევს ინტელექტუალურ შემოქმედებას უკვე არსებული ელემენტების საფუძველზე. აქ მთავარია, რომ ნაწარმოებები განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ისინი არ უნდა წარმოადგენდეს ერთმანეთის ასლებს ან მიახლოებულ გამოვლენებს. ორიგინალობა მდგომარეობს გამოხატვის შემოქმედებით და ინდივიდუალიზებულ ხერხში.

ლექსიკონში მოცემული ცალკეული სიტყვის პირდაპირი თარგმანები არ წარმოადგენს დაცვის ობიექტს და ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს. საავტორო უფლებები არ მოიცავს იმ ტერმინს, რომელიც ითარგმნა. დაცვა ვრცელდება მხოლოდ გონებრივი შრომის შედეგზე. საკასაციო პალატა ეთანხმება საკასაციო საჩივრის ავტორს, რომ ამა თუ იმ სიტყვისათვის უცხო ენაზე შესაბამისი სიტყვის მოძებნა არ წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს, რადგან ეს არ არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგადაც იქმნება ნაწარმოები. მოგვიანებით გამოქვეყნებული ლექსიკონი, რომელიც მოიცავს იგივე თარგმანებს, არ ლახავს მანამდე გამოქვეყნებული ლექსიკონის ავტორის უფლებებს.

საავტორო უფლებების შელახვა სახეზეა, როდესაც შეუვცვლელი სახით გადმოტანილია სიტყვები და მათთან დაკავშირებული გრამატიკული მითითება-განმარტებები, დამატებითი განმარტებები (ანუ: არა მათი თარგმანი, არამედ დამატებითი განმარტებები) და ასევე გარკვეული მაგალითები, რომლებიც ემსახურება მათი მნიშვნელობის უკეთ წარმოჩენას. აქ ორიგინალობა გამოიხატება ელემენტების, დეტალების და გამოხატვის ფორმის შერჩევაში და სიტყვის შინაარსის უკეთ წარმოჩენაში.

მხოლოდ განსაზღვრული ფაქტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ საჭიროებს შემოქმედებით ძალისხმევას, მაგრამ მასალის შერჩევა და განლაგება, მასალის დამუშავება და სიტყვა-სტატიების, განმარტებების შექმნა ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას წარმოადგენს. თუ ავტორი არა მხოლოდ გადმოსცემს გარკვეულ ფაქტებს, არამედ აძლევს მათ შეფასებას, კომენტარებს, პროგნოზებს, განმარტებებს, ამ შემთხვევაში შეიძლება განხილული იქნეს ამ ნამუშევრის, როგორც ნაწარმოების, დაცვის საკითხი. ლექსიკონი წარმოადგენს ნაწარმოებს არა მხოლოდ მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით, არამედ, მასში გადმოცემული განმარტებებისა და შეფასებების მიხედვით.

პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ სიტყვები მასთან დაკავშირებული განმარტებებით ქმნის სალექსიკონო სტატიას, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს.

მოსამართლემ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავად უნდა განსაჯოს, გადმოიღო თუ არა ახლად გამოცემული ლექსიკონის ავტორმა ზემოთ აღნიშნული კომპონენტები მანამდე გამოქვეყნებული ლექსიკონიდან და ამით დაარღვია თუ არა საავტორო უფლებები.

მოცემულ საქმეზე პირველი ინსტაციის სასამართლომ დასაბუთებულად მიუთითა, რომ ქ. თ-ელმა თავისი ლექსიკონების შედგენისას გამოიყენა ინგლისურ-ქართული ლექსიკონის პირველ 12 ტომში მოცემული სიტყვა-სტატიები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქმის მასალებით ქ. თ-ელის მიერ საკუთარი ლექსიკონების შექმნისას მასალების „ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან“ გადმოტანა არ დასტურდება და დაუსაბუთებლად მიიჩნია ქ. თ-ელის მითითება, რომ მას თ. მ-ძის საავტორო უფლებები არ დაურღვევია. საქმეში წარმოდგენილი მეცნიერთა დასკვნის მიხედვით სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი: ქ. თ-ელმა თავისი ლექსიკონების შექმნისას გამოიყენა თ. მ-ძის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, რაზეც ქ. თ-ელს თანხმობა არ გააჩნდა. ქ. თ-ელის ლექსიკონები არ შეიცავს მითითებას თ. მ-ძის ლექსიკონის გამოყენების შესახებ. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მეცნიერთა დასკვნის თანახმად, რომელსაც მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ვერ აბათილებს, ქ. თ-ელის მიერ „სამუსიკო ლექსიკონში“ გამოყენებულია „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ 45,7%, 688 სიტყვა-სტატია, ხოლო სახვითი ხელოვნების ლექსიკონში - 52,8%, 561 სიტყვა-სტატია. ქ. თ-ელს თავისი ლექსიკონების როგორც ქართულ ტექსტში, ისე ინგლისურ სიტყვებსა და ტრანსკრიფციებში დაშვებული აქვს იგივე შეცდომები, რაც თ. მ-ძეს თავის ლექსიკონებში, აღნიშნული კი მეცნიერთა დასკვნის #4 დანართით დასტურდება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიაჩნია, რომ ქ. თ-ელმა თავისი ლექსიკონების შექმნისას გამოიყენა თ. მ-ძის ლექსიკონი, რა დროსაც არ მიუთითა მისი ავტორის შესახებ და ამ ლექსიკონიდან გადმოტანილი სიტყვა-სტატიები გამოაქვეყნა, როგორც საკუთარი, რითაც ისინი კანონსაწინააღმდეგოდ მიითვისა და დაარღვია თ. მ-ძის საავტორო უფლებები.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ კანონით განსაზღვრული არ არის რა სხვისი ნაწარმოების გამოყენების პროცენტული ჩარჩოები, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სხვისი ნაწარმოების მხოლოდ სრული მოცულობით გამოყენება იწვევს საავტორო უფლების დარღვევას და შესაბამის პასუხისმგებლობას, არამედ სხვისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შემცველი ნაწარმოების საკუთარი სახელით გამოქვეყნება წარმოადგენს საავტორო უფლების დარღვევას.

საქმის მასალების მიხედვით, საქმეში წარმოდგენილი სპეციალისტთა დასკვნების გაცნობის, მხარეთა განმარტებების მოსმენის შედეგად საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სწორად არის დადგენილი და შეფასებული და სპეციფიური ავტორისეული განმარტებების განმეორებით სახეზეა საავტორო უფლებების დარღვევა.

ის გარემოება რომ ქ. თ-ელი უნივერსიტეტში რიგ სიტყვებზე მუშაობდა, მიუთითებს, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი სიტყვა-განმარტებების „ინგლისურ-ქართულ“ ლექსიკონში არსებობა და, შესაბამისად, არ ჰქონდა მათი გამეორების უფლება.

პალატა იზიარებს საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ლექსიკონის შემდგენელმა შესაძლებელია ისარგებლოს სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული წყაროთი და დასაშვებად უნდა ჩათვალოს ქ. თ-ელის მიერ სხვა ლექსიკონებით, მათ შორის, „ინგლისურ-ქართული ლექსიკონით“ სარგებლობა. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სხვა ლექსიკონით სარგებლობა ნიშნავს იქ არსებული სიტყვა-სტატიების გამოყენება-გადამუშავებას წყაროზე მითითებით და არა მათ მექანიკურ გადატანას. ქ. თ-ელის ლექსიკონებში მნიშვნელოვანი ოდენობით სიტყვა-სტატიები ზუსტად იგივე ფორმითა და შინაარსით გადმოტანილია „ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან“, რაზეც მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილი დასკვნები, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. ამ ფაქტებთან დაკავშირებით კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ქ. თ-ელმა თავისი ლექსიკონების შექმნისას გამოიყენა თ. მ-ძის ლექსიკონი, რა დროსაც არ მიუთითა მისი ავტორის შესახებ და ამ ლექსიკონიდან გადმოტანილი სიტყვა-სტატიები გამოაქვეყნა, როგორც საკუთარი, რითაც დაარღვია თ. მ-ძის საავტორო უფლებები. აღნიშნული კი „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის შესაბამისად სათანადო პასუხისმგებლობას იწვევს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „სავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-60 მუხლით, რომელთა საფუძველზეც ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილია აპელანტის მიმართ პასუხისმგებლობის ისეთი ღონისძიების გამოყენება, როგორცაა იმ ობიექტის განადგურება, რომელიც საავტორო უფლების დარღვევას იწვევს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნაწარმოების კონტრაფაქციული ასლების განადგურება დაკავშირებულია კონტრაფაქციული ასლების არსებობასთან. სასამართლოს მიერ ასეთი მოთხოვნით სარჩელის განხილვისას გარდა იმისა, რომ დადგენილ უნდა იყოს, დარღვეულია თუ არა მოსარჩელის საავტორო უფლებები (რაც მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და რასაც საკასაციო სასამართლოც ეთანხმება), სასამართლომ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა კონტრაფაქციული ასლები, რომლებიც

უნდა განადგურდეს. პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივრის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა კონტრაფაქციული ასლები, შესაძლებელია თუ არა მათი იდენტიფიცირება და განადგურება, რათა გადაწყვეტილება, რომელიც მოცემულ საქმეზეა მიღებული, აღსრულებადი იყოს. მთელი ტირაჟის განადგურება შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს, ვინაიდან არ არის დადგენილი, რა ტირაჟით იყო ლექსიკონები დაბეჭდილი, მოხდა თუ არა მათი ნაწილის რეალიზაცია, რა ნაწილია დარჩენილი, რომელიც შეიძლება განადგურდეს და სხვა გარემოებები, რომელთა დაზუსტება და დადგენა ასეთი შინაარსის გადაწყვეტილების მისაღებად და აღსასრულებლად აუცილებელია. მართალია, მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული იყო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ეს განჩინება არ აღსრულებულა. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ჩამორთმევას არ ექვემდებარება მესამე პირის მიერ მართლზომიერად შეძენილი კონტრაფაქციული ასლები. შესაბამისად მთელი ტირაჟის განადგურება შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას.

ვინაიდან ზემოაღნიშნული საკითხები გამორკვევას მოითხოვს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. თ-ელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. გარიგებანი

ბათილი გარიგება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-635-920-04

26 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: სესხის დაბრუნება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ხ-ურმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-ძისა და ლ. უ-ძის მიმართ მ. კ-ძისათვის 5600 აშშ დოლარის გადახდევინებისა და ქ.თბილისში, ... ქ.#6-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2000 წლის 20 ოქტომბერს მოსარჩელემ მ. კ-ძეს, რომელიც მოქმედებდა ლ. უ-ძის მინდობილობით, 3 თვის ვადით ასესხა 5600 აშშ დოლარი. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, ლ. უ-ძის მიერ მოპასუხის სახელზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე იპოთეკით დაიტვირთა ამ უკანასკნელის 14988 ლარად ღირებული საცხოვრებელი ბინა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის მიუხედავად, მოპასუხემ ვალი არ დაუბრუნა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მ. კ-ძემ განმარტა, რომ, მართალია, სესხის ხელშეკრულებაზე მისი ხელმოწერაა, მაგრამ მან გარიგებას ხელი შეცდომით მოაწერა. ფაქტობრივად, ხელშეკრულებაში აღნიშნული თანხა მას არ მიუღია. ლ. უ-ძემ აღნიშნა, რომ სესხის აღებისა და იპოთეკით ბინის დატვირთვის შესახებ მინდობილობა მას არავისთვის მიუცია და რაიმე თანხა საქმეში წარმოდგენილი სესხის ხელშეკრულების შესაბამისად არ მიუღია.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხე ზ. კ-ძეს ლ. უ-ძის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის გზით დაეკისრა 5600 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. უ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 აპრილის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, ხოლო ლ. უ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2000 წლის 20 ოქტომბერს ლ. უ-მის მიერ მ. კ-მის სახელზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე დაიდო სადავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტები, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, სადავო მინდობილობის ბათილად ცნობის შესახებ, რადგან მინდობილობისა და სესხის ხელშეკრულება ვერ იქნება მიჩნეული კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების, ასევე, საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმების დარღვევად. გარიგების ბათილობის საფუძველად სააპელაციო სასამართლომ ასევე არ მიიჩნია ის გარემოებაც, რომ ლ. უ-მეს იმავე ნოტარიუსთან თავისი სახელით არაერთი სესხის ხელშეკრულება აქვს დადებული, ვინაიდან აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ ლ. უ-მისათვის ხელშეკრულების გაფორმების წესები უცნობი არ ყოფილა. პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მოთხოვნა დაცულია, რადგან მინდობილობა და სესხის ხელშეკრულება გაფორმდა სანოტარო წესით, ხოლო იპოთეკა, ამავე კოდექსის 289-ე მუხლის შესაბამისად, დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. სასამართლოს მითითებით, საჯარო რეესტრის მონაცემები საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, მით უფრო - მესაკუთრისათვის, რომელმაც სადავო ხელშეკრულებების შემდეგ არაერთგზის დატვირთა ბინა იპოთეკით.

სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება ლ. უ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება, ასევე მის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯების ზ. ხ-ურისათვის დაკისრება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სადავო მინდობილობა მან გასცა მ. კ-მის სახელზე. კასატორის მითითებით, მან სასამართლოში წარმოადგინა მინდობილობის დედანი, რომელიც მის მიერ ხელმოწერილი არ არის, ამდენად, პალატამ არასწორად არ მიიჩნია სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე და 59-ე მუხლები დარღვეულად. სასამართლომ არ გამოიკვლია, რომ სადავო მინდობილობა სანოტარო ქურნალში რეგისტრირებული საერთოდ არ ყოფილა და მისი ნომერი რეალურად სხვა დოკუმენტს ეკუთვნის, რითაც დაირღვა "ნოტარიატის შესახებ" კანონის 47-ე, 52-ე მუხლები და "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 27-ე მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა მის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე ნოტარიუს მ. ბ-ავას მიერ გაცემული მინდობილობის ბათილად ცნობის შესახებ. ზემოხსენებული არგუმენტები ვრცელდება სადავო იპოთეკის ხელშეკრულებაზეც, ვინაიდან მ. კ-მეს არც გარიგებაზე ხელი არ მოუწერია, რაც სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა. იპოთეკის ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის მოთხოვნას, იგი არ არის რეგისტრირებული მიწის მართვის დეპარტამენტის საჯარო რეესტრში. ქ. თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე ბინაზე საკუთრების შეძენა 2000 წლის 28 ივნისს დარეგისტრირდა მიწის მართვის საჯარო რეესტრში. ამდენად, მოცემული ბინის უფლებრივად დატვირთვაც "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის II თავის მე-2 მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად, იქვე უნდა აღრიცხულიყო და არა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში. უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მითითება კასატორის მიერ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების არაერთხელ დადების ნაწილში. აღნიშნული გარემოება ადასტურებს ლ. უ-მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულების ფაქტს. შესაძლოა, სესხის დაბრუნების ნაწილში მ. კ-მეს ჰქონდეს რაიმე ვალდებულება ზ. ხ-ურის მიმართ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში კასატორს არანაირი პასუხისმგებლობა ეკისრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 12 დეკემბრის განჩინებით მოცემული საქმის წარმოება შეჩერდა ლ. უ-მის სარჩელის გამო ზ. ხ-ურის, მ. კ-მისა და ნოტარიუს მ. ბ-ავას მიმართ 2000 წლის 20 ოქტომბრის იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოატანამდე.

ლ. უ-მემ წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მ. კ-მესა და ზ. ხ-ურს შორის 2000 წლის 20 ოქტომბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება (რეესტრში რეგისტრაციის #160), ქ. თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე ლ. უ-მის კუთვნილი უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვის შესახებ ბათილად იქნა ცნობილი. კასატორმა ასევე წარმოადგინა თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, 2000 წლის 20 ოქტომბერს ლ. უ-მესა და მ. კ-მეს შორის გაფორმებული მინდობილობა ბათილად იქნა ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განჩინებით განსახილველი საქმის წარმოება განახლდა.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2000 წლის 20 ოქტომბერს ლ. უ-მემ გაუფორმა მინდობილობა მ. კ-მეს, რომელსაც სხვა უფლებებთან ერთად მიანიჭა მთელი თავისი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება. აღნიშნული

მინდობილობის საფუძველზე 2000 წლის 21 ოქტომბერს მ. კ-მემ ზ. ხ-ურისაგან ისესხა 5600 აშშ დოლარი სამი თვის ვადით, ხოლო 2000 წლის 20 ოქტომბერს ზ. ხ-ურსა და ლ. უ-ძის წარმომადგენელ მ. კ-ძეს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა ლ. უ-ძის კუთვნილი ქ. თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე სახლის 1/2. უძრავი ნივთი შეფასდა 14988 ლარად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით ზ. ხ-ურის სარჩელს უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შედეგად საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობა არ არსებობს, რის გამოც საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა.

მოცემულ შემთხვევაში ზ. ხ-ურის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მ. კ-ძისა და ლ. უ-ძისათვის სესხის - 5600 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება, რაც უნდა განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული ლ. უ-ძის კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაციის გზით.

სასარჩელო მოთხოვნას საფუძველად უდევს 2000 წლის 21 ოქტომბრის სესხისა და 20 ოქტომბრის იპოთეკის ხელშეკრულებები, რომლებიც დაიდო, ერთი მხრივ, გამსესხებელ ზ. ხ-ურსა და, მეორე მხრივ, მსესხებელ ლ. უ-ძის წარმომადგენელ მ. კ-ძეს შორის. ამასთან, მ. კ-ძის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ეფუძნება ლ. უ-ძის მიერ მ. კ-ძის სახელზე გაცემულ მინდობილობას, მართოს და განკარგოს მარწმუნებლის მთელი ქონება.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ გარიგება წარმოადგენს პირთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს, რაც მიზნად უნდა ისახავდეს მათ შორის გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამასთან, პირის ნება, დადოს ესა თუ ის გარიგება, უნდა იყოს ნამდვილი, ანუ მას უნდა სურდეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. მითითებული ნორმით დგინდება, რომ მხარეს სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი ეხსნება და სასამართლო უდავოდ გაიზიარებს ისეთ გარემოებას, რომელიც დადგინდა იმავე მოდავე მხარეებს შორის მიმდინარე სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ლ. უ-ძის კუთვნილ უძრავ ნივთზე ზ. ხ-ურის სასარგებლოდ გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულება. ამასთან, იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან დაკავშირებულ დავაში მონაწილეობდნენ იგივე მხარეები - მოსარჩელე ლ. უ-ძე და მოპასუხეები ზ. ხ-ური, მ. კ-ძე, რომლებიც განსახილველ დავაშიც მხარეებს წარმოადგენენ. ამდენად, კასატორი გათავისუფლებულია იმ გარემოების მტკიცების ვალდებულებისაგან, რომ მ. კ-ძესა და ზ. ხ-ურს შორის 2000 წლის 20 ოქტომბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება (რეესტრში რეგისტრაციის #160), ქ.თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე ლ. უ-ძის კუთვნილი უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვის შესახებ ბათილია და რაიმე თანამდევ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ლ. უ-ძეს სადავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების გაფორმების ნება არ გამოუვლენია და მ. კ-ძე არ იყო უფლებამოსილი, მისი სახელით ემოქმედა, მათ შორის, დაედო გარიგება სესხის ლ. უ-ძის ქონებით უზრუნველყოფის თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ბათილად ცნობილი გარიგების საფუძველზე გარიგების მხარეებს რაიმე უფლება-მოვალეობანი არ წარმოეშობათ.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის განჩინება, რომლითაც უცვლელი დარჩა რაიონული

სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. უ-ძის მიმართ ზ. ხ-ურის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, ვინაიდან 2000 წლის 21 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ლ. უ-ძეს ზ. ხ-ურის მიმართ არანაირი ვალდებულება არ წარმოშობია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება მ. კ-ძეს არ გაუსაჩივრებია და მის მიმართ კანონიერ ძალაშია შესული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებისა და მეორე ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. დასახელებულ ნორმათა შესაბამისად, ზ. უ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, დასაბუთებულია კასატორ ლ.უ-ძის მოთხოვნა მის მიერ გადახდილი სასამართლო ხარჯების მოწინააღმდეგე მხარე ზ. ხ-ურისათვის დაკისრების შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. უ-ძემ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხდა 282 ლარი, საკასაციო საჩივარზე - 387,50 ლარი და 431,08 ლარი. ამასთან, საკასაციო სასამართლოს 2003 წლის 31 ივლისის განჩინებით ლ. უ-ძეს სახელმწიფო ბაჟის გადაუხდეელი ნაწილის - 98,5 ლარის გადახდა გადაუვადდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამდენად, ზ. ხ-ურს ლ. უ-ძის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1100,58 ლარის, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ - 98,5 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ლ. უ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

ზ. ხ-ურის სარჩელი ლ. უ-ძის მიმართ 5600 აშშ დოლარის გადახდის მიზნით ლ. უ-ძის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

ზ. ხ-ურს ლ. უ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 1100,58 ლარის, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ - 98,5 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

განჩინება

#ას-228-489-08

17 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

დ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 10 აპრილს ნ. ო-ლიმ სარჩელით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გ. დ-ძისა და ნოტარიუს ხ. კ-შვილის მიმართ, მესამე პირი - ზ. წ-ანი და მოითხოვა გ. დ-ძესა და ზ. წ-ანს შორის 2007 წლის 2 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც თვალთმაქცური გარიგების, ბათილად ცნობა.

მოსარჩელის განმარტებით, თვითონ და თავის მეუღლეს - ო. ო-ლის საერთო საკუთრებაში გააჩნდათ 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი საერთო ფართობით - 97,6 კვ.მ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გ. დ-ძემ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება მემკვიდრეობით გაიფორმა თავის სახელზე. მემკვიდრეობის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში დავის განხილვის დროს, მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხემ ო. ო-ლის სახელზე რიცხული მთლიანი ქონება

30000 ლარად მიჰყიდა ზ. წ-ანს, მაშინ, როდესაც აუდიტორული დასკვნის თანახმად, აღნიშნული ქონება 105 000 ლარად იყო შეფასებული.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ზ. წ-ანს არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეეძინა სადავო სახლი, ასევე, არ დაინტერესებულა შეძენილი ქონებით, ისე გააფორმა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, აღნიშნული გარიგება მოჩვენებითია, რის გამოც მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

მოპასუხის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გ. დ-მემ გაყიდა თავისი საკუთრება, ხოლო ზ. წ-ანი კეთილსინდისიერი შემძენი იყო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ო-ლის სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 2 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება, რითაც გ. დ-მემ გაყიდა, ხოლო ზ. წ-ანმა იყიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე 2500 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 97,6 კვ.მ-ის შენობა-ნაგებობა, გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა მითითებულ ქონებას.

სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ო-ლსა და აწ გარდაცვლილ ო. ო-ლს საერთო საკუთრებაში გააჩნდათ 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი საერთო ფართობით - 97,6 კვ.მ, რაც, აუდიტის დასკვნის მიხედვით, შეფასებულია 105 000 ლარად;

ო. ო-ლის გარდაცვალების შემდეგ გ. დ-მემ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება მემკვიდრეობით გაიფორმა თავის სახელზე და 30000 ლარად მიჰყიდა ზ. წ-ანს, რაც ნოტარიუს ხ. კ-შვილის მიერ გაფორმდა სანოტარო წესით;

სადავო ნასყიდობა განხორციელდა მაშინ, როდესაც ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ნ. ო-ლსა და გ. დ-მეს შორის იხილებოდა სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული დავა, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ;

სასამართლომ გ. დ-მესა და ზ. წ-ანს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მიიჩნია მოჩვენებით გარიგებად, ვინაიდან ჩათვალა, რომ გ. დ-მეს მოცემულ შემთხვევაში გააჩნდა ცალმხრივი ინტერესი მემკვიდრეობის გზით მიღებული ქონების შესანარჩუნებლად. აღნიშნულის დასადასტურებლად სასამართლომ მიუთითა, რომ ზ. წ-ანი ნასყიდობის შემდეგ არ დაინტერესებულა შეძენილი ქონებით, არც შესაგებელი წარმოუდგენია სარჩელის წინააღმდეგ და არც სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულა.

რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი, რომლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსარჩენებლად იმ განზარახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. წ-ანმა და მოპასუხე გ. დ-მემ.

აპელანტებმა მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ზ. წ-ანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. დ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ნ. ო-ლის სარჩელი, გ. დ-მესა და ზ. წ-ანს შორის 2007 წლის 2 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გ. დ-მესა და ზ. წ-ანს შორის 2007 წლის 2 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოსარჩენებლად იყო დადებული შედეგ გარემოებათა გამო:

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად ცნო, რომ სადავო სახლი და მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა გ. დ-მის საკუთრებას;

ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, სადავო ქონება აღირიცხა ზ. წ-ანი სახელზე;

ნასყიდობის დროისათვის ქონება დაყადაღებული არ იყო;

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. წ-ანი კეთილსინდისიერი შემძენი იყო, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვებოდა რაიმე მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არაკეთილსინდისიერი შემძენად მიეჩნათ;

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ზ. წ-ანი გ. დ-მის ძველი მეზობელი იყო, შესაბამისად, კარგად იცნობდა იმ ქონებას, რომელიც მისგან შეიძინა და ამასთან, ვინაიდან იგი მოსარჩელის ერთადერთი შვილი იყო და არ იცოდა მათ შორის უთანხმოების შესახებ, ჩათვალა, რომ დედა-შვილი შეთანხმებულები იყვნენ სახლის გაყიდვაზე;

გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან ზ. წ-ანს სხვა საცხოვრებელი სახლი ჰქონდა, მას არ დაუყენებია მოსარჩელის გამოსახლების საკითხი, თუმცა მას შემდეგ, რაც დავის თაობაზე შეიტყო, გამოხატა პროტესტი და მოსთხოვა ბინის ქირა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. წ-ანი კეთილსინდისიერი შემძენი იყო და არ არსებობდა ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა ნ. ო-ლიმ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში მითითებული გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ ზ. წ-ანი გ. დ-მის მეზობელი იყო და, შესაბამისად, კარგად იცნობდა სადავო ქონებას სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან, მართალია ისინი მეზობლები იყვნენ, მაგრამ არა სოფელ . . ., არამედ ქ. ბათუმში და ზ. წ-ანისათვის დღემდე უცნობია სადავო ქონების ადგილმდებარეობა. სააპელაციო სასამართლომ კი აღნიშნულის თაობაზე, მისი შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ არ დააკმაყოფილა, რითაც წაერთვა თავის დაცვის შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ მოპასუხეებს ამგვარი მოთხოვნა პირველი ინსტანციაში არ დაუყენებთ;

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ ზ. წ-ანმა და გ. დ-მემ ნასყიდობის ხელშეკრულება მაშინ გააფორმეს სანოტარო წესით, როცა მოპასუხეებად იყვნენ ჩაბმული სხვა საქმეში და იცოდნენ სასარჩელო მოთხოვნის შესახებ;

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღო საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, რის გამოც მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გარდაიცვალა კასატორი ნ. ო-ლი, რის გამოც 2008 წლის 25 ნოემბერს შეჩერდა საქმის წარმოება უფლებამონაცვლის დადგენამდე. 2009 წლის 10 ივლისს განახლდა საქმის წარმოება და საქმეში ნ. ო-ლის უფლებამონაცვლედ ჩაება იური ლურცი ოღლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

მოჩვენებითი გარიგების დროს მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად ან დასაფარავად გამოიყენება იმ მიზნით, რომ კრედიტორების დაკმაყოფილებას გაეცეს, მოვალე ვითომ ყიდის ან ჩუქნის ქონებას, სინამდვილეში არავითარი ნასყიდობა ან ჩუქება არ ხდება. მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარემოების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, არსებობდა თუ არა ყველა ის სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებისათვის. სააპელაციო სასამართლომ კი გადაწყვეტილება მიიღო მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, ასევე გაიზიარა ზ. წ-ანის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება, მაშინ, როდესაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გარემოებათა დამტკიცება შეიძლება მხარეთა და არა წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებით.

სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა ისეთ გარემოებებს, რაც სადავო გარიგების მონაწილე სუბიექტების ნების გამოვლენის მოჩვენებით ხასიათზე მიუთითებს, კერძოდ, დადგენილია, რომ გაყიდულ სახლს ფაქტობრივად ფლობდა მოსარჩელე, იგი მყიდველს არ გადასცემია. სადავო სახლი გაიყიდა იმ დროს, როდესაც სასამართლოში მიმდინარეობდა დავა სადავო სახლზე. სასამართლოს არ გამოურკვევია სადავო სახლის ღირებულების გადახდის ფაქტი. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზ.წ-ანი არ იჩენდა ინტერესს მოცემული დავის მიმართ, არ წარუდგენია შესაგებელი, არ ცხადდებოდა სასამართლოში ახსნა-განმარტების მისაცემად, ასევე სააპელაციო საჩივარი შეიტანა გასაჩივრების ვადის დარღვევით. მართალია, მოსარჩელემ ზ. წ-ანი მესამე პირად ისე მიუთითა, მაგრამ იგი საქმეში ფაქტობრივად ჩაბმული იყო როგორც მოპასუხე (ზ. წ-ანს სსკ-ის 201-ე მუხლის შესაბამისად, გაეგზავნა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები და დაევალა წარედგინა შესაგებელი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, შესაბამისად, გასაჩივრებულად გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს. საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ მტკიცებულებები უნდა განიხილოს ყოველმხრივ და ობიექტურად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ო-ლის უფლებამონაცვლის - ი. ლ. ო-ლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

განჩინება

#ას-253-578-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა, გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. მ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ო. ა-იანის მიმართ ახალქალაქში, ... ქ. #38-ში მდებარე უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2003 წლის 13 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ 6000 აშშ დოლარად, რაც იმჟამად 12900 ლარის ეკვივალენტი იყო, მოპასუხისაგან შეიძინა სადავო ბინა. მოპასუხემ ვალდებულება იკისრა, ბინა 2003 წლის პირველ აგვისტომდე გამოეთავისუფლებინა. არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, მოპასუხე სადავო ფართს არ ცლის.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 თებერვლის განჩინებით ო. ა-იანს, ქმედუწარობის გამო, დაენიშნა კანონიერი წარმომადგენელი, შვილი - ს. ა-იან-დ-იანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა 2003 წლის 13 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანა შემდეგი დასაბუთებით: ს. ა-იან-დ-იანის ძმამ, მ. ა-იანმა, კომერციული საქმიანობის მიზნით, ს. მ-იანისაგან ისესხა 10 000 აშშ დოლარი, თუმცა, აღნიშნული საქმიანობის წარუმატებლობის გამო, დაუგროვდა ვალები. სესხი უნდა უზრუნველყოფილიყო ო. ა-იანის კუთვნილი, ახალქალაქში, ... ქ. #38-ში მდებარე ბინით, თუმცა მოსარჩელემ აღნიშნულზე უარი განაცხადა და ს. ა-იან-დ-იანი იძულებული გახდა, მოსარჩელესთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე დაეყოლიებინა ო. ა-იანი. 2003 წლის 13 ივნისს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა იმ პირობით, რომ ს. მ-იანი ერთი წლის განმავლობაში დაუბრუნებდა სახლს ო. ა-იანს, თუკი ამ ხნის განმავლობაში დაიფარებოდა მისი ვალი 10 000 აშშ დოლარის ოდენობით. 2003 წლის 14 ივნისს ს. მ-იანი გაემგზავრა სომხეთის რესპუბლიკაში, სადაც გაფორმდა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება და მ. ა-იანმა აღიარა მოსარჩელის ვალი - 4500 აშშ დოლარი. ორი თვის შემდეგ ს. მ-იანმა მოითხოვა სესხის სრულად დაფარვა ან სადავო ბინის გამოთავისუფლება.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით ს. მ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ს. მ-იანსა და ო. ა-იანს შორის 2003 წლის 13 ივნისს დადებული #1-1528 ნასყიდობის ხელშეკრულება, აღნიშნული გარიგება ამოირიცხა სანოტარო ბიუროს რეესტრიდან და საჯარო რეესტრის ტერიტორიული ორგანოს სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებიდან, სადავო სახლსა და 400 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აღდგა ო. ა-იანის საკუთრების უფლების ჩანაწერი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ს. მ-იანმა გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინებით გარდაცვლილი ს. მ-იანის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ს. მ-იანი. ამავე პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინებით კი ს. მ-იანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2003 წლის 13 ივნისს ო. ა-იანსა და ს. მ-იანს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, ს. მ-იანმა ო. ა-იანისაგან 6000 აშშ დოლარად შეიძინა ახალქალაქში, ... ქ. #38-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მისი მიმდებარე 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი. საქმეში წარმოდგენილი, ს. მ-იანის მიერ 2003 წლის 13 ივნისს შესრულებული ხელწერილით, მან ვალდებულება იკისრა, 2004 წლის 13 ივნისამდე ვალის 10 000 აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში დააბრუნოს ახალქალაქში, ... ქ. #38-ში მდებარე ბინა. ო. ა-იანის შვილმა - მ. ა-იანმა 2003 წლის 14 ივნისს სომხეთის რესპუბლიკის შირაქის ოლქის ნოტარიუსთან ს. მ-იანის თანდასწრებით წერილობით

დადასტურა ის ფაქტი, რომ 2003 წლის 18 მაისს ს. მ-იანისაგან ისესხა 4500 აშშ დოლარი, რომელსაც დააბრუნებდა 2003 წლის 1 აგვისტოს. პალატამ გაიზიარა შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტება, რომ ო. ა-იანის შვილს - მ. ა-იანს გააჩნდა ს. მ-იანის ვალი 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, ვინაიდან აღნიშნულს 2003 წლის 13 ივნისის ხელწერილით ადასტურებს ს. მ-იანიც. ვალის უზრუნველსაყოფად გაფორმდა სადავო საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის 2003 წლის 13 ივნისის ხელშეკრულება. მითითებული ხელწერილის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ სურდა იმ შედეგის დადგომა, რაც პირდაპირ ამ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარეობს. ამდენად, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა იპოთეკის ხელშეკრულება, აღნიშნული კი, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გარიგების ბათილობის საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 თებერვლის განჩინება, რომლითაც ო. ა-იანს კანონიერი წარმომადგენელი დაენიშნა, მხარეებს კანონით დადგენილი წესით ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად არ გაუსაჩივრებიათ, რის გამოც სასამართლო მის კანონიერებაზე ვერ იმსჯელებს. ამავე კოდექსის მე-40 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნაა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, პალატამ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის 2005 წლის ივლისში, ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის დროს მოქმედი რედაქციის მიხედვით, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში დავის საგნის ღირებულება შეადგენს 6000 აშშ დოლარს, რომლის 3%-ია 180 აშშ დოლარი, ხოლო უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ნაწილში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა განისაზღვროს 30 ლარით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის 2005 წლის ივლისის მოქმედი რედაქციის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ს. მ-იანმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: პალატამ არასწორად გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც მოჩვენებითი გარიგების ბათილად ცნობის შესახებ, ვინაიდან მოჩვენებითი გარიგება თავისი იურიდიული ბუნებით გულისხმობს ვინმესათვის რაიმეს მოჩვენებას. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ისეთი მესამე პირი, რომლის მოსაჩვენებლადაც შეიძლება ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულიყო. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 72-ე-73-ე მუხლები და 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სამართლებრივად არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი. ო. ა-იანმა აღიარა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, ფაქტობრივად, იპოთეკის ხელშეკრულების დადება სურდა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი შვილის - მ. ა-იანის მიერ ს. მ-იანისაგან ნასესხები თანხის მოთხოვნა. აღნიშნული განმარტების გაზიარებისას სასამართლოს მხარეთა შორის დადებული გარიგება უნდა შეეფასებინა შეცდომით დადებულ გარიგებად, რადგანაც პირს სურდა, დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც გამოთქვა თანხმობა. იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლო სარწმუნოდ არ მიიჩნევდა ო. ა-იანის აღიარებას და ჩათვლიდა, რომ მხარე განზრახ ფარავდა სხვა გარიგებას, მაშინ სადავო გარიგება უნდა შეეფასებინა თვალთმაქცურ, დაფარულ გარიგებად. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილი და ისე ცნო ბათილად ნასყიდობის ხელშეკრულება, რომ არ დაუდგენია მხარეთა შორის იპოთეკის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი, რომლის დასაფარადაც დაიდო ბათილი გარიგება. სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა, რომ ო. ა-იანის კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ სასამართლოს 2005 წლის 9 თებერვლის განჩინება არ გასაჩივრებულა, მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივარში ნათლადაა ჩამოყალიბებული მოთხოვნა მითითებული განჩინების გაუქმების შესახებ. სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მიეჩნია ო. ა-იანი ქმედუწუნაროდ და, შესაბამისად, საქმეში ჩართო მისი კანონიერი წარმომადგენელი.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2003 წლის 13 ივნისს ო. ა-იანსა და ს. მ-იანს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად ს. მ-იანმა ო. ა-იანისაგან 6000 აშშ დოლარად შეიძინა ახალქალაქში, ... ქ. #38-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მისი მიმდებარე 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი. საქმეში წარმოდგენილი ს. მ-იანის მიერ 2003 წლის 13 ივნისს შესრულებული ხელწერილით მან ვალდებულება იკისრა, 2004 წლის 13 ივნისამდე ვალის 10 000 აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში დააბრუნოს ახალქალაქში, ... ქ. #38-ში მდებარე ბინა. ო. ა-იანის შვილმა - მ. ა-იანმა 2003 წლის 14 ივნისს სომხეთის რესპუბლიკის შირაკის ოლქის ნოტარიუსთან ს. მ-იანის თანდასწრებით წერილობით დაადასტურა ის ფაქტი, რომ 2003 წლის 18 მაისს ს. მ-იანისაგან ისესხა 4500 აშშ დოლარი, რომელსაც დააბრუნებდა 2003 წლის 1 აგვისტოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. მ-იანის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და, შესაბამისად, არ დაადგინა კონკრეტული იურიდიული ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სათანადო სამართლებრივ ნორმას, კერძოდ:

უპირველესად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და საჯარო რეესტრში სადავო ნივთის ო. ა-იანის სახელზე აღრიცხვასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორ ს.მ-იანის პოზიციას, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით არასწორად დაადგინა, თითქოს აპელანტ ს. მ-იანს ო. ა-იანისათვის კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნა არ გაუსაჩივრებია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ს.მ-იანს სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ გაუხდია ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 თებერვლის განჩინება. ო. ა-იანისათვის კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნა სწორედ აღნიშნული განჩინებით განხორციელდა. შესაბამისად, სააპელაციო პალატას მხოლოდ ამ განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში შეეძლო მის კანონიერებაზე მსჯელობა, რადგანაც სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას და განჩინებებს მხოლოდ აპელანტის მოთხოვნის არსებობისას, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები), რაც მოცემულ შემთხვევაში მხარეს არ მოუთხოვია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების კანონის დარღვევით გამოტანაზე, რაც გამოიხატა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის არასწორად გამოყენებაში.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ სადავო გარიგება თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა, ბათილია, როგორც მოჩვენებითი.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება), ხოლო, ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება). აღნიშნული ნორმების შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ ბათილია გარიგება, როდესაც მხარეთა ნამდვილი ნება გარიგების დადების თაობაზე არ არსებობს. ამასთან, მხარეთა მიზანს მოჩვენებითი გარიგების დადებისას, როგორც წესი, სხვა გარიგების დაფარვა წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მხარეთა შორის გაფორმდა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ გასაჩივრებული განჩინებით უდავოდ დადგენილია, რომ მხარეებს ხელშეკრულებაში ასახული ნება ნივთის გაყიდვისა და ყიდვისა არ გააჩნდათ. ასევე უდავოდ დადგენილია მხარეთა ნამდვილი ნება საცხოვრებელი სახლის, სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების - იპოთეკით დატვირთვის თაობაზე. ამდენად, ამ სამართლებრივი ურთიერთობის შეფასებისას სასამართლომ სავსებით სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველ ნაწილზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატას სადავო ურთიერთობის მოწესრიგებისას უნდა გამოეყენებინა 56-ე მუხლის მეორე ნაწილიც და ბათილად ცნობილი ნასყიდობის ხელშეკრულების სანაცვლოდ ემსჯელა იპოთეკის ხელშეკრულების დადგენაზე.

სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გარიგების მხარე უფლებამოსილია, უცილოდ ბათილი გარიგება დაადასტუროს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მხარემ სასურველი გარიგება უნდა დადოს იმ წესით, რა წესიც კანონით დადგენილია ნამდვილი გარიგებისათვის.

განსახილველ შემთხვევაში ს.მ-იანი სააპელაციო საჩივარში უთითებდა რა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას არაკანონიერად მიიჩნევდა იმ საფუძვლითაც, რომ სასამართლომ არ იმსჯელა ნამდვილი გარიგების დადგენაზე და არ გამოიყენა დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. სააპელაციო საჩივრის აღნიშნულ საფუძველზე სასამართლოს არ უმსჯელია.

ამდენად, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების (მხარეთა განზრახვა უძრავი ნივთის სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენების თაობაზე) გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს ბათილი ხელშეკრულების სანაცვლოდ მხარეთა შორის არსებული რეალური ხელშეკრულების თაობაზე დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ს. მ-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

განჩინება

#ას-553-786-08

18 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 2 ივნისს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. ლ-ძემ მოპასუხეების - ლ. ე-ვისა და დ. ვ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებს შორის 2004 წლის 23 მარტს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე სადავო ბინის მის საკუთრებაში აღრიცხვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2002 წლის 26 დეკემბერს ლ. ე-ვისაგან შეიძინა აგარაკი წავკისში. მან ახლად შეძენილ ბინაში რამდენიმე თვით ყოფნის უფლება მისცა გამყიდველს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელს სახლი უნდა გაეთავისუფლებინა. არა ერთი თხოვნის მიუხედავად, ლ. ე-ვი ბინას არ ათავისუფლებდა. 2004 წლის დასაწყისში, როდესაც გ. ლ-ძემ მოპასუხეს ბინის გათავისუფლება კატეგორიულად მოსთხოვა, ლ. ე-ვმა ისარგებლა იმით, რომ სადავო ბინა საჯარო რეესტრში ჯერ კიდევ თავის სახელზე იყო რეგისტრირებული და იგი ჩუქების ხელშეკრულებით დედას - დ. ვ-იას გადასცა.

მოსარჩელემ ზემოაღნიშნული ჩუქების ხელშეკრულება უკანონოდ მიიჩნია და მისი ბათილობის საფუძველად სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლზე (თვალთმაქცური გარიგება) მიუთითა.

მოპასუხე ლ. ე-ვმა სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა ფაქტობრივი გარემოება, თითქოს იგი სადავო ბინას არ ათავისუფლებდა, თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, აღნიშნული გარემოებით გაუგებარი იყო იმის ახსნა, თუ რატომ არ აღრიცხა თავის საკუთრებაში გ. ლ-ძემ ბინა. ამასთან, ლ. ე-ვის მოსაზრებით, მოსარჩელე სადავო შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის არსებობას ვერ ასაბუთებდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას გამოიწვევდა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 ივლისის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელე გ. ლ-ძის წარმომადგენელმა წარადგინა ლ. ე-ვის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის განაჩენი. აღნიშნული განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ლ. ე-ვთან, ლ. ე-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "გ" და ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობდა თაღლითობას, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებას და ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუებით. ჩადენილი დანაშაულისათვის ლ. ე-ვს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე

მუხლის საფუძველზე პირობით გამოსაცდელ ვადად დაენიშნა ერთი წელი, მასვე დამატებით სასჯელის სახით შეეფარდა 5000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. განაჩენს საფუძველად ედო გ. ლ-ძესა და ლ. ე-ვს შორის სადავო ბინაზე გაფორმებული გარიგების უკანონობა. მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრებით, აღნიშნულ განაჩენს განსახილველი დავის მიმართ პრეიუდიციული მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა.

მოგვიანებით მოსარჩელე გ. ლ-ძემ დააზუსტა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველები და ასეთად სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველ ნაწილი და ამავე კოდექსის 54-ე მუხლი დაასახელა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ლ. ე-ვსა და დ. ვ-იას შორის 2004 წლის 23 მარტს დადებული ჩუქების ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად გარიგების ბათილობას განაპირობებდა კანონით დადგენილი წესების, აკრძალვების, საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების დარღვევა. სასამართლოს მოსაზრებით, საჯარო წესრიგის დარღვევაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების უფლება, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლება და სხვა. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის განაჩენზე, რომლითაც ლ. ე-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. განაჩენში მითითებულია, რომ ლ. ე-ვმა განიზრახა რა "სხვისი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით", ბოროტად ისარგებლა გ. ლ-ძის ნდობით და "2004 წლის 23 მარტს სააგარაკე ბინა გააფორმა დედამისზე - დ. ვ-იაზე, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა გ. ლ-ძეს". საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, განაჩენი დადგენილი იყო არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად, მაგრამ წარმოდგენდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესების დაცვით მიღებულ სასამართლოს შემაჯამებელ დოკუმენტს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, მიიჩნეოდა როგორც პრეიუდიციული ფაქტების დამდგენი განსახილველ დავასთან მიმართებაში.

ამდენად, აშკარა იყო მოპასუხის მოქმედებით საჯარო წესრიგის დარღვევა, რაც გამოიხატა სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევაში. ლ. ე-ვის მიერ ნივთის გაჩუქებით მოსარჩელეს წაერთვა 2002 წლის 18 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობა და თავად საკუთრების უფლება გახდა აბსტრაქტული.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, დ. ვ-ია ნივთის კეთილსინდისიერ შემძენად ვერ ჩათვლებოდა, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, როდესაც შემძენმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, იგი ზემომითითებული მუხლით მინიჭებული დაცვის უფლებით ვერ ისარგებლებდა. რამდენადაც დ. ვ-ია ლ. ე-ვის დედა იყო, ბუნებრივია, მას უნდა სცოდნოდა ლ. ე-ვის მიერ 2002 წლის 18 დეკემბერს დადებული სანოტარო ფორმით დადასტურებული გარიგების არსებობის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა დ. ვ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძველებით:

სასამართლომ უსაფუძველოდ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი 2004 წლის 23 მარტს დადებული სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველად.

არასწორი იყო სასამართლოს მსჯელობა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის განაჩენისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭების თაობაზე, რამდენადაც მოცემული დავის საგანს წარმოდგენდა არა ერთი პირის (ამ შემთხვევაში - ლ. ე-ვის), არამედ ამ გარიგების მონაწილე ორივე მხარის (როგორც ლ. ე-ვის, ისე დ. ვ-იას) ნების გამოვლენის ნამდვილობა.

ზემოაღნიშნულ განაჩენს სასამართლომ გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭა და მსჯელობის გარეშე პირდაპირ შეაფასა ამ ქმედების სამართლებრივი შინაარსი, მაშინ, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი ამის საშუალებას არ იძლეოდა. თუკი ლ. ე-ვმა საპროცესო შეთანხმების დადებით გადაწყვიტა შექმნილ მძიმე მდგომარეობაში საკუთარი ბედი, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ დ. ვ-იას ბედიც ავტომატურად გადაწყდა. დასახელებული განაჩენი დ. ვ-იას საერთოდ არ

შეხება. შესაძლოა, ლ. ე-ვმა საკუთარი ქმედებით დაარღვია საჯარო წესრიგი, მაგრამ ეს წესრიგი არ დაურღვევია დ. ვ-იას, რომელსაც დამოუკიდებელი უფლებები და მოვალეობები გააჩნდა.

სასამართლო განაჩენი მიუთითებდა, რომ ლ. ე-ვმა ზიანი მიაყენა გ. ლ-ძეს. შესაბამისად, მოსარჩელის მიმართ მასვე უნდა ეგო პასუხი და არა სხვა პიროვნებას.

უსაფუძვლო იყო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს სარჩელის საფუძველი არ შეუცვლია, რადგან სინამდვილეში ასეთი არ არსებობდა.

სასამართლო მიუთითებდა, რომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი არ უნდა გავრცელებულიყო იმ პირებთან მიმართებაში, ვინც გამსხვისების უფლებამოსილების ნაკლის შესახებ იცოდა, ლ. ე-ვის უფლებამოსილებას კი ნაკლოვანება საერთოდ არ გააჩნდა. საკუთრება, რომელიც სადავო ხელშეკრულებით განიკარგა, არა მხოლოდ რეგისტრირებული იყო ლ. ე-ვის სახელზე, არამედ იმ მომენტისათვის მის საკუთრებას წარმოადგენდა, რადგან გ. ლ-ძემ საკუთარი ბრალით არ მოახდინა მისი რეგისტრაცია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი მოსარჩელეს ავალდებულებდა დაემტკიცებინა, რომ სადავო ხელშეკრულებით გასხვისებული საცხოვრებელი სახლის ნამდვილი მესაკუთრის შესახებ დ. ვ-იამ იცოდა, რაც გ. ლ-ძეს არ განუხორციელებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინებით დ. ვ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2002 წლის 18 დეკემბერს ლ. ე-ვსა და გ. ლ-ძეს შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ლ. ე-ვმა გ. ლ-ძეს მიჰყიდა გარდაბნის რაიონის სოფელ ... მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთით. ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულების დადებით გ. ლ-ძემ მოიპოვა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვის უფლება. ამასთან, მითითებულ პერიოდში მოქმედი "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონით, კერძოდ, მისი მე-8 მუხლით, დოკუმენტის შედგენიდან 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ მისი სარეგისტრაციოდ წარდგენისას მხარეს არ ერთმეოდა რეგისტრაციის უფლება, თუმცა მოსაკრებლის გარდა დამატებით უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ე-ვმა 2004 წლის 23 მარტის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე დ. ვ-იას, მისი თანხმობით, საკუთრებაში გადასცა ის უძრავი ნივთი, რომელიც 2002 წლის 18 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გასხვისებული ჰქონდა გ. ლ-ძეზე. დადგენილად იქნა მიჩნეული ისიც, რომ დასაჩუქრებული დ. ვ-ია არის ლ. ე-ვის დედა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის განაჩენით ლ. ე-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენაში. განაჩენში აღნიშნულია, რომ ლ. ე-ვმა განიზრახა რა სხვისი ქონებრივი უფლებების მიღება მოტყუებით, გ. ლ-ძისათვის 105 000 აშშ დოლარად მიყიდული, გარდაბნის რაიონის სოფელ ... არსებული სააგარაკე ბინა, რომელიც მისივე თხოვნით დროებით დაუთმო ბინის ახალმა მყიდველმა, არ დაცალა, წელიწადსა და ოთხი თვის განმავლობაში ფლობდა მას ფაქტობრივად, ხოლო თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად და ბინაზე ქონებრივი უფლების საბოლოოდ მოსაპოვებლად 2004 წლის 23 მარტს სააგარაკე ბინა გააფორმა დედაზე დ. ვ-იაზე, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა გ. ლ-ძეს.

ამდენად, ლ. ე-ვის მიერ ნივთის გაჩუქებით მოსარჩელეს წაერთვა 2002 წლის 18 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს და აკრძალავს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობრივ ნორმებს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ლ. ე-ვსა და დ. ვ-იას შორის 2004 წლის 23 მარტს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება, რომლის დადების ფაქტიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეფასდა ლ. ე-ვის დანაშაულებრივ ქმედებად, წარმოადგენდა სწორედ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებას. შესაბამისად, განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს პრეიულიციული მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა ლ. ე-ვის ქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შეფასებისას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მყიდველ გ. ლ-ძესა და დასაჩუქრებულ დ. ვ-იას ინტერესებს შორის კონფლიქტის დროს იმის გადასაწყვეტად, თუ რომლის ინტერესს მინიჭებოდა უპირატესობა, უნდა დადგენილიყო უკანასკნელი შემძენის, ანუ დასაჩუქრებული დ. ვ-იას კეთილსინდისიერება. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლზე, რომელიც ადგენს ქვევის შემდეგ წესს: შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე დაყრდნობით კანონის ზემოთ დასახელებული მუხლის შინაარსი იმგვარად განმარტა, რომ აღნიშნული

ნორმა ემსახურება მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვას, ხოლო როდესაც შემძენმა იცის ან უნდა იცოდეს, რომ გამსხვისებელი არ არის ნივთის შესაკუთრე, იგი ვერ ისარგებლებს ამ მუხლით მინიჭებული დაცვის უფლებით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაჩუქრებულ დ. ვ-ას, როგორც მჩუქებელ ლ. ე-ვის დედას, გონივრული წინდახედულების ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა კიდევ თავისი ქალიშვილის მიერ სადავო ქონების გ. ლ-ძეზე გასხვისების შესახებ. შესაბამისად, დასაჩუქრებული დ. ვ-ია კეთილსინდისიერ შემძენად ვერ ჩაითვლებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ვ-იამ (წარმომადგენელი ა. მ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივებით:

სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაში პირდაპირაა მითითებული იმის შესახებ, რომ უძრავი ქონების შემძენი საკუთრების უფლებას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციით. ამავე ხელშეკრულებიდან არ დგინდება გ. ლ-ძის მიერ ლ. ე-ვისათვის ნასყიდობის ფასის გადახდის ფაქტი და აღნიშნულის შესახებ არც საქმის მასალებშია მითითებული რაიმე. ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა, რის მიზეზადაც გ. ლ-ძე მიუთითებს თავად ლ. ე-ვის თხოვნას გარკვეული დროით ბინაში დარჩენის თაობაზე. გაურკვეველია, თუ რა კავშირშია ბინაში ცხოვრება ხელშეკრულების რეგისტრაციასთან ან საერთოდ, რაში სჭირდებოდა ლ. ე-ვს წავკისში ცხოვრება (მით უფრო ზამთრის პერიოდში), მაშინ როცა სადავო პერიოდში ბინის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ჩუქების ხელშეკრულების დადებისას საჯარო რეესტრის ჩანაწერი უზუსტო არ ყოფილა, რაზეც მოწინააღმდეგე მხარე აპელირებდა. ჩანაწერი უზუსტოდ მაშინ ითვლება, როდესაც მასში რაიმე უფლება არასწორადაა რეგისტრირებული, ანუ როდესაც რეგისტრირებული მონაცემი ნამდვილ უფლებას არ ემთხვევა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. გ. ლ-ძესთან გარიგების დადებისას ლ. ე-ვი სადავო ნივთის ნამდვილ, შესაკუთრეს წარმოადგენდა.

გ. ლ-ძე ვერ ასაბუთებს, იგი მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ დ. ვ-ისათვის ბინის გასხვისების ფაქტი ცნობილი იქნებოდა, რაც ამ უკანასკნელის არაკეთილსინდისიერად მიჩნევისათვის საკმარის საფუძველს არ ქმნის.

არასწორია სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით მოწესრიგება. კანონის დასახელებულ ნორმაში იმ გარიგებათა ბათილობაზეა საუბარი, რომლებიც თავისი შინაარსით საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგება. მოცემულ შემთხვევაში საკუთრივ გარიგება კი არ ყოფილა საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო, არამედ აღნიშნულ წესრიგს გარიგების ერთ-ერთი მხარის - ლ. ე-ვის ქმედება არღვევდა.

კასატორის მოსაზრებით, კეთილსინდისიერ შემძენთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას თუ გავიზიარებთ, გამოდის, რომ შემძენი, რომელიც გამსხვისებლის ახლო ნათესავია, უუნარო ხდება, დაიცვას საკუთარი უფლებები და ინტერესები. "ახლო ნათესაობა" არ შეიძლება აუცილებლად გულისხმობდეს შემძენის მიერ გასხვისებული ნივთის უფლებრივი მდგომარეობის სრულყოფილ ცოდნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2002 წლის 18 დეკემბერს ლ. ე-ვსა და გ. ლ-ძეს შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ლ. ე-ვმა გ. ლ-ძეს მიჰყიდა გარდაბნის რაიონში, სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლით;

აღნიშნულ ქონებაზე გ. ლ-ძეს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლება არ დაურეგისტრირებია;

2004 წლის 23 მარტს ლ. ე-ვმა დ. ვ-ის ნაჩუქრობის ხელშეკრულებით საკუთრებაში გადასცა ზემოაღნიშნული უძრავი ქონება;

დასაჩუქრებული დ. ვ-ია არის მჩუქებელ ლ. ე-ვის დედა;

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის განაჩენით ლ. ე-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის ("თაღლითობა") მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენაში. განაჩენით დადგენილად იქნა ცნობილი, რომ ლ. ე-ვმა განიზრახა სხვისი ქონებრივი უფლებების მიღება მოტყუებით, გ. ლ-ძისათვის 105000 აშშ დოლარად მიყიდული, გარდაბნის რაიონის სოფელ წავკისში მდებარე სააგარაკე ბინა, რომელიც მისივე თხოვნით დროებით დაუთმო ახალმა მიყიდველმა, არ დაცალა, წელიწადსა და ოთხი თვის განმავლობაში ფლობდა მას ფაქტობრივად, ხოლო თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად და ბინაზე ქონებრივი უფლების საბოლოოდ მოსაპოვებლად 2004 წლის 23 მარტს სააგარაკე ბინა გაუფორმა დედას დ. ვ-იას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა გ. ლ-ძეს.

სადავო პერიოდში მოქმედი "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ყველა ხელშეკრულება, რომელიც გავლენას ახდენდა მიწაზე და მასთან დაკავშირებულ უძრავ ქონებაზე, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს 30 დღისა მისი შედგენიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტის სარეგისტრაციოდ წარდგენისას მხარეს არ ერთმეოდა უძრავი ქონების რეგისტრაციის უფლება, თუმცა მოსაკრებლის გარდა დამატებით უნდა გადაეხადა თანხა. ამდენად, სადავო ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადებისას გ. ლ-ძეს 2002 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლება გაქარწყლებული არ ჰქონდა. ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადებით კი გ. ლ-ძეს წაერთვა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის განაჩენს დ. ვ-იას მიმართ არა აქვს პრეიუდიციული ძალა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე. ამ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ დ. ვ-იას მიმართ აღნიშნული განაჩენი არ გამოტანილა, იგი არ წარმოადგენდა ამ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე პირს, განაჩენის პრეიუდიციული ძალის სუბიექტური მოქმედების ფარგლების გათვალისწინებით კი განაჩენი სავალდებულოა მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვის შესახებაც გამოტანილია იგი. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განაჩენს პრეიუდიციული ძალა აქვს ლ. ე-ვთან მიმართებაში და მის მიერ სხვისი ქონებრივი უფლების მოტყუებით მისაღებად 2004 წლის 23 მარტის ხელშეკრულების დადების ფაქტი სადავო არ არის. გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ შემთხვევაში განაჩენს პრეიუდიციული ძალა მიანიჭა სწორედ ლ. ე-ვის და არა დ. ვ-იას მიმართ. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ლ. ე-ვის მიერ ასეთი ხელშეკრულების დადება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

მოცემულ შემთხვევაში საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სადავო ნაჩუქრობის ხელშეკრულება დადებულია არა გარეშე პირებს, არამედ დედა-შვილს შორის. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ლ. ე-ვის დედა დ. ვ-ია ვერ მიიჩნევა კეთილსინდისიერად ლ. ე-ვის მოქმედების მიმართ. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა დედაშვილური ურთიერთობა სადავო ნაჩუქრობის ხელშეკრულების მხარეებს შორის. ასეთ ურთიერთობაში, ჩვეულებრივ, ჩვენს საზოგადოებაში დედა-შვილმა იცის ერთმანეთის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ხოლო სხვაგვარი შემთხვევა წარმოადგენს გამონაკლისს. ის გარემოება, რომ ლ. ე-ვისა და დ. ვ-იას მოცემულ კონკრეტულ დედაშვილურ ურთიერთობაში მათ ერთმანეთის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე არ იცოდნენ, კერძოდ, დ. ვ-იამ არ იცოდა, რომ სადავო ქონება ერთხელ უკვე გასხვისებული იყო, უნდა დაამტკიცოს კასატორმა, რომელსაც აღნიშნულის შესახებ არანაირ გარემოებაზე მიუთითებია. კასატორი შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი მითითებით, რომ დ. ვ-იამ სრულყოფილად არ იცოდა შვილის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას ბინა გასხვისებული ჰქონდა. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ამ გარემოების მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ამ შემთხვევაში აწევს მოწინააღმდეგე მხარეს. მხარეს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რაც მას შეუძლია იცოდეს, ამ შემთხვევაში კი მოწინააღმდეგე მხარეს ვერ მოვთხოვთ, იცოდეს ლ. ე-ვისა და დ. ვ-იას დედაშვილური ურთიერთობის კონკრეტული საკითხების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში დ. ვ-იას კეთილსინდისიერების ფაქტის შეფასებისას შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის გამოყენება. მართალია, სადავო ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადებისას ლ. ე-ვი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო, მაგრამ იმავდროულად, ამ მომენტისთვის მას ხელშეკრულების საგანი გასხვისებული ჰქონდა, რის მიმართაც დასაჩუქრებული დ. ვ-ია კეთილსინდისიერად ვერ ჩაითვლება.

ამდენად, სახეზეა ხელშეკრულება, რომლის მონაწილე ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულების დადება საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოა, ხოლო მეორე მხარე ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერად ვერ ჩაითვლება. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ასეთ ვითარებაში არსებობს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

- დ. ვ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე

განჩინება

ნას-631-939-09

9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, საკუთრების უფლების რეგისტრაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ც-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. მ-იას, ნ. მ-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ დ.მ-იას მიერ გაცემული გენერალური მინდობილობის საფუძველზე ს. და ნ. მ-ძეებს შორის 2008 წლის 19 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის, ასევე, სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღრიცხვის შესახებ შემდეგი საფუძველებით: ქ. ბათუმში, ... ქუჩის #3-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა ეკუთვნოდა ი. ც-მეს. ბინის ექსპროპრიებასთან დაკავშირებით, ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 19 ნოემბრის #135 დადგენილების საფუძველზე, მოსარჩელეს სანაცვლოდ საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქუჩის #113\115-ში მდებარე #8 ბინა, რომელიც ქ. ბათუმის მერიამ შეიძინა მოპასუხე დ. მ-იასგან. ი. ც-მეს გადაეცა ქ. ბათუმის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში რეგისტრირებული ბინის საკუთრების ტექნიკური პასპორტი. მოსარჩელე ბინას დღემდე ფლობს, თუმცა მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2008 წლის 10 მარტს ბინის ადრინდელმა მესაკუთრე დ. მ-იამ ს. მ-ძის სახელზე გასცა მინდობილობა 2002 წელს ქ. ბათუმის მერიისათვის მიყიდული და მერიისგან ი. ც-ძის საკუთრებაში გადაცემული ... ქუჩის #113\115-ში მდებარე #8 ბინის გაყიდვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, რის შედეგადაც 2008 წლის 19 მარტს დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება მოპასუხე ნ. მ-ძისათვის ბინის მიყიდვის შესახებ. ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა ბინა საკუთრების უფლებით აღრიცხა ნ. მ-ძის სახელზე. სადავო ხელშეკრულება თვალთმაქცური გარიგებაა, რაზეც ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ნ. მ-ძეს დ. მ-იასათვის ბინის საფასური არ გადაუხდია. საჯარო რეესტრის მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, ... ქუჩის #113\115-ში მდებარე #8 ბინას, რომელიც აღრიცხული იყო ი. ც-ძის სახელზე, ედო ყადაღა და როგორც გამსხვიესებულმა, ისე შემძენმა დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება უფლებრივად დატვირთულ ობიექტზე.

მოპასუხე ნ. მ-ძემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივით: იმ დროს, როდესაც სახელმწიფომ ი. ც-მეს ექსპროპრირებული ბინის სანაცვლოდ სხვა ბინა გამოუყო, მხარეები იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. ი. ც-მემ გადაწყვიტა ბინის ნ. მ-ძის სახელზე გაფორმება და ამ მიზნით გენერალური მინდობილობა გასცა ს. მ-ძის სახელზე, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ სადავო უძრავი ნივთი ირიცხებოდა დ. მ-იას საკუთრებაში, რის გამოც მოპასუხემ მას მოსთხოვა ბინის გადაფორმება. დ. მ-იამ თანხმობა განუცხადა და სათანადო მინდობილობა გაუფორმა ს. მ-ძეს. ზემოხსენებული მიზნით გაფორმდა ბინის ნასყიდობა და დ. მ-იამ მიჰყიდა იგი ნ. მ-ძეს, რაც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. ნასყიდობის ხელშეკრულებაში დ. მ-იამ ჩაწერა თანხა, რაც მისთვის ადრე იყო გადახდილი. უსაფუძვლოა მოსარჩელის მტკიცება სადავო ბინაზე ყადაღის არსებობის შესახებ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა საჯარო რეესტრიდან სათანადო ინფორმაციის მიღება და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება.

დ.მ-იამ სასარჩელო მოთხოვნები არ გაიზიარა შემდეგი დასაბუთებით: 2008 წლის მარტში მას დაუკავშირდა ნ. მ-ძე, რომელმაც აუხსნა, რომ ... ქუჩის #113\115-ში მდებარე ბინა #8 საჯარო რეესტრში ირიცხებოდა კვლავ დ. მ-იას სახელზე. აღნიშნულის გასასწორებლად ბინა ხელმოკრედ უნდა გადაფორმებულიყო. მან თავი ვალდებულად მიიჩნია, ნ. მ-ძესთან გაეფორმებინა ნასყიდობის ხელშეკრულება, დაეთანხმა და ამ მიზნით მინდობილობა გასცა ნ.მ-ძის ძმის - ს. მ-ძის სახელზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ ქ. ბათუმში, ... ქუჩის #113\115-ში მდებარე #8 ბინას ნ. მ-ძის საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ბათუმის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის 2002 წლის 22 ნოემბრის #2\1501 წერილით დასტურდება, რომ ყადაღა ედო არა დ. მ-იას საკუთრებაში რიცხულ სადავო ბინას, არამედ ... ქუჩის #113\115-ში მდებარე ერთობაშიან საცხოვრებელ ბინას. აღმასრულებლის განკარგულებაში არ არის საუბარი კონკრეტული ბინის ნომერზე და, შესაბამისად, ყადაღით გათვალისწინებული აკრძალვა სადავო ფართზე ვერ გავრცელდებოდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ი. ც-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ი. ც-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი დ. მ-იას მიერ 2008 წლის 10 მარტს გაცემული გენერალური მინდობილობის ხელშეკრულება 2008 წლის 19 მარტს ს. მ-ძესა და ნ. მ-ძეს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, გაუქმდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში ნ.მ-მის სახელზე სადავო უძრავი ნივთის რეგისტრაცია და აღნიშნული ბინა საკუთრების უფლებით აღირიცხა ი. ც-მის სახელზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 19 ნოემბრის #135 დადგენილების თანახმად, ექსპროპრირებული ბინის სანაცვლოდ ი. ც-მეს საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქუჩის #113\115-ში მდებარე #8 ბინა. 2002 წლის 20 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ქ. ბათუმში, ... ქუჩის #113\115-ში მდებარე #8 ბინა ქ. ბათუმის მერიამ შეიძინა დ. მ-იასგან. დ. მ-იას გადაეცა სადავო ქონების ღირებულება. სადავო ბინაზე ი. ც-მეს გადაეცა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში რეგისტრირებული საკუთრების ტექნიკური პასპორტი, ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, იგი სადავო ბინის მესაკუთრეს წარმოადგენს. 2002 წლიდან სადავო ბინის მესაკუთრე იყო ი. ც-მე. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება, რომ ი. ც-მე არ არის უძრავი ნივთის მესაკუთრე, თუმცა საქმის მასალებით დგინდება, რომ დ. მ-ია სადავო ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში, ამდენად, ერთსა და იმავე უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში არსებობდა ორი ჩანაწერი. პალატამ მიუთითა, რომ 2002 წლიდან დ. მ-ია არ წარმოადგენს სადავო ბინის მესაკუთრეს, არამედ მას დღემდე ფლობს ი. ც-მე თავისი ოჯახით. 2008 წლის 10 მარტის გენერალური მინდობილობით დ. მ-იამ ს. მ-ძეს მიანიჭა სადავო ბინის გასხვისების უფლება. 2008 წლის 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, სადავო ბინა დ. მ-იასგან შეიძინა ნ. მ-მემ. პალატამ ჩათვალა, რომ საქმის მასალებში ი.ც-მის მიერ გაცემული მინდობილობა სადავო ქონების გასხვისების თაობაზე არ მოიპოვება. ი.ც-მე წარმოადგენს სადავო ქონების მასაკუთრეს 2002 წლიდან და მას ბინა არ გაუხვისებია. სასამართლომ დაადგინა, რომ დ. მ-იამ ი. ც-მის საკუთრება გასხვისა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც უძრავი ქონება შეიძინა ნ. მ-მემ, ი. ც-მის მიერ არ ყოფილა მოწონებული. სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 54-ე მუხლის შესაბამისად, დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, დავის საგანს კი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს შემძენის კეთილსინდისიერების ფაქტი. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად პალატამ ჩათვალა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, სადავო ქონების მესაკუთრეს რეესტრის ჩანაწერების თანახმად წარმოადგენდა რა დ. მ-ია, ხოლო დ.მ-იასა და ნ.მ-ძეს შორის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო საჯარო რეესტრში და აღირიცხა რეესტრის მიერ, დ. მ-იასა და ნ. მ-ძის მიერ ზემოხსენებული ნორმის მოთხოვნები დაცულია. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 185-ე, 312-ე მუხლებით და დაადგინა, რომ ქონება რეგისტრირებულია ნ. მ-მის სახელზე, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის კი აღირიცხებოდა დ.მ-იას სახელზე. ი. ც-მე და ნ. მ-მე იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. ნ. მ-მის განმარტებით, სასამართლომ დაადგინა, რომ იგი რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში ჩამოვიდა, რათა თავის სახელზე აღერიცხა ი. ც-მის კუთვნილი სადავო ბინა. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ნასყიდობის გაფორმებამდე ნ. მ-მისათვის ცნობილი იყო ბინის ი. ც-მის კუთვნილების ფაქტი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ნ.მ-მის განმარტებაზე, რომ, ვინაიდან რეესტრის ჩანაწერებში სადავო ქონების მესაკუთრედ შეცდომით რეგისტრირებული იყო დ. მ-ია, მას კი სურდა უძრავი ნივთის დროულად გადაფორმება. ამ მოტივით დაიდო გარიგება დ.მ-იასა და ნ. მ-ძეს შორის. გარდა ამისა, პალატამ მიუთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება რეგისტრირებულია 2008 წელს. ნ. მ-მის შესაგებლით დგინდება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე ნ. მ-მისათვის ცნობილი იყო სადავო ქონების მესაკუთრის ვინაობა. ამდენად, ნ. მ-მე არ არის კეთილსინდისიერი შემძენი, ხოლო არაკეთილსინდისიერების ფაქტი არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე და სადავო ქონების მის სახელზე რეესტრში რეგისტრაციამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა, სადავო ქონების ნ. მ-მის სახელზე აღრიცხვის შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების თაობაზე საფუძვლიანია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. მ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი, რომ-იც არ უნდა გამოეყენებინა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ი. ც-მეს სადავო ბინაზე საკუთრების უფლება არ წარმოშობია. „უძრავ ნივთებზე საკუთრების რეგისტრაციის შესახებ“ კანონით, მხოლოდ დაინტერესებული პირის

განცხადებით ხდება უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და რეესტრის ვალდებულება რეგისტრაციაზე აღარ არსებობს. მითითებული კანონის 33-ე მუხლის მეხუთე პუნქტი გაუქმებულია 2007 წლის 11 მაისის #4741 კანონში ცვლილებებისა და დამატებების შედეგად. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სააპელაციო მოთხოვნა, მაგრამ არ იმსჯელა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციაზე. სასამართლომ ისე დაავალა საჯარო რეესტრს ახალი ჩანაწერის განხორციელება, რომ საჯარო რეესტრში დ. მ-ის სახელზე აღნიშნულ ბინაზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერი არ გაუუქმებია. ამასთან, უტყუარად ითვლება საკუთრების უფლების თაობაზე მხოლოდ საჯარო რეესტრისა და არა ტექადრიცხვის მონაცემები. ნ. მ-მე მოქმედებდა რა კეთილსინდისიერად, სწორედ საჯარო რეესტრიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ნამდვილ მესაკუთრესთან დადო გარიგება. აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო პალატები ანალოგიურ შემთხვევაში საკითხს ერთმანეთისაგან საწინააღმდეგოდ წყვეტენ. სასამართლომ არ გაამხვილა ყურადღება საქმის მასალებში არსებულ უზუსტობებზე, კერძოდ, საქმის მასალების თანახმად, ი. ც-მეს სადავო ქონება გადაეცა 2002 წლის 19 ნოემბერს, მაშინ, როცა დ. მ-იასა და ქ. ბათუმის მერიას შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2002 წლის 20 ნოემბერს. ამდენად, დგინდება, რომ სადავო ბინა ჯერ ი. ც-მეს გადაეცა და მეორე დღეს გაფორმდა დ. მ-იასა და მერიას შორის ხელშეკრულება. გაურკვეველია, როგორ გადაეცა ი. ც-მეს ბინა, თუ მერიის სახელზე იგი 2002 წლის 19 ნოემბერს, არ ირიცხებოდა. ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე სასამართლომ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ ყურადღება არ გაამხვილა „რეგისტრაციის შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებებზე, არ გაანალიზა ამ მხრივ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა მოჩვენებით გარიგებასთან დაკავშირებით. ნიშნდობლივია, რომ ი. ც-მემ თავად გასცა მინდობილობა ნ. მ-მის სახელზე და თანხმობა განაცხადა, საკუთრება ამ უკანასკნელზე აღრიცხულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქონება არ იყო ც-მის საკუთრება და ამიტომ დაიდო გარიგება დ. მ-იასთან სადავო ქონების ერთადერთ და კანონიერ მესაკუთრესთან. რეალურად ბინის მყიდველსაც და გამყიდველსაც სურდათ ნასყიდობის ხელშეკრულების თანმდევი სამართლებრივი შედეგის მიღწევა. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან უძრავ ნივთზე საკუთრება დგინდება საჯარო რეესტრის ამონაწერით და არა ტექნიკურს ჩანაწერით.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.ბათუმის მერიის 2002 წლის 19 ნოემბრის #135 დადგენილების თანახმად, ექსპროპრირებული ბინის სანაცვლოდ ი. ც-მეს საკუთრებაში გადაეცა ქ.ბათუმში, ... ქუჩის #113\115-ში მდებარე #8 ბინა. 2002 წლის 20 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ქ. ბათუმში, ... ქუჩის #113\115-ში მდებარე #8 ბინა ქ. ბათუმის მერიამ შეიძინა დ. მ-იასაგან, რომელსაც გადაეცა სადავო ქონების ღირებულება. სადავო ბინაზე ი. ც-მეს გადაეცა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში რეგისტრირებული საკუთრების ტექნიკური პასპორტი და 2002 წლიდან სადავო ბინის მესაკუთრე იყო ი. ც-მე. ამდენად, ერთსა და იმავე უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში არსებობდა ორი ჩანაწერი. ფაქტობრივად, 2002 წლიდან დ. მ-ია არ წარმოადგენს სადავო ბინის მესაკუთრეს, არამედ მას დღემდე ფლობს ი.ც-მე თავისი ოჯახით. 2008 წლის 10 მარტის გენერალური მინდობილობით დ. მ-იამ ს. მ-მეს მიანიჭა სადავო ბინის გასხვისების უფლება. 2008 წლის 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სადავო ბინა დ. მ-იასაგან შეიძინა ნ. მ-მემ. საქმის მასალებში ი. ც-მის მიერ დ. მ-იაზე გაცემული მინდობილობა სადავო ქონების გასხვისების თაობაზე არ მოიპოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესით გათვალისწინებული დასაბუთებული საკასაციო საჩივარი ნ. მ-მეს არ წარმოუდგენია. კერძოდ, კასატორი პრეტენზიას აცხადებს სააპელაციო პალატის მიერ მის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის ფაქტის უსწორობაზე, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამავე კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა

პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. აღნიშნული ფორმულირებით კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოება - გამსხვისებლის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეესტრაცია, ანუ შემძენის კეთილსინდისიერება ეფუძნება ობიექტურ ფაქტორს, საჯარო რეესტრის მონაცემებს.

ამდენად, როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შეძენას, შეძენს, თავის უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს. თუნდაც სინამდვილეში არასწორი იყოს რეესტრის მონაცემები, ამ მდგომარეობას არა არსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის არცოდნაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. ზემოთ დასახელებული ნორმები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იური-დიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტს - შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, შემძენის ინტერესების დამცავი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს არა მარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა ნივთის შეძენამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე. უძრავი ნივთის შეძენის კანონიერებაზე დავისას და შემძენის კეთილსინდისიერების შემოწმებისას სასამართლო მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს ვერ დააფუძნებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე და გამოიკვილოს, რა იცოდა შემძენმა ჩანაწერის ხარვეზიანობის შესახებ. აღნიშნული ნორმების არსიდან გამომდინარე, სავსებით მართებულია სააპელაციო სასამართლოს მოქმედება საჯარო რეესტრის მონაცემებთან ერთად შემძენის კეთილსინდისიერების შემოწმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე ნ. მ-მ იცოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის - სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ დ. მ-ის რეგისტრაციის უზუსტობის შესახებ და მისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ სადავო ქონების მესაკუთრეს სინამდვილეში წარმოადგენდა ი. ც-მე. აღნიშნული დასტურდება პირველი ინსტანციის სასამართლოში კასატორის წარდგენილი შესაგებლით, რომელშიც მხარემ განმარტა, რომ იმყოფებოდა ი. ც-მესთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში. მოსარჩელე ცხოვრობდა რა ქ. მოსკოვში, მისი კუთვნილი სადავო ბინის ნ. მ-მისათვის გადაფორმების მიზნით, ი. ც-მემ მინდობილობა გაუფორმა მოპასუხის ნათესავ ს. მ-მეს, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ საჯარო რეესტრში სადავო უძრავი ნივთი აღრიცხული იყო დ. მ-ის სახელზე და ბინის ნ. მ-მისათვის გასაფორმებლად დაიდო სადავო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. ამდენად, ნ. მ-მე თავად ადასტურებს, რომ 2008 წლის 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე მისთვის ცნობილი იყო, რომ ნასყიდობის საგნის რეალურ მესაკუთრეს დ. მ-ია არ წარმოადგენდა და ამ უკანასკნელზე საჯარო რეესტრის ჩანაწერიც არასწორი იყო.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2002 წლიდან სადავო ბინის მესაკუთრეა ი. ც-მე, მას მითითებული უძრავი ნივთი არ გაუსხვისებია და ამ მიზნით რაიმე მინდობილობა სხვა პირის სახელზე არ გაუცია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ 2008 წლის 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით დ. მ-იამ ი. ც-მის კუთვნილი სადავო უძრავი ქონება გაასხვისა, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა და სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით. მითითებული ნორმის თანახმად, თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. კანონის დასახელებული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ სხვა პირის სახელით დადებული გარიგება ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირი მას დაეთანხმება. როგორც ზემოთ აღნიშნა, განსახილველ შემთხვევაში ი. ც-მეს კუთვნილი უძრავი ნივთის დ. მ-ის მიერ გასხვისებაზე თანხმობა არ გამოუთქვამს.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომ-იც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. მითითებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი გარიგების დადებისათვის ადგენს გარკვეულ წესებს, რომელთა დარღვევას შედეგად გარიგების ბათილად ცნობა მოჰყვება. დ.მ-იასა და ნ. მ-მეს შორის სადავო ბინაზე 2008 წლის 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა კანონის ზემოხსენებული დანაწესი დაარღვიეს, კერძოდ, გარიგება დაიდო არაუფლებამოსილი პირის მიერ, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება ი. ც-მის მიერ ნ. მ-მისათვის სადავო სახლის გასხვისების მინდობილობის გაცემის მნიშვნელობაზე, ვინაიდან ასეთი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ არ არსებობს კანონის მითითებული დარღვევა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული

გადაწყვეტილების გაუქმების ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ხანდაზმულობა

მოვალის მიერ ვალის აღიარება; სახელმწიფოებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა განჩინება

#ას-654-876-08

18 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 8 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრმა მოპასუხე ა. ა-ანის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის აბონემენტების გავრცელების შედეგად წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურების დაკისრება 1353.48 ლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1997 წლის 1 ოქტომბერს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრსა და ამავე თეატრის მსახიობ ა. ა-ანს შორის დაიდო ხელშეკრულება აბონემენტების გავრცელების შესახებ, რომლის თანახმად, მოპასუხეს სკოლებში უნდა გაეცემოდა აბონემენტები, ხოლო თეატრი ვალდებული იყო, ნაღდი ანგარიშსწორებით შემსრულებლისათვის გადაეხადა სამუშაოს გასამრჯელო - შემოტანილი თანხის 10%.

მთლიანობაში მოპასუხემ გაიტანა 3107 ცალი აბონემენტი, რომლის ღირებულება შეადგენდა 15.224,30 ლარს. აღნიშნული თანხიდან მან შეიტანა 13.870,80 ლარი, ხოლო შესატანი დარჩა 1353,48 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, ზემოაღნიშნული დავალიანების თაობაზე ა. ა-ანი არაერთხელ იქნა გაფრთხილებული. 2005 წლის 4 ოქტომბერს მოპასუხემ ახსნა-განმარტებითი ბარათი წარადგინა და დავალიანება აღიარა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

მოპასუხე ა. ა-ანმა სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო. ამასთან, მას არანაირი ვალი არ უღიარებია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების დარღვევაზე იმსჯელებდა, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მოპასუხის მიმართ ნაკისრი ვალდებულება საერთოდ არ შესრულებულა გაწეული სამუშაოს ანაზღაურების თვალსაზრისით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ 1997 წლის 1 ოქტომბერს მხარეთა შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ქ. ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დირექციამ ა. ა-ანს დაავალა აბონემენტების გავრცელება სკოლებში. ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, შემკვეთი იღებდა ვალდებულებას შემსრულებლისათვის გადაეხადა შესრულებული სამუშაოს გასამრჯელო - შეტანილი თანხის 10%. მხარეებმა სხდომაზე დაადასტურეს, რომ მათ შორის საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ გასულია თითქმის 10 წელი.

ის გარემოება, რომ აბონემენტების ღირებულება სრულად არ იყო დაფარული, მოსარჩელისათვის საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე იყო ცნობილი. შესაბამისად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად საქალაქო სასამართლომ მითითებული დრო მიიჩნია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძვლის (ვალის აღიარება) არსებობის შესახებ, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში მოპასუხე აღწერდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობას და მოთხოვნის არსებობის შესახებ არ მიუთითებდა.

საქალაქო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტი არასწორად მიიჩნევდა სასამართლოს მსჯელობას 2005 წლის 4 ოქტომბრით დათარიღებულ ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით, რამაც, მისი მოსაზრებით, საქმეზე ხანდაზმულობის საკითხის არასწორად შეფასება განაპირობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით ქუთაისის თოჯინების თეატრის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, ქუთაისის თოჯინების თეატრის სარჩელი დაკმაყოფილდა - ა. ა-ანს ქუთაისის თოჯინების თეატრის სასარგებლოდ დაეკისრა 1353.48 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას მოცემული დავის ხანდაზმულად მიჩნევის თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.

რამდენადაც თოჯინების თეატრსა და ა. ა-ანს შორის დადებული ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების დრო არ განსაზღვრულა, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულად არ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ა. ა-ანის ახსნა-განმარტებითი ბარათი მხარეთა შორის ვალდებულების არსებობას ადასტურებდა. ამასთან, მას აბონემენტების ნაწილი თანხა თეატრისათვის გადახდილი ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის მიხედვით ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-ანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს. მართალია, კანონის დასახელებულ ნორმაში საუბარია კრედიტორის უფლებამოსილებაზე ვალდებულების შესრულების ნებისმიერ დროს მოთხოვნასთან მიმართებით, მაგრამ, კასატორის აზრით, ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ნებისმიერ დროს მოთხოვნის შესაძლებლობა მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში მოიაზრება. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სახელშეკრულებო მოთხოვნას, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მასზე უნდა გავრცელდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რომლის ათვლაც ამავე კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად უნდა მოხდეს მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.

კასატორის მოსაზრებით, სადავო შემთხვევაში მოთხოვნის წარმოშობის მომენტს წარმოადგენს მხარეთა შორის საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტის დრო - 1998 წელი, ვინაიდან დადგენილია, რომ ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა 1998 წელს. შესაბამისად, მოპასუხისათვის საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე ცნობილი იყო უფლების დარღვევის ფაქტი, კერძოდ, ის, რომ აბონემენტთა ღირებულება სრულად არ იყო დაფარული.

გარდა ამისა, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დავის გადაწყვეტისას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მის მიერ ახსნა-განმარტებითი ბარათით ვალდებულების არსებობის დადასტურების თაობაზე. აღნიშნულ ბარათში ა. ა-ანს ვალის არსებობა კი არ უღიარებია, არამედ მოაპასუხესთან სადავო ხელშეკრულების საფუძველზე წარმომოხილი ურთიერთობები აღწერა. ამასთან, მას ვალდებულების არსებობაც რომ ეღიარებინა, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლიდან გამომდინარე, მაინც დარჩებოდა ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, რამდენადაც მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი დადგენისა და სამართლებრივი შეფასების გარეშე.

საქმეზე დადგენილია, რომ 1997 წლის 1 ოქტომბერს ქ. ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დირექციასა და ა. ა-ანს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ა. ა-ანმა იკისრა აბონემენტების გავრცელება სკოლებში გარკვეული გასამრჯელოს გადახდის პირობით. მთლიანობაში ა. ა-ანმა გაიტანა 15.224,30 ლარის ღირებულების 3107 აბონემენტი. აღნიშნული თანხიდან მან შეიტანა 13.870,80 ლარი, ხოლო შესატანი დარჩა 1353,48 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს. ხანდაზმულობის ვადის ათვისების მომენტად სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნევა მოთხოვნის წარმომოხილის დრო. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი ისე მიიჩნია ხანდაზმულად, რომ არ განსაზღვრა, თუ როდის წარმოეშვა თეატრს დარჩენილი თანხის - 1353,48 ლარის მოთხოვნა ა. ა-ანის მიმართ. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის შეფარდებას, რომლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს. აღნიშნული ნორმის გამოყენება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია, ვალდებულების შესრულების დრო ირკვეოდა თუ არა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინილად ცნო, რომ მხარეთა შორის საქმიანი ურთიერთობა შეწყდა 1998 წელს, მხარეებმა დაადასტურეს, რომ მათ შორის საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ გასულია თითქმის 10 წელი. სააპელაციო სასამართლომ არ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მხარეთა შორის საქმიანი ურთიერთობების 1998 წელს შეწყვეტის შესახებ, არ იმსჯელა, თუკი მხარეთა შორის საქმიანი ურთიერთობა 1998 წელს შეწყდა, ასეთ შემთხვევაში თოჯინების თეატრს, გონივრულად, უნდა ევარაუდა თუ არა, რომ სადავო თანხის ნაწილში ხელშეკრულება არ შესრულდა. სააპელაციო სასამართლომ არც ის გარემოება დაადგინა, თუ როდის მოითხოვა თავდაპირველად ქ. ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრმა ამ ვალდებულების შესრულება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ შემთხვევაში სადავო არა მთლიანი ვალდებულების, არამედ მისი დარჩენილი ნაწილის შესრულება, ხოლო სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია, თუ როდის შესრულდა ვალდებულების ნაწილი და აშკარა იყო თუ არა, რომ სადავო თანხის ნაწილში ვალდებულება არ შესრულდა. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რა ვადის აბონემენტები ჰქონდა გასავრცელებელი მოცემულ შემთხვევაში მოაპასუხეს, როდის ამოიწურებოდა მათი გამოყენების და გავრცელების ვადა, როდის შეიტყო ან უნდა შეეტყო თეატრს აბონემენტების გავრცელების ვადის ამოწურვის შესახებ და როდიდან წარმოეშვა მას დარჩენილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს ა. ა-ანის 2005 წლის 4 ოქტომბრის ახსნა-განმარტების შესახებ და შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა იგი სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ვალდებული პირის აღიარებას. აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სწორად უნდა შეფასდეს შემდეგი გარემოება: ახსნა-განმარტება თავისი შინაარსის გათვალისწინებით წარმოადგენს ა. ა-ანის მიერ ვალდებულების აღიარებას თუ ფაქტის აღიარებას. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის როგორც 137-ე, ისე 144.3 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებას, სადაც მოვალე გამოხატავს ნებას, იძლევა დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე და არა ფაქტის აღიარებას, როცა მოვალე ახდენს მარტოოდენ ვალდებულების ფაქტობრივი გარემოებების კონსტატაციას.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობა

განჩინება

#ას-333-653-09 14 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „პროკრედიტ ბანკმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. გ-მის მიმართ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, მოითხოვა აწ გარდაცვლილი ნ. დ-მის უფლებამონაცვლედ მოპასუხე ი. გ-მის ცნობა, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების - 3630,17 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მისაღებად გადახდილი მოსაკრებლის - 15 ლარის, წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 156,06 ლარის ანაზღაურება საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული და იპოთეკით დატვირთული, ქ. ბათუმში, ... ქ. #107-ში მდებარე ქონებისა და მოპასუხის სხვა ქონების რეალიზაციის გზით, შემდეგი საფუძვლებით: 2002 წლის 20 ნოემბერს მოპასუხის დედას - ნ. დ-მესა და სს „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკს“ შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ბანკმა ნ. დ-მეს ასესხა 3000 აშშ დილარი. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ნ. დ-მის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ... ქ.#107-ში მდებარე უძრავი ქონება, ხოლო ნ. დ-მის კუთვნილ მოძრავ ნივთებსა და ძვირფასეულობაზე გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება. 2003 წლის 23 დეკემბერს ნ. დ-მის სიძემ, მოპასუხე ი. გ-მის მეუღლე ნ. კ-მემ განცხადებით მიმართა ბანკს ნ. დ-მის გარდაცვალების თაობაზე. განმცხადებელმა მოითხოვა კრედიტის დასაფარავად დაგირავებული ნივთების რეალიზაცია და დადო პირობა, გარდაცვლილის მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებისთანავე კრედიტის დარჩენილი ნაწილის დაფარვის შესახებ. ბანკის მიერ იპოთეკით დატვირთულ ბინაში ცხოვრობს ნ. დ-მის შვილი - ი. გ-მე, რომელსაც სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვს. მოპასუხემ აღიარა გარდაცვლილი დედის ვალდებულება ბანკის მიმართ და თანხმობა განუცხადა დაგირავებული ძვირფასეულობისა და სხვა მოძრავი ნივთების გასხვისებაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. სადავო გარიგების გაფორმებისას ბანკმა დაარღვია თავისი პირობა და სესხი გაცემის დათქმულ დღეს თანხა, დღის პირველი ნახევრის ნაცვლად, გასცა დღის მეორე ნახევარში. აწ გარდაცვლილი ნ. დ-მე ეწეოდა სავაჭრო საქმიანობას, რადროსაც უზდებოდა უცხოეთიდან საქონლის ჩამოტანა. ბანკის მიერ კრედიტის დროულად გაუცემლობის გამო მან ვერ შესძლო დანიშნულ დროს გამგზავრება, ინერვიულა და ინფარქტით გარდაიცვალა. ნ. დ-მის დანატოვარი საქონლიდან დაიფარა მისი ვალები, მათ შორის, მოსარჩელის წარმომადგენლებს ნახევარ ფასში გადაეცათ საქონელი კრედიტის გასაქვითად, რის შემდეგ ბანკიდან მოპასუხეს არავინ შეხმიანებია. დაუსაბუთებელია მოსარჩელის არგუმენტი, რომ ი. გ-მემ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით დადგენილი წესით მიიღო სამკვიდრო, ვინაიდან იპოთეკით დატვირთული სადავო სახლი მოპასუხის მამის გარდაცვალების შემდეგ თანაბარწილად მემკვიდრეობით მიიღეს როგორც ნ. დ-მემ, ისე ი. გ-მემ. ამდენად, მოპასუხე ფლობს და ცხოვრობს სადავო სახლის მამის დანატოვარ ნაწილში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვ-

ლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2002 წლის 20 ნოემბერს ნ. დ-მ სს „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკისაგან“ ისესხა 3000 აშშ დოლარი 17 თვის ვადით, 2004 წლის 20 აპრილამდე, თვეში 3%-ის დარიცხვით. ხელშეკრულების 5.1 პუნქტის შესაბამისად, 2002 წლის 11 ნოემბერს სესხის უზრუნველსაყოფად გაფორმდა ცვლილებები იპოთეკის ხელშეკრულებაში, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა ნ. დ-მის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ... ქ. #107-ში მდებარე უძრავი ქონება, ხოლო მომრავ ნივთებზე გაფორმდა გირავნობის #3111 და #3111\1 ხელშეკრულებები, დაგირავდა ნ. დ-მის საკუთრებაში არსებული ოქროს სამკაული, სამინებელი, ვიდეომაგნიტოფონი „ფუნაი“ და 7000 აშშ დოლარის თვითღირებულების სავაჭრო საქონელი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით სს „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა“ შეიცვალა სახელწოდება სს „პროკრედიტ ბანკით“. 2002 წლის 4 დეკემბერს ნ. დ-მ გარდაიცვალა. საქმეზე დართული, ნ. დ-მის ანგარიშსწორების ამონაწერითა და მოსარჩელის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ 2002 წლის 20 ნოემბრის #3111 საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოშობილი ნ. დ-მის დავალიანებიდან დაფარულია მხოლოდ 476,47 აშშ დოლარი, მათ შორის, ძირითადი თანხა - 279,31 აშშ დოლარი, ჯარიმა - 18,47 აშშ დოლარი და პროცენტი - 178,69 აშშ დოლარი. ნ. დ-მის ანგარიშსწორების ამონაწერით დასტურდება, რომ ნ. დ-მის დავალიანების დასაფარავად თანხა უკანასკნელად შეტანილ იქნა 2003 წლის 16 იანვარს, რის შემდეგაც მოსარჩელეს მოპასუხისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე აღარაფერი მოუთხოვია. პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ი. გ-მ ნ. დ-მის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ... ქ. #107-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის შესაბამისად, მიიღო ფაქტობრივი ფლობით. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის პირველი პუნქტით, 1487-ე მუხლით და დაადგინა, რომ ნ. დ-მის მემკვიდრე ი. გ-მ აცნობა კრედიტორ სს „პროკრედიტ ბანკს“ მოვალის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შესახებ. მას შემდეგ, რაც სს „პროკრედიტ ბანკმა“ შეიტყო სამკვიდროს გახსნის შესახებ, ექვსი თვის ვადაში წარუდგინა მოთხოვნა მოვალე ნ. დ-მის მემკვიდრე ი. გ-მეს, რომელმაც დაგირავებული ნივთების რეალიზაციით ნაწილობრივ დაფარა ნ. დ-მის კრედიტი. პალატის მოსაზრებით, აღნიშნული ქმედების განხორციელებისას კრედიტორს არ გაუშვია მოთხოვნათა წარდგენის ვადა, შესაბამისად, არასწორია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია, რომ აღნიშნული შესრულებით კრედიტორმა ვალდებულება ჩათვალა დასრულებულად, რადგანაც შემდეგში სარჩელის აღძვრის მომენტამდე მოპასუხეების მიმართ მოთხოვნა აღარ წარუდგენია. პალატამ ჩათვალა, რომ სს „პროკრედიტ ბანკმა“ გირავნობის ხელშეკრულებით დაგირავებული ნივთების რეალიზაციის შემდეგ, 2003 წლის 16 იანვრამდე 2008 წლის 7 ნოემბრამდე, სარჩელის შეტანამდე არ წარუდგინა რა ნ. დ-მის მემკვიდრეს ვალის დაფარვის მოთხოვნა, ამით გაუშვა ხანდაზმულობის ვადა. სამოქალაქო კოდექსის 1490-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2002 წლის 20 ნოემბრის #3111 საკრედიტო ხელშეკრულების შესრულების ვადა იწურებოდა 2004 წლის 20 აპრილს, შესაბამისად, რადგანაც ი. გ-მ ამ ვადაში არ შეასრულა ვალდებულება, სს „პროკრედიტ ბანკმა“ ამ დროიდან შეიტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ, თუმცა მან სასამართლოს სარჩელით მიმართა მხოლოდ 2008 წლის 7 ნოემბერს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით ხანდაზმულობის ვადის დარღვევით. სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იპოთეკა, როგორც აქცესორული უფლება, არ შეიძლება არსებობდეს ძირითადი მოთხოვნის გარეშე, ამდენად, მართალია, იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქონება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უძრავ ნივთებთან დაკავშირებით სახელშეკრულებო მოთხოვნის ექვსწლიანი ვადა, რადგანაც იპოთეკა არის დამატებითი მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია და არ არსებობს ძირითადი მოთხოვნის გარეშე. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლით და ჩათვალა, რომ სს „პროკრედიტ ბანკს“ განსახილველ დავაში ხანდაზმულობის ვადის დენა დაეწყო მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან - 2004 წლის 20 აპრილიდან, თუმცა კრედიტორ სს „პროკრედიტ ბანკს“ 2008 წლის 7 ნოემბრამდე ვალდებული პირისათვის მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომის მიუხედავად, ანუ სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიან ვადაში, შესრულება არ მოუთხოვია, რითაც გაუშვა კანონით დადგენილი მოთხოვნის ვადა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს „პროკრედიტ ბანკმა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე, მხარის მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხების მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1490-ე და 128-ე მუხლები, რომლებზეც მხარე სააპელაციო საჩივარში უთითებდა და მოთხოვნის აღნიშნულ საფუძველზე საერთოდ არ იმსჯელა. პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება, თუმცა მაინც ძალაში დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. პალატამ მტკიცებულად მიიღო აწ გარდაცვლილი ნ. დ-მის სიძე ნ. კ-მის განცხადება ბანკის მიმართ მოვალის გარდაცვალების შესახებ, რის მიღებაზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი განუცხადა მხარეს. პალატამ დაადგინა, რომ გარდაცვლილის მემკვიდრემ აღიარა ზემოხსენებული განცხადების შეტანის ფაქტი თავის შესაგებელში და სამოქალაქო კოდექსის 1487-ე მუხლის შესაბამისად შეატყობინა

მამკვიდრებლის კრედიტორს სამკვიდროს გახსნის თაობაზე. ამასთან, განცხადება შეიცავდა არა მარტო შეტყობინებას მოვალის გარდაცვალების შესახებ, არამედ, მოთხოვნას კრედიტის დასაფარად დაგირავებული ნივთების ერთობლივად რეალიზაციის შესახებ, ხოლო დარჩენილი ნაწილის შესრულების გადადებას სამკვიდროს კანონით დადგენილი წესით მიღებამდე. ამდენად, მითითებული განცხადება შესრულების გადავადების თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 1490-ე მუხლით გათვალისწინებულ მემკვიდრის მიმართვად უნდა შეფასდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს "პროკრედიტ ბანკის" საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება შეამოწმოს მხოლოდ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ მოტივით, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1490-ე მუხლი, რომლის მიხედვით თუ მოთხოვნა კრედიტორის მიერ მოთხოვნის შესრულების ვადამდე იყო წარდგენილი, მაშინ მემკვიდრეს უფლება აქვს გადადოს შესრულება ვადის დადგომამდე. ვადის დადგომიდან კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადის განმავლობაში.

მითითებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების ვადამდე მოვალის მიმართ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში მოვალის მემკვიდრე უფლებამოსილია, არ შეასრულოს ვალდებულება მისი შესრულების ვადის დადგომამდე, შესაბამისად, კრედიტორს მოთხოვნის უფლება წარმოეშობა შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კასატორს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ბანკსა და ნ. დ-მეს შორის დადებული 2002 წლის 20 ნოემბრის #3111 საკრედიტო ხელშეკრულების შესრულების ვადა იწურებოდა 2004 წლის 20 აპრილს, თუმცა ნ. დ-მის უფლებამონაცვლე ი. გ-მეს აღნიშნულ ვადაში სადავო ვალდებულება არ შეუსრულებია. ამ გარემოებიდან გამომდინარე, კანონიერია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ სს "პროკრედიტ ბანკმა" 2004 წლის 20 აპრილიდან შეიტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა სწორედ აღნიშნული დროიდან უნდა დაიწყოს. უდავოა ის გარემოება, რომ სს "პროკრედიტ ბანკმა" სასამართლოს სარჩელით მიმართა 2008 წლის 7 ნოემბერს, შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმულია.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსის 1490-ე მუხლის მეორე წინადადებით კანონმდებელი კრედიტორს უფლებას ანიჭებს რა, მოითხოვოს შესრულება სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადის განმავლობაში, რომელიც, ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მიხედვით 10 წელს შეადგენს, ამდენად, სს "პროკრედიტ ბანკის" სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან 10 წლით უნდა განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. აღნიშნული კანონის დანაწესი განსაზღვრავს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადას და ამ ტიპის მოთხოვნებთან მიმართებით სპეციალურ ნორმას წარმოადგენს.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1490-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ მითითებას საერთო ვადაზე, აღნიშნული არ შეიძლება განიმარტოს იმდაგვარად, რომ კრედიტორს უფლება აქვს, მოვალის უფლებამონაცვლეს, მამკვიდრებლისაგან განსხვავებით, ხანდაზმულობის საერთო ვადის განმავლობაში მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დათქმა უნდა განიმარტოს გავრცობითად, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე - მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. აღნიშნული ნორმის შინაარსი ერთმნიშვნელოვნად ადგენს მემკვიდრის უფლება-მოვალეობის ფარგლებს და იმპერატიულად აწესებს, რომ მემკვიდრის უფლებები და მოვალეობები არ შეიძლება გასცილდეს მამკვიდრებლის უფლებებსა და მოვალეობებს. სამემკვიდრეო სამართალი არ იცნობს ნორმას, რომელიც აუარესებს მემკვიდრის მდგომარეობას სამკვიდრო ქონებასთან მიმართებით და იმაზე მეტს ავალდებულებს, რაც მამკვიდრებელს გააჩნდა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სს "პროკრედიტ ბანკსა" და ნ. დ-მეს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მოქმედებდა რა სასარჩელო ხანდაზმულობის სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის სპეციალურად დადგენილი სამწლიანი ვადა, ი. გ-მესთან მიმართებითაც იგივე მოთხოვნები უნდა გავრცელდეს.

აქვე საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში კასატორი წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, რომელსაც, თავისი იურიდიული სტატუსიდან გამომდინარე, უფრო მეტი ყურადღება მოეთხოვება, რადგან დარღვეული უფლების დასაცავად ხანგრძლივი დროის მანძილზე მოთხოვნის წარუდგენლობა არის ვარაუდი იმისა, რომ უფლებადარღვეული პირი არ არის დაინტერესებული თავისი უფლების განხორციელებით ან არ არის დარწმუნებული მოთხოვნის საფუძვლიანობაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებულ დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას არ წარმოადგენს კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიღო მტკიცებულებად ნ. დ-მის სიძის - ნ. კ-მის განცხადება სს "პროკრედიტ ბანკის" მიმართ, რომლითაც მხარემ არა მარტო შეატყობინა კრედიტორს მოვალის გარდაცვალების შესახებ, არამედ, ასევე, ვალდებულება იკისრა, სესხის დარჩენილი ნაწილი დაებრუნებინა კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს მიღების შემდეგ. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნ. კ-მის ხსენებული განცხადებით არ მტკიცდება კასატორის მიერ მითითებული გარემოება მოვალის მემკვიდრის მიერ ვალდებულების შესრულების გადადების თაობაზე, კერძოდ, განმცხადებელი სადავოდ ხდის ნ. დ-მესა და ბანკს შორის დადებული #3111 ხელშეკრულებით დაგირავებული ნივთების ნაწილით სესხის თანხის დაფარვას, რადგან უთითებს, რომ აღნიშნული ნივთები გარდაცვლილ ნ. დ-მეს არ ეკუთვნოდა. ნ. კ-მე მიუთითებს, თუ სად იმყოფება ნ. დ-მის დანატოვარი ნივთები, რომელთა რეალიზების გზითაც ბანკს შეუძლია თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს და აღნიშნავს, რომ ბანკის მხრიდან რაიმე პრეტენზიის არსებობისას ამ უკანასკნელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ნ. დ-მის კანონიერი მემკვიდრის დადგენის შემდეგ. ამდენად, დასახელებული მტკიცებულების მიღება-არმიღების საკითხს არსებულ დავასთან მიმართებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან მითითებული განცხადება არ შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მოცემული საქმის სამართლებრივ შედეგზე - სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევაზე არსებითად იმოქმედებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სს "პროკრედიტ ბანკის" საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს "პროკრედიტ ბანკის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სახელშეკრულებო მოთხოვნათა
ხანდაზმულობის ვადა**

განჩინება

#ას-1164-1309-08

12 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ზ-ძემ, ლ. და ი. ბ-ავებმა 2007 წლის 10 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართეს სარჩელით აჭარის ა\რ საბინაო საკითხთა დეპარტამენტის, ქ. ბათუმის ნოტარიუს ლ. ჭ-იას, დ. დ-ძის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვეს 2002 წლის 20 დეკემბრის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში შესწორების შეტანა.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ნ. ზ-ძე, ლ. და ი. ბ-ავები ცხოვრობდნენ ქ. ბათუმში, ... ქ. #8-ში და ფლობდნენ ლიტ. „ა-ს“ მეორე სართულზე #5, #14 ოთახებს დამხმარე #15 ოთახთან ერთად. პრივატიზებამდე მათი ბინა იყო უფრო დიდი - 123,34 კვ.მ და იგი შედგებოდა ლიტ. „ა-ს“ პირველი სართულის #5, #10, #13, #12 და #15 ოთახებისაგან. სწორედ ეს ფართი იქნა მიკუთვნებული 1994 წლის 11 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულებით და ასევე აღირიცხა მათ საკუთრებად ტექსტის ბიუროში. ბინის პრივატიზება მოხდა აწ გარდაცვლილი კ. ბ-ავას სახელზე, ხოლო მისი მეუღლე ნ. ზ-ძე და შვილები: ლ. და ი. ბ-ავები, რომლებიც კ. ბ-ავასთან ერთად ცხოვრობდნენ, გახდნენ ამ ფართის თანამესაკუთრები.

1999 წლის 8 მაისს ლიტ „თ-ს“ მეორე სართულის #4 და #12 ოთახები, სულ 30,53 კვ.მ, სანოტარო წესით მიჰყიდეს მოქალაქე მ. ლ-ძეს, რის შემდეგაც მათ განკარგულებაში დარჩა მეორე სართულის #5, #14, #15 და პირველი სართულის #5, #10, #13, #12 ოთახები, ხოლო 2002 წლის 20 დეკემბერს ლიტ „ა-ს“ პირველ სართულზე განთავსებული ოთახები მიჰყიდეს აჭარის ა\რ საბინაო საკითხთა დეპარტამენტს, რომელმაც იგი იმავე წლის 25 დეკემბერს მიჰყიდა მოპასუხე დ. დ-ძეს. აღნიშნულის შედეგად მოსარჩელებს დარჩათ ლიტ „ა-ს“ მეორე სართულის #5, #14, #15 ოთახები, სადაც ცხოვრობდნენ. დ. დ-ძისგან გაიგეს, რომ მეორე სართულის #5, #14, #15 ოთახები საჯარო რეესტრში მათ საკუთრებად არ ირიცხებოდა. ამ უკანასკნელთა მიერ მოძიებულ იქნა ბინების გაყიდვასთან დაკავშირებით მასალები, საიდანაც გაირკვა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში იყო შეცდომა.

პრივატიზაციის დროს მოსარჩელების საკუთრებად აღირიცხა ლიტ „ა-ს“ პირველ და მეორე სართულზე განთავსებული ოთახები, სულ 123,34 კვ.მ. 2002 წლის 20 დეკემბრის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდო მოპასუხე საბინაო დეპარტამენტთან, გაიპარა შეცდომა, კერძოდ, 2002 წელს საბინაო დეპარტამენტს მიეყიდა ლიტ. „ა-ს“ პირველ სართულზე განთავსებული ორი - #5 და #14 ოთახები, თავისი #15 დამხმარე ფართით, რაც შეადგენს 46,69 კვ.მ-ს. ხელშეკრულებაში კი მთლიანი ფართის სახით შეცდომით მითითებულ იქნა 92,81 კვ.მ-ზე, რის შემდეგაც ლიტ „ა-ს“ მეორე სართულზე განთავსებულ იქნა 46,30-ის კვ.მ #5, #14, #15 ოთახები, რომლებიც არასწორად მოექცა მოპასუხე საბინაო დეპარტამენტის საკუთრებაში, ხოლო ამ უკანასკნელის წყალობით კი მოპასუხე დ. დ-ძის საკუთრებაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ზ-ძეს, ლ. და ი. ბ-ავებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ლ. და ი. ბ-ავებმა და ნ. ზ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ზ-ძის, ლ. და ი. ბ-ავების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: კ. ბ-ავასა და აჭარის საბინაო საკითხთა დეპარტამენტს შორის 2002 წლის 20 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება ნასყიდობის საგნის - 46.12 კვ.მ-ის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი. მოთხოვნის სხვა ნაწილში მოსარჩელებს უარი ეთქვათ უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ლ. და ი. ბ-ავებმა, ნ. ზ-ძემ. სააპელაციო საჩივარი ასევე შეიტანა აჭარის ა/რ მთავრობამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ზ-ძის, ლ. და ი. ბ-ავების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; აჭარის ა/რ მთავრობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება კ. ბ-ავასა და აჭარის საბინაო საკითხთა დეპარტამენტს შორის 2002 წლის 20 დეკემბრის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების, ნასყიდობის საგნის 46.12 კვ.მ-ის ბათილად ცნობის დაკმაყოფილების ნაწილში; ნ. ზ-ძის, ლ. და ი. ბ-ავების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ნ. ზ-ძემ, ლ. და ი. ბ-ავებმა. კასატორებმა მიუთითეს, რომ მათ მიერ მტკიცებულებები წარდგენილ იქნა სასამართლოში არა იმის დასადასტურებლად, რომ დადგენილად მიჩნეულიყო ან კიდევ უარყოფილიყო უძრავ ნივთზე ნასყიდობის ან საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი, არამედ წარადგინეს იმის დასადასტურებლად, რომ კ. ბ-ავას ნება არასწორად იქნა ასახული ხელშეკრულებაში. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებათა სახით მხოლოდ საჯარო წესით დამოწმებული დოკუმენტი მიიჩნია დასაშვებად, და მტკიცებულებიდან ამგვარი დამოწმების გარეშე არსებული დოკუმენტის უპირობო ამორიცხვა დაადგინა. სააპელაციო პალატა უარყოფს მათ მიერ წარდგენილ ე.წ. ქსეროასლებს, არ ადგენს, რომელი შინაარსი არ შეესაბამება მასში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას. კ. ბ-ავამ გაასხვისა მხოლოდ პირველი

სართული და მეორე სართულის ფართის შეტანა ხელშეკრულებაში იყო შეცდომა. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ 1994 წლის 19 მაისს კ. ბ-ავამ პრივატიზაციის გზით შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. #8-ში, საერთო ფართით 123,34 კვ.მ. 1999 წლის 8 ივლისს კ. ბ-ავამ მ. ლ-ძეზე გაასხვისა ორი ოთახი - 18,49 კვ.მ და 12 კვ.მ. 2002 წლის 20 დეკემბერს კ. ბ-ავამ აჭარის ა/რ საბინაო საკითხთა დეპარტამენტთან დადო ხელშეკრულება და მასზე გაასხვისა იგივე საცხოვრებელი სახლის 3/64, რაც შეადგენს 92,81 კვ.მ-ს. აჭარის ა/რ საბინაო საკითხთა დეპარტამენტმა მის მიერ შეძენილი უძრავი ქონება 2002 წლის 25 დეკემბრის ხელშეკრულებით მთლ.დ გაასხვისა დ. დ-ძეზე, რომელმაც შეძენილი ქონება დაარეგისტრირა თავის საკუთრებად.

სააპელაციო სასამართლომ არ ჩათვალა უტყუარ მტკიცებულებად მოწმეების: გ. გ-ძისა და მ. ო-ოვის ჩვენებები, ასევე, ქ. ბათუმის საბინაო სერვისის 2002 წლის 20 დეკემბრის #39 ბრძანება, სადაც მითითებულია, რომ უნდა შეძენილიყო ქ. ბათუმში, ... ქ. #8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის ოთახები და 2002 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კ. ბ-ავა ყიდდა ... ქ. #8-ში მდებარე ბინის პირველ სართულს. ამ მტკიცებულებების არ გაზიარების საფუძველი გახდა ის, რომ ისინი არ არის დამოწმებული სანოტარო ფორმით და წარმოდგენილია ქსეროასლების სახით, ამასთან, #39 ბრძანებასა და ხელშეკრულებაში მითითებულია ... ქ. #8-ში მდებარე ბინის პირველ სართული, მაგრამ კონკრეტული ფართის რაოდენობა დაზუსტებული არ არის.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა სანოტარო წესით დამოწმებულ, 2002 წლის 20 დეკემბრის და 2002 წლის 25 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებებს.

კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. განსახილველი ნორმის გათვალისწინებით, გარიგებაში გამოთქმული ნება შეიძლება მოითხოვდეს მისი შენაარსის, გარიგების მონაწილეთა ნამდვილი ნების დადგენას. იმ შემთხვევაში, თუ გარიგების მეორე მხარის მიერ არასწორად ხდება ნების შენაარსის გაგება, მაშინ ნების გამოვლენას შეიძლება მოჰყვეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად, არსებით შეცდომად ითვლება, როცა პირი ცდება იმ გარიგების შენაარსში, რომლის დადებაც მას სურდა.

განსახილველი ნორმების თანახმად, გარიგების შეცდომით დადების ფაქტი შეიძლება დადასტურდეს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებით, მიუხედავად იმისა, მოითხოვდა თუ არა შეცდომით დადებული გარიგება სანოტარო ფორმის დაცვას.

გარიგების შეცდომით დადების ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელებმა წარმოადგინეს ზემოაღნიშნული მტკიცებულებები ქსეროასლების სახით, რაც მტკიცებულებად მიიღო პირველ ინსტანციის სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა თუ რამდენად დასტურდება მოცემული მტკიცებულებებით შეცდომის საფუძველი კ. ბ-ავას მიერ ნოტარიული წესით დამოწმებულ ხელშეკრულებაში. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს საქმეში არსებულ მოწმეთა ჩვენებებს, რაც სააპელაციო სასამართლომ დატოვა შეფასების გარეშე. აღნიშნული მტკიცებულებები, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, უნდა შეფასებულ იქნეს ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულებებთან ერთად, რომლებშიც მითითებულია, რომ გაიყიდა 92,81 კვ.მ. ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა. იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ კ. ბ-ავასათვის ცნობილი იყო იმ გასხისებული 92,81 კვ.მ-ის თაობაზე, მისთვის, ასევე, ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ მისი საცხოვრებელი სახლის ორი ოთახი არ წარმოადგენდა 92,81კვ.მ-ს. ხოლო თუ მივიჩნევთ, რომ დ. დ-ძემ ნასყიდობის ხელშეკრულება დადო არა პირველ სართულზე, არამედ 92,81კვ.მ-ზე, გამოუკვლევი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ 2007 წლამდე დ. დ-ძეს მოსარჩელებისადმი რატომ არ გააჩნდა, თავის ფართთან დაკავშირებული პრეტენზიები, რაც ასევე უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო სასამართლომ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის განსაზღვრისათვის, კონკრეტული დავის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკმარისი არ არის მხოლოდ იმ ფაქტზე მითითება, რომ კ. ბ-ავას 2002 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულება ჩაჰბარდა მისი დადების დღეს და ამდენად, ამ შეცდომის შესახებ მისთვის ცნობილი იყო. მოთხოვნის ხანდაზმულობის ფაქტის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა მტკიცებულება, რომელიც წარმოდგენილია საქმეში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. განსახილველი ნორმის თანახმად, ყურადღება უნდა მიექცეოდნენ ორ ელემენტს, რომლებსაც უკავშირდება მოთხოვნის წარმოშობის დრო: პირმა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ და/ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. პირველ შემთხვევაში არსებობს ფაქტები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს მისი უფლების დარღვევის ცოდნაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში არ არსებობს ის ფაქტები, რომლებიც პირდაპირ უთითებს მისი უფლების დარღვევის შესახებ ცოდნაზე, მაგრამ არსებობს გარემოებები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, მაგრამ, თავისი დაუდევრობის გამო ვერ შეიტყო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი ელემენტის არსებობა (როდესაც არსებობს ფაქტები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს მისი უფლების დარღვევის ცოდნაზე) გამორიცხავს მეორე ელემენტზე აპელირების გაკეთების საშუალებას (უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ).

ის ფაქტი, რომ კ. ბ-ავას 2002 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულება ჩაჰბარდა დადების დღეს, შეიძლება მიუთითებდეს არა იმაზე, რომ მისთვის ცნობილი იყო თავისი უფლების დარღვევაზე, არამედ იმაზე, რომ მას უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. მაგრამ აღნიშნული შეიძლება დავასკვნათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამ ფაქტის გამომრიცხავი გარემოებები.

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალებთან ერთობლიობაში უნდა შეაფასოს მოწმეების: გ. გ-მისა და მ. ო-ოვის ჩვენებები, ასევე, ქ. ბათუმის საბინაო სერვისის 2002 წლის 20 დეკემბრის #39 ბრძანება, სადაც მითითებულია, რომ უნდა შეძენილიყო ქ. ბათუმში, ... ქ. #8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის ოთახები და 2002 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კ. ბ-ავა ყიდდა ... ქ. #8-ში მდებარე ბინის პირველ სართულს. დასტურდება თუ არა ხელშეკრულებაში მითითებული თანხის ნაწილის კ. ბ-ავასათვის გადახდის ფაქტი საქმეში წარმოდგენილი სალაროს გასავლის ორდერით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს შეცდომას გარიგებაში, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, აღნიშნული გარემოებები ხომ არ მიუთითებს კ. ბ-ავას კონტრაქტისადმი ნდობის მაღალ ალბათობაზე, რამაც განაპირობა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების გადაუმოწმებლობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ გარემოებების სამართლებრივი შეფასებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ მოსარჩელები 2007 წლამდე აგრძელებდნენ ცხოვრებას სადავო ბინაში. იმ შემთხვევაში, თუ კ. ბ-ავასათვის სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების დადების დღეს ცნობილი უნდა გამხდარიყო დაშვებული შეცდომის თაობაზე, გასარკვევია, თუ რამ განაპირობა მოსარჩელების მიერ 2007 წელს საჯარო რეესტრისადმი მიმართვის აუცილებლობა და 2007 წლამდე სადავო ბინაში მათი ცხოვრება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ზ-მის, ლ. ბ-ავასა და ი. ბ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადა

განჩინება

ნას-224-550-09

3 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი)
რ. ნადირიანი

დავის საგანი: სარჩოს აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს "საქართველოს მინერალური წყლების ბორჯომის" №2 ჩამოსახმელი ქარხნის" წინააღმდეგ სარჩოს აღდგენის შესახებ. მან მიუთითა, რომ 1980 წლის 28 აგვისტოს მოპასუხე ორგანიზაციაში, ბოთლის ეტიკეტის მანქანაზე მუშაობის დროს მიიღო საწარმოო ტრავმა, რის შედეგად დაუდგინდა შრომის უნარის დაქვეითება 20%-ით უვადოდ. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ 1980 წლის 29 აგვისტოს აქტი, საექსპერტო კომისიის შრომითი ექსპერტიზის 1980 წლის 16 ნოემბრის #15\1 და 1990 წლის 11 აპრილის აქტები, აგრეთვე, მოპასუხე ორგანიზაციის 1985 წლის 3 ოქტომბრის #339 ბრძანება, რომლის საფუძველზეც დაენიშნა პენსია და იღებდა 2002 წლის დეკემბრამდე. მოსარჩელის მითითებით, 2002 წლის აპრილში მოუწია საბერძნეთში წასვლა, საიდანაც დაბრუნდა 2007 წლის ივლისში, რის შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხემ 2002 წლის 11 ნოემბრის ბრძანებით შეუწყვიტა სარჩოს დარიცხვა იმ საფუძველზე, რომ, თითქოს მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება გამოწვეული იყო მისივე გაუფრთხილებლობით.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით მ. გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. გ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მ. გ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სს "საქართველოს მინერალური წყლების" №2 ჩამოსახმელი ქარხნის" დირექტორის 2002 წლის 11 ნოემბრის #66 ბრძანების მე-2 პუნქტი, დაევალა სს "საქართველოს მინერალური წყლების" №2 ჩამოსახმელ ქარხანას", აღუდგინოს მ. გ-მეს სარჩოს გადახდა 2005 წლის 29 მაისიდან.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ მიიჩნია, რომ სასამართლომ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს სარჩო, რომელსაც მოსარჩელე იღებდა მოპასუხე საწარმოსაგან და მას ეს უფლება არ დაუკარგავს. არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და მიიჩნია, რომ სასამართლომ ხანდაზმულობის საკითხის გამოკვლევისას არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხემ კანონისმიერი საფუძველების გარეშე შეუწყვიტა მოსარჩელეს სარჩოს გაცემა და მიიჩნია, რომ აღნიშნულის თაობაზე სს "მინერალური წყლების ბორჯომის" №2 ჩამოსახმელი ქარხნის" დირექტორის 2002 წლის 11 ნოემბრის #66 ბრძანება არის უკანონო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია ასევე, რომ "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მე-3, მე-4, მე-7 პუნქტები არ წარმოადგენენ კანონიერ საფუძველს იმისათვის, რომ საწარმომ მუშაკს შეუწყვიტოს დანიშნული სარჩო, იმდენად, რამდენადაც ის აღდგენს სარჩოს დანიშვნის საფუძველებს და არ განსაზღვრავენ დანიშნული სარჩოს შეწყვეტის პირობებს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სს "საქართველოს მინერალური წყლების" №2 ჩამოსახმელმა ქარხანამ". მან მიუთითა, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, რომელიც თითოეული მოთხოვნის მიხედვით აითვლება ცალკე, რაცმამ შემთხვევაზე არ უნდა გავრცელდეს.

2002 წლის 11 ნოემბრის #66 ბრძანება წარმოადგენდა არა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების რომელიმე შესრულებისადმი უარს ან ამ შესრულების განუხორციელებლობის დადგენილებას, არამედ - ზოგადად უარს ვალდებულების შესრულებაზე, განუსაზღვრელი და უვადო ფორმით.

კასატორის მოსაზრებით, ისეთ შემთხვევებში, როცა მოვალე პირდაპირ და არაორაზროვნად ატყობინებს კრედიტორს, რომ იგი არ აპირებს ვალდებულების არც ერთი ნაწილის შესრულებას, კრედიტორის დარღვეული უფლების აღსადგენად ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა დაიწყოს არა

ვალდებულების შესაბამისი ნაწილების შესრულების თარიღებიდან ცალ-ცალკე, არამედ ასეთი შეტყობი-
ნების მიღებისთანავე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ბრძანება უკანონოა, ვინაიდან პრეზიდენტის 1999 წლის 9
თებერვლის #48 ბრძანებულება არ ითვალისწინებს დანიშნული სარჩოს შეწყვეტის პირობებს. კასატორის
აზრით, სარჩო დაენიშნა კასატორის უფლებრივი წინამორბედის ინიციატივით, როგორც დანიშვნის
დროს, ისე დღეს მოქმედი კანონმდებლობების დარღვევით. კასატორმა თავად, საკუთარი ბრძანებით
გააუქმა სარჩო ბრძანების გამოცემის მომენტისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ
კანონი ითვალისწინებს გარკვეული პერიოდული გადასახდელის დანიშვნის წესს, აღნიშნული კანონი
პირდაპირ რომ არც ითვალისწინებდეს მისი გაუქმების წესს, ეს არ ნიშნავს, რომ ერთხელ დანიშნული
სარჩოს გაუქმება არ შეიძლება. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა პრეზიდენტის #48
ბრძანებულება და შეცდომით დაასკვნა, რომ გასაჩივრებული ბრძანება უკანონოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული
გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა
დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სადავო ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება
შემდეგი გარემოებების გარკვევას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ასრულებდა ვალდებულებას,
რომელიც მას არ ეკისრებოდა, რომლის შესახებაც მისთვის გახდა ცნობილი მოგვიანებით, მას გააჩნია
უფლება, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს პრე-
ზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული "შრომის მოვალეობის
შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის"
მე-3, მე-4, მე-6, მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულებების წარმოშობის
წინაპირობების არარსებობა, რაც გამორიცხავს პასუხისმგებლობას ამ ზიანის ანაზღაურებაზე,
დამსაქმებელს ანიჭებს უფლებას აღარ გააგრძელოს ვალდებულების შესრულება, ხოლო იმ შემთხვევაში,
თუ დამსაქმებლისათვის ცნობილი იყო ზიანის მიყენებაში თავისი ბრალის არარსებობის შესახებ და,
მიუხედავად ამისა, იკისრა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მან ეს ვალდებულება უნდა შეასრუ-
ლოს კუთლისინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის "გ"
ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად
იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ამდენად, არ
არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, საკასაციო
საჩივრისა და საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ
მხარეთა შორის დავას არ წარმოადგენს გარემოება იმის შესახებ, რომ სს "საქართველოს მინერალური
წყლების ბორჯომის #2 ჩამოსასხმელი ქარხანის" დირექტორის 2002 წლის 11 ნოემბრის #66 ბრძანებით
მოსარჩელე მ. გ-მეს შეუწყვიტა სარჩოს გაცემა იმ საფუძველით, რომ მან შრომითი დასახიჩრება მიიღო
საკუთარი გაუფრთხილებლობით. მხარეთა შორის სადავო არ არის ის ფაქტი, რომ 1985 წლის 3
ოქტომბრის #339 ბრძანებით განისაზღვრა მ. გ-მის მიერ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი და
გასაცემი სარჩოს ოდენობა, რასაც წინ უსწრებდა საექიმო ექსპერტიზის კომისიის 6/II-1985 წლის #8/3
დასკვნა და საწარმოში უბედური შემთხვევის შესახებ აქტი (29.08.80), რომელშიც დაფიქსირებულია,
რომ უბედური შემთხვევის მიზეზი გაუფრთხილებლობაა ამდენად, სარჩოს დანიშვნის დროს
კასატორისათვის (მისი წინამორბედისათვის) ცნობილი იყო ფაქტი იმის შესახებ, რომ უბედური
შემთხვევის მიზეზი გაუფრთხილებლობა იყო.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ
უბედური შემთხვევის მიზეზს წარმოადგენდა გაუფრთხილებლობა, მოპასუხე ორგანიზაციამ ნებაყოფლო-
ბით იკისრა ვალდებულება, მ. გ-მისათვის სარჩო გადაეხადა. აღნიშნულის საწინააღმდეგოს კასატორი
არ უთითებს. ამ ურთიერთობაზე გამოყენებულ უნდა იქნეს არა საქართველოს პრეზიდენტის 1999
წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული "შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის
ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი", არამედ, საქართველოს
სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სამართლის კოდექსი
(1964 წლის რედაქციით). ამდენად, სამოქალაქო სამართლის 166-ე მუხლის თანახმად, კანონით
გათვალისწინებული შემთხვევების გარდა ცალმხრივი უარი ვალდებულების შესრულებაზე და
ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეცვლა არ დაიშვება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად ხანდაზმულობის
ვადა იმ შემთხვევებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან
სამი წელია. (საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სარჩოს გადახდის ვალდებულება
შეწყვეტილია მოქმედი სამოქალაქო კოდექსის დროს).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მ. გ-მემ სარჩოს მიღების უფლება მიიღო სს "საქართველოს
მინერალური წყლების ბორჯომის #2 ჩამოსასხმელი ქარხნის" (მისი წინამორბედი ორგანიზაციის) მიერ

ნაკისრი ვალდებულების საფუძველზე. ნებისმიერი მოქმედებით, მათ შორის, ბრძანების საფუძველზე, არამართლზომიერად პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობით დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის, განხორციელების ვადას შეადგენს სამი წელი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს თითოული პერიოდისათვის (რაც ამ შემთხვევაში დაყოფილია თვეების მიხედვით) ცალ-ცალკე წარმოშობილი მოთხოვნის უფლება. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა 2005 წლის 29 მაისიდან სარჩოს სახით მიუღებელი თანხის მიღების უფლება.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს "საქართველოს მინერალური წყლების ბორჯომის" #2 ჩამოსასხმელი ქარხნის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.